

# გიზნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 4 (9), დეკემბერი, 2017

## გილოცავთ შობა-ახალ წელს!

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:  
თავისუფალ შემოქმედთა გაერ-  
თიანება და შპს „გამომცემლობა  
„მიჯნა“, რეგისტრაციის  
№ B12127840

რედაქტორ-  
გამომცემელი  
მურმან ზაქარაია

რედაქტორი  
კურალ შონია

მისამართი:  
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.  
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი  
2-38-03-11

ISSN  
მიჯნა 2449-237X



# სარჩევი

## კლასიკა

### რისმაგ გორდეზიანი

ქართული თვითშეგნების  
ჩამოყალიბების პრობლემა.....3

## ახალი თემა ქართულ მწერლობაში

### მურმან ზაქარაია

„ენგურის ხიდი“ – მეტაფორა დიდი  
კატასტროფისა.....46

## წიგნის თარო

### განათლება

#### მურმან ზაქარაია

ქართული საგანმანათლებლო კულ-  
ტურის აღმოსავლურ-მცირეაზიურ  
ისტორიულ ფესვებზე.....5

#### ედემ პვირტია

სტუმარი გასული საუკუნიდან.....50

#### ზაურ ქობალია

ახალი წიგნიდან.....54

### გოჩა ესებუა – 50

ეროვნული მოძრაობის სახელით.....33

## პოეზია

### თორნიკე ჩავჭაბაძა

ზღვა დარდი.....64

### ლაშა გვასალია

ეპოქალური გმირი .....

## ხსოვნა

ნათელში იყოს!.....68

### ლაურეატები

თანაკურსელთა სახელით.....69

### ნანა ქარდავა

მოთხოვობები .....

### ვალერიან ვეკუა

ჯემალ (ტომბა) პერტაიას.....69

### აზა ბასლანიძე

საბავშვო ლექსები.....40

### ორდენ წულაია

ჯემალ პერტაიას მარადიულ ხსოვნას....71

### პემალ შონია

ლექსები .....

### პემალ პერტაია

ლექსები .....

## რისმაგ გორდეზიანი

### ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესი

#### საკითხის დასმისთვის

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანობა ქართველი ერის, ქართული თვითშეგნების ფორმირების პროცესისათვის დაკავშირებით. აზრთა სხვაობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ჯერჯერობით არ მოვეპოვება ერის ყველასთვის მისაღები დეფინიცია; ჩვენის აზრით, ერის ჩამოყალიბების საფუძველს ქმნის ეროვნული თვითშეგნება, რომელიც ხშირად გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე გეოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და, ზოგჯერ, თავად ენობრივი ერთიანობის ფაქტორებიც კი, რაც ისტორიაში საკმაოდ ნათლად ცხადჰყვეს ბერძნებმა, ებრაელებმა და ზოგიერთმა სხვა ხალხმა. ეროვნული თვითშეგნება ეფუძნება რამდენსამე უმნიშვნელოვანეს საყრდენს, რომელთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენით ამა თუ იმ ხალხში არსებული გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა თუ რწმენა. ვიდრე ხალხი, რაოდენ დანაწევრებული და ფართოდ განთენილიც უნდა იყოს იგი დედამიწაზე, ინახავს ამ რწმენას, შეიძლება ითქვას, რომ მას თანდაყოლილი ორიენტაცია აქვს ეთნიკურ ერთიანობაზე.

შემდეგი ადგილი ალბათ უჭირავს ლიტერატურული (ანუ კულტურული თვითგა-მოხატვის) ენის ერთიანობას. ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ის დიალექტი, რომელზედაც შეიძლება მეტყველებდეს ესა თუ ის კუთხე ამა თუ იმ ხალხით დასახლებული ქვეყნისა, არა-მედ ენა, რომელიც, შესაძლოა, ეფუძნებოდეს ან არ ეფუძნებოდეს რომელიდაც ცოცხალ სასაუბრო დიალექტს და რომელიც მთელი ხალხის შეთანხმებით იქცევა კულტურის ანუ ლიტერატურულ ენად. ამგვარი ენა ზოგ ხალხში შეიძლება რამდენიმეც კი იყოს, მაგრამ თითოეულ მათგანს ექნება ზოგადეთნიკური და არა კუთხური მნიშვნელობა. ანტიკურ საბერძნები, ალექსანდრე მაკედონელის ლაშ-ქრობებამდე და ელინისტური სამყაროს ნარ-მოქმნამდე, ესა თუ ის დიალექტი საფუძვლად ეფებოდა ამა თუ იმ ლიტერატურულ ქანრს,

მაგრამ კონკრეტული დიალექტი კონკრეტული უანრისათვის ძირითადად სავალდებულო ხდებოდა ელინებით დასახლებულ მთელ ტერიტორიაზე. თანამედროვე საბერძნეთშიც, ერთი მხრივ, გვაქვს ჩვეულებრივი სასაუბრო არალიტერატურული დიალექტები, მეორე მხრივ კი, ორი ლიტერატურული საერთო ელინური ენა: დიმოტიკი და კაფარევუსა, ერთი, ორიენტირებული სასაუბრო, ყოველდღიურ მეტყველებაზე, მეორე კი, ძველი ბერძნულის ნორმებზე. მსოფლიოს ხალხთა საქმაოდ დიდ ნანილში, მათ შორის ქართველებშიც, კულტურული თვითგამოხატვა ერთი ლიტერატურული ენის საშუალებით ხდება.

ეროვნული თვითშეგნების უთუოდ მძლავრი ფაქტორია რელიგიაც, განსაკუთრებით მაშინ, თუკი მას ეთნიკური და არა ზედეთნიკური ხასიათი აქვს. ბერძნული წარმართული რელიგია ანტიკური ეპოქის ელინთათვის უთუოდ ითვლებოდა მათი ეროვნულობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად, რადგან იგი მოიცავდა მხოლოდ ბერძნებით დასახლებულ სამყაროს. იგივე შეიძლება ითქვას ებრაელთა შესახებაც. რაც შეეხება თანამედროვე მსოფლიოს ხალხთა უმეტესობას, ისინი, როგორც წესი, მისდევენ ერთ-ერთ დიდ რელიგიას: ქრისტიანობას, ისლამს, ბუდიზმს ან მათ რომელსამე მიმდინარეობას. შესაბამისად, აქ რელიგიური ფაქტორი სცილდება საკუთრივ ეროვნული თვითშეგნების ფარგლებს და იგი უფრო უნივერსალურ ხასიათს იღებს. მრავალია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი ხალხი რელიგიური ორიენტაციის მიხედვით ორ ან უფრო მეტ ნაწილადაც იყოფა. საქართველოც, თუმცა შუა საუკუნეების მთელი ჩვენი კულტურა ქრისტიანული მართლმადიდებლობის საფუძველზე ყალიბდებოდა, ამჟამად ცნობს მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ქართველების არსებობას.

ბუნებრივია, ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისათვის უთუოდ დიდი, მაგრამ არა გადამწყვეტი, მნიშვნელობა აქვს ხალხის ის-

ტორიული ერთობის ისეთ არსებით ასპექტებს, როგორიცაა ტერიტორიული, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური, კულტურული ერთიანობა. რაც უფრო ძლიერია და მეტია ერის შემკვრელი არსებითი კომპონენტების რაოდენობა, მით უფრო მკაფიოდ არის გამოვლენილი ეროვნული თვითშეგნება.

როდიდან შეიძლება საქართველოში ეროვნული თვითშეგნების და შესაბამისად ქართველების ერთიან ერად ჩამოყალიბების დაწყებაზე მსჯელობა? მკვლევართა უმეტესობა ამ პერიოდად ასახელებს შუა საუკუნეებს, უფრო ზუსტად კი დაახლოებით მეათე საუკუნეს. ამის დამადასტურებლად ხშირად იხმობენ გიორგი მერჩულის ცნობილ ფორმულირებას: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ამ ნინადადების მიხედვით, საქართველოდ მიიჩნეოდა მთელი ის ქვეყანა, სადაც ლვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა. ფაქტობრივად, თუმცა საქართველო ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არის პოლიტიკურად ერთიანი, მას უკვე აქვს საერთოქართველური თვითშეგნება. ქართველობის ცნება აერთიანებს სამსახვე ქართველურ ტომს: ქართებს, ზანებს, სვანებს – ერთ ერად, ხოლო საქართველოდ მიიჩნევა მთელი ის ტერიტორია, რომელიც ჩრდილო-დასავლეთით აფხაზეთს, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ტაო-კლარჯეთს, აღმოსავლეთით კი კახეთს და ჰერეთს მოიცავს. რითი უნდა აიხსნას ერთიანობის ამგვარი სულის არსებობა ტომობრივად საკმაოდ დიფერენცირებულ ქართველურ სამყაროში?

ზოგნი მიზეზს ქართული ეკლესიის ძლიერებაში ხედავენ, ზოგნი კი – ქართლისა და ქართული ენის პოზიციის სიმტკიცეში, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ დაწინაურებაში. როგორც ჩანს, ეს ფაქტორები ასრულებენ გარკვეულ როლს, მაგრამ მხოლოდ ისინი ერთიანი ქართული თვითშეგნების ესოდენ მყარად ფორმირებისათვის საკმარისნი ვერ იქნებოდნენ. და, მართლაც, ჩვენ არაერთი შემთხვევა ვიცით, როდესაც ლვთისმსახურების ენა ერთმანეთის მეზობელ რეგიონებში ერთი იყო (მაგალითად, ლათინური), მაგრამ არც ეს მხარეები აღიქმოდნენ ერთ ქვეყნად და არც მათი მკვიდრი – ერთ ხალხად. როგორც ჩანს, გარდა ლვთისმსახურების ენის ერთიანობისა, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველურ ტომებში არსებულ ძლიერ ტრადიციას, რომელსაც ხალხში უნდა შემოენახა ისტორიული მახსოვრობა ოდინდელი გენეტიკური ერთიანობის შესახებ. ძნელი საფიქრებელია, რომ ეს ტრადიცია მხოლოდ ადრეულ შუა საუკუნეებში შეიქმნებოდა, რადგან ქართლის ცალკეული ინიციატივების მიუხედავად, ამის არც პოლიტიკური და არც იდეოლოგიური წანამძღვრები თუ საფუძვლები არ არსებობდა აღნიშნულ ეპოქაში. უფრო რეალური იქნებოდა ამგვარი ტრადიციის დამკვიდრების საწყისები ანტიკურ ხანაში გვეძება. ჩვენი აზრით, ამგვარი დაშვებისათვის საკმაოდ მყარ საფუძველს გვიქმნის როგორც ძველი ქართული, ანტიკური და ბიზანტიური საისტორიო ტრადიციის, ასევე თანამედროვე არქეოლოგიური, ისტორიოგრაფიული თუ ენათმეცნიერული გამოკვლევების შედეგთა გათვალისწინება.



## მურმან ზაქარაია

# ქართული საგანმანათლებლო კულტურის აღმოსავლურ-მცირეაზიურ ისტორიულ ფესტები (წარმართული ხანა)

წინა წერილში – ქართული საგანმანათლებლო კულტურის ისტორიული ფესვების შესახებ (ურნალი „მიჯნა“, №1, იანვარი, 2017 წ.) – ხაზგასმით ითქვა ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების, მისი უნივერსალური ბუნების, სისტემისა და მეთოდ-ხერხების, სტაბილური და პერმანენტული განვითარებების შესახებ, იმაზე, რომ მას ფესვები გადგმული აქვს იმ უნივერსალურ ზოგადსაკაცობრიო კულტურაში, რომლისგანაც ფორმირდებიან კონკრეტული ეთნოკულტურები და, პირველ რიგში, სწავლა-აღზრდის უნარ-ჩვევები, ზოგადად, საგანმანათლებლო კულტურა და მისგან მომდინარე ჰუმანიტარული იდეები.

ამდენად, ქართული საგანმანათლებლო კულტურა წარმოადგენს მსოფლიო სააზროვნო და საგანმანათლებლო კულტურის ისტორიის განუყოფელ ნაწილს. ამ თვალსაზრისით, თუკი დასავლეთ ევროპის ეროვნული კულტურების ფესვების საკითხი დაუკავშირეს რენესანსს და ეს პროცესი აღიარებულ იქნა ამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კულტურების ფორმირების საწყისად, ქართული (კოლხ-იბერული) კულტურისა და, კონკრეტულად, სწავლა-აღზრდისა და განათლების საკითხის დაკავშირება წინააზიურ და ეგეოსურ ცივილიზაციებთან უდავოა. ამაშია ქართული ეროვნული განათლების კულტურის სიმყარე და ტრადიციულობა, ამასთან მისი სირთულეც, მრავალპლანიანობა (მრავალსახეობა). ის თავის თავში ატარებს საკაცობრიო კულტურის თითქმის ყველა დადებით და უარყოფით მოცემულობას; განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი ღიაობა გარე კულტურებისა და ცივილიზაციების მიმართ.

მაგრამ, ამასთან, ცალკე უნდა ითქვას: მასში პირველ პლანზე მუდამ ჩანს გენეტიკიდან მომდინარე თვითთავადი შინა არსი, რომელიც წარმოადგენს იმ გულის გულს, რომლის ირგვლივაც კრისტალდება მყარი წრე ნაციონალური კულტურისა და, უპირველეს ყოვლისა, აღზრდისა და სწავლებისა. ესაა ის დამცველი გენური იმუნიტეტი, რომელიც აძლევს მას თვითშემოქმედ ენერგიას, რომლითაც ის იცავს თავს გარეკულტურათა, განსაკუთრებით აგრესორულ-იმპერიულ კულტურათა გამუდმებული შემოტევებისგან; ის სძენს მას ელასტიურობას, რათა გაუძლოს ეპოქალურ გამოწვევებს, შეინარჩუნოს თვითთავადობა და ამასთან იყოს ლია და უნივერსალური.

ამდენად, ქართული სწავლა-განათლების კულტურას აშკარად ამჩნევია დალი დასავლეთ-აღმოსავლეთის რენესანსული თუ დეკადანსური პროცესების გავლენისა. მასში იკვეთება მყარად ფორმირებული პერიოდები დაცემისა და აღორძინებისა.

## კოლე-იპერული აღმზრდელობითი კულტურის კავშირზე „ოქროს ხანის“ ცივილიზაციასთან

ქართული სწავლა-განათლების კულტურის კვლევა ვერ იქნება სრულფასოვანი, თუკი მასზე მსჯელობა არ წარიმართება ამ ზოგადცივილიზატორული და ისტორიული კონტექსტით. ამიტომ, როცა ვმსჯელობთ, თანამედროვე გაგებით, ეროვნული სწავლა-განათლების ისტორიულ ფესვებზე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემოვითარებლოთ კონკრეტულად ქართველური მოდგმის (დღევანდელი ფაქტით) კულტურულ-საგანმანათლებლო, სადამწერლობო-სალიტერატურო თუ საეკლესიო-ღვთისმეტყველობითი წრით, რამეთუ თვით ქრისტიანული კულტურა ჩაისახა და განვითარდა იმ სივრცეში, სადაც დაირნა საკაცობრიო ცივილიზაციის აკვანი, რომელთანაც თავისი ჭიპითაა მიბმული კოლხ-იბერული კულტურა, კონკრეტულად, ეგვიპტურ თუ შუმერულ ცივილიზაციებთან, არაფერი რომ ვთქვათ ხეთურ თუ ურარტულ კულტურებზე.

შუმერული დამწერლობისა და ლიტერატურის ისტორიის უდიდესი მკვლევარი, ამერიკელი პროფესორი სამუელ კრამერი წერს: უძველესი ცივილიზაციები მოწმობენ ადამიანთა მოდგმის

ერთიანობის ლრმა ფესვებზე, რომელიც მოქმედებაშია ყველა დროსა და ეპოქაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (C. Крамер, история начиняется в шумере, гვ. 16, м. 1965). ძალზე ხელშესახებად ჩანს ასეთი კავშირ-ურთიერთობის ნაკვალევი კოლხ-იბერულ და შუმერულ-არამეულ ცივილიზაციებს შორის; რა თქმა უნდა, ეს პირველ რიგში ეხება აღზრდა-განათლების კულტურის ჩასახვის და განვითარების პროცესებს.

კრამერისავე თქმით: ოთხი ათასი წელია გასული, რაც შუმერებმა დაწერეს გულიდან ამოხეთქილი სიტყვები „დაკარგულ სამოთხეზე“; ცხოვრებისეული უკულმართობის, ომებისა და ურთიერთმტრობის, შიშისა და ძალმომრეობის მოძალებაზე, შიშილსა და სიღატაკეზე, რომელიც უწყვეტად ტანჯავს კაცობრიობას (იქვე, გვ. 16). ამ ეპოქაზე, კრამერამდე ათასი წლით ადრე, ქართულ ენასთან დაკავშირებით, წინა აზიურ-ელინურ კულტურათა ისტორიაში ღრმად ჩახედული, ქართული ემიგრაციული კოლონიის თვალსაჩინო წარმომადგენელი იოანე-ზოსიმე წერდა:

„და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათესასა წილი

ზის, რომელ ასოდ არს და იტყვის ყოველ ოთხი ათასასა მარაგსაო“.

ეს ოთხიათასწლიანი მარაგი, თუ სამსჯელო თემის ლოგიკიდან ამოვალთ, შეიძლება მივუსადაგოთ კრამერისეულ შუმერთა ეპოქას – 4000 წლის წინათ „დაკარგულ სამოთხეს“. აღმოვაჩინთ, რომ ქართული ენის კულტურის 4000-წლიან მარაგს მთელი ათასი წლით ფესვები გადგმული აქვს შუმერთა „დაკარგული სამოთხეს“ ხანაში, ე.ი. კაცობრიობის წინა ისტორიის – „ოქროს ხანაში“.

ასეთი შედარება ქართველური ენის (კულტურის) თავურსაწყისისა ჩვ.წ. 3000 წლის წინანდელ ცივილიზაციასთან ვინმეს გადაჭარბებულ მსჯელობად შეიძლება მოერვენოს, ამიტომ მოვუხმობთ ზვიად გამსახურდიას ჭეშმარიტად მეცნიერულ დონეზე განხილულ მოსაზრებას ქართული ენის ამ „ოთხიათასწლიან მარაგზე“. ის წერს: რამდენადაც იაფეტური წინარენა ქურუმთა ენა იყო, რომლითაც ისინი ტოტემებს უკავშირდებოდნენ, მას იმთავითვე საკრალური, მისტერიალური ხასიათი და დანიშნულება ჰქონდა, ხოლო იაფეტიდები, პროტოქართველები (იგივე პროტოევროპელები და პროტოარიელები) წარმოადგენდნენ რელიგიურ ელიტას კაცობრიობისას, სულიერი ცხოვრების ლიდერებს, უნივერსალურ კულტურტრეგერებს, რაც უნდა ყოფილიყო ნამდვილი სიცოცხლე ამ მოდგმისა და მისი ენისა, რაც გრძელდებოდა უხსოვარი დროიდან ძვ.წ. III ათასწლეულამდე. III ათასწლეულიდან კი იწყება ამ მოდგმისა და მისი საკრალური ენის აღრევა-დამდაბლების პერიოდი (ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები, გვ. 35-36, თბ. 1991 წ.). მაშასადამე, შუმერთა „დაკარგული სამოთხე“, რომელსაც მისტირის ეს მოდგმა და საიდანაც იწყება ცხოვრებისეული უკულმართობა, შიში და ძალმომრეობა, დაცემა-დამდაბლება, ზედმინევნით ესადაგება იაფეტური (ქართველური) მოდგმის საკრალური ენის „პროფანირების, აღრევის, დამდაბლება-დაწუნების პერიოდს, რაც გამოიწვია... ისტორიულმა ბედუკულმართობამ“ (იქვე, გვ. 36). პირველსაწყისიერი ცივილიზაციის ამ უნივერსალურ ბუნებაზე მიუთითა კრამერმა, როცა ადამიანთა მოდგმის ღრმა სულიერ და კულტურულ ერთიანობას გაუსვა ხაზი; ჩვენც ამ კონტექსტში ვუსადაგებთ ქართველური მოდგმის სწავლა-აღზრდის „ოქროს ხანის“ კულტურას შუმერულ „დაკარგულ სამოთხეს“ და იქიდან მომდინარე „თიხის ფირფიტების“ განათლების კულტურას „ენაი ქართულის“ ოთხიათასწლიანი მარაგით.

ამ ლოგიკური დასკვნიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სწავლა-აღზრდის კულტურა თავისი არსით განეკუთვნებოდა იმ საგანმანათლებლო სისტემას, რომლის თავურ საწყისს ვპოულობთ შუმერულ-მცირეაზიურ კულტურებში და განვითარების კლასიკურ ფორმად ჩამოყალიბდა ელინურ-რომაულ აკადემიურ სისტემებში, რომელთა არა მარტო გავლენით, არამედ უშუალო პოლიტიკურ და კულტურულ კავშირში ვითარდებოდა ის.

ამდენად, თავისი ისტორიული საფუძვლით ქართული სწავლა-განათლების სისტემა იმთავიდანვე იყო დუალისტური ხასიათისა: ერთი მხრივ, აზიურ-ეგვიპტურთან და შუმერულთან დაკავშირებული, რაც დასტურდება უძველესი ისტორიული მატერიალური თუ წერილობითი წყაროების მონაცემებით; და მეორე, ევროპული: ელინურ-ლათინურთან უწყვეტი კავშირით, არა მარტო კულტურულ-ელიგიური, არამედ სისტემური თვალსაზრისითაც, სადაც ის თვითონაც ყალიბდება კლასიკურ საგანმანათლებლო კულტურად.

ეს დუალისტური ხაზი საკაცობრიო კულტურის განვითარებისა თვალნათლივ იკვეთება კოლხ-

იბერული კულტურის განვითარების ყველა საფეხურზე და გვირგვინდება ზოგადქრისტიანული საგანმანათლებლო კულტურის ფორმირებით.

## სწავლა-აღზრდის კულტურის მეტაფიზიკური და ემპირიული ასპექტები

სწავლა-აღზრდის, რომლის „უმაღლესი მიზანი... სულიერი აღზრდაა“ (ზ. ხასაია), დუალისტურ ფორმაში ვგულისხმობთ არა უბრალოდ გარე კულტურათა გავლენით მომხდარ მეორეული დანაშრევების არსებობას ნაციონალურ კულტურაში, რასაც ყოველი კულტურა განიცდის ხოლმე, არამედ იმას, როცა ეთნოკულტურას, მის სულიერ ასპექტს თავისი განსაკუთრებული თვითმყოფადი შიდა იმპულსები გააჩინა და აქვს უნარი უკუზემოქმედებისა გარედან მომდინარე ემპირიულ თუ ზოგადსაკაცობრიო კულტურულ პროცესებზე, ე. ი. როცა ეთნოკულტურას შესწევს ძალა არა მარტო მიიღოს, არამედ გასცეს კიდეც და ამ გზით თავისი წვლილი შეიტანოს, პირველ რიგში, საკაცობრიო სულიერ კულტურაში.

ასეთი ზოგადცივილიზაციორული მისის აღსრულებელია აღზრდისა და სწავლების კულტურის შესაბამისი სისტემური დონის არსებობის შემთხვევაში, როცა ამ სისტემაში ასახული იქნება როგორც საკუთარი აღზრდა-განათლების ტრადიციები, ასევე ზოგადსაკაცობრიო სწავლა-აღზრდის უმნიშვნელოვანესი მიღწევები. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ რამდენად სრულფასოვნად არის ასახული სწავლა-აღზრდის პროცესებში სულიერ-მეტაფიზიკური და ემპირიულ-დიალექტიკური (ეგზისტენციალურ მოთხოვნათა) ასპექტები, ე. ი., თუ რამდენადაა მასში მოცემული ზეციურისა და მიწიერის თანაარსება.

კოლხ-იბერიელთა სულიერ და ეგზისტენციალურ კულტურაში ორი საწყისის თანაარსებობა მრავალგზისაა დადასტურებული ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი წყაროებით. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, კოლხთა საფიცარი ცა და მიწაო. მაგალითად, ალექსანდრიული ხანის მეცნიერის ვარაუდით, წიგნის – „უცხოთა ზენ-ჩვეულებების შესახებ“ – ავტორის მოწმობით, კოლხები „ყველაზე მეტად თაყვანს სცემენ ურანოსს (ზეცას) და გეას (დედამიწას) (არგონავტიკა, გვ. 210, შენ. 7. თბ. 1975 წ.). მაშასადამე, პროტოქართველური კულტურის ტრადიციის გენეტიკური ორსახოვნება წითელ ხაზად გასდევს ქართული სწავლა-განათლების ტრადიციას მთელი მისი არსებობის მანძილზე და აისახება მის სხვადასხვა გამოვლინებაში, როგორც სულიერ, ასევე პრაქტიკულ ასპექტში, თვით ყოფით პროცესებიც.

„ოქროს საწმისი“, როგორც როდოსელამდე დიდი ხნით ადრე ფიქრობდნენ და წერდნენ, იყო ტყავზე ნანერი წიგნი ოქროს მოპოვების ხელობის შესახებ. მაშასადამე, კოლხებს არა მარტო ჰერინიათ „კირბები“, არამედ მეცნიერული წიგნებიც, რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობს განათლების მაღალ დონეს, ამიტომაც მთელი ელინური და ლათინური სამყაროსთვის ეს პოეტური ტერმინი სიმდიდრის, საოცნებო რამ განძეულის სინონიმია, რაც მთავარია, ძლიერი და განათლებული ქვეყნის სიმბოლო (მითოლოგიური ლექსიკ. გვ. 384. თ. 1983 წ.). მაშასადამე, სწავლა-განათლების თავურსაწყისი ამ ეპოქიდან (ძვ. წ. XIII ს.) უფრო შორეულ ხანაშია გადასატანი და მაშინ ზემოთ გაკეთებული შედარება შუმერულ ცივილიზაციასთან არა მარტო ლოგიკური, არამედ შეიძლება ისტორიული ცნობებითაც გამაგრებულად ჩაითვალოს.

ამ ორიოდე მაგალითიდანაც კარგად ჩანს ქართველური მოდგმის კულტურის და უპირველესად, სწავლა-აღზრდის ტრადიციის ორგვაროვანი – სულიერ-ირაციონალური (ზეციური) და მატერიალურ-რაციონალური (მიწიერი) არსი (გენია).

ამდენად, თუ ჩვენი ნაციონალური სწავლა-აღზრდის კულტურას, როგორც გრ. რობაქიძე ერთგან იტყვის თავის შემოქმედებაზე, ალვიქვამთ არა „ტვინით“, არამედ „სისხლით“, მაშინ მასში დავინახავთ ქართველური გენის გულის ფეთქვას, მის მაჯისცემას, რომელიც ჰარმონიულადაა ჩართული საკაცობრიო სულიერი კულტურის, პირველ რიგში, სწავლა-განათლების სისტემაში.

ეს ძალუმი მაჯისცემა ქართველური გენისა ისმის ღვთიური სამოთხიდან მომდინარე ადამიანურ (ადამისეულ) ცივილიზაციებში, რაც დასტურდება არა მარტო არქეკულტურების მონაცემებით, არამედ უძველესი სადამწერლობო სისტემების ფორმირებების პროცესებში მისი მონაწილეობითა და თვითთავადი სახის შენარჩუნებით, რაზედაც ნაწილობრივ ზემოთ ითქვა.

მაშინ როცა ეგვიპტელებს თავიანთი იეროგლიფები გამოჰყავთ ლერწმის ქერქზე, შუმერები ლურსმულ ნიშნებს ამოკანრავენ თიხის ფირფიტებზე, კოლხ-იბერთა მოდგმა, „ისტორიის შემოქმედ“, ელინთა მოწმობით, „კირბებს“ ქვაზე კვეთდნენ, მამა-ჰაპათაგან მომდინარე წესებსა და მეცნიერულ ტრაქტატებს (წიგნებს) ტყავზე წერდნენ.

ამ უძველეს ეთნოკულტურულ კავშირებსა და პროცესებში კოლხ-იბერული მოდგმის შესაძლო მონაწილეობის დადასტურებად შეიძლება მოვიშველიოთ ჩვენი თანამედროვე კვლევები დამნერლობის საკითხში და მათ შორის გ. კვაშილავას მცდელობა ე. ნ. ბერძნული ხაზოვანი დამნერლობის კოლხური (ზანური) ენის საფუძველზე წაკითხვისა (ახსნისა).

ასეთია ქართული განათლების კულტურაში ირაციონალური და რაციონალური საწყისების მოცემულობა, რომელსაც, თუ ისევ რობაქიძისეულ განჭვრეტას მოვიშველიებთ, შეიძლება ქართულ გენში განხორციელებული „ნიჭი“ და „საქმე“ ენოდოს. მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია ამ დიდი ინტელექტის გაფრთხილება, რომ „თუ ამ „საქმეს“ მართებულად ვერ ასრულებ, გაგიფუჭდება თვითონ „ნიჭიც“. აქ მარხია „საფრთხე“ ყოველგვარი „თვისებისა“.

მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება, თუ აქვე მოვიყანთ მისეულ მითითებას უძველესი მოდგმის გენეტიკაში მოცემული გენის ცხოვრებისეულ მიმართებაზე, რისი გათვალისწინებაც განსაკუთრებით სტირდება ერს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მყარად დამკვიდრების ამ ტეპზე. რობაქიძე წერს: გენია, მაგალითად, ცეცხლია. თუ ცეცხლს მასალა არ მიეცი, იგი, არაბთა სიტყვით, თავის თავს შესჭამს, დაიფერფლება. გენია ვითარც „თვისება“ რასაკვირველია, ფერფლი არაა; ხოლო დაფერფლი მოელის მას, როგორც საფრთხე, თუ მოვლა მოაკლდება [გრ. რობაქიძე, იქვე, გვ. 24]. მაშასადამე, გენის გადარჩენისთვის გვჭირდება ახალი მასალა, რათა რუსული კოლონიალური სისტემის ძალადობით დაფერფლის კარამდე მისულ ამ გენეტიკურ ცეცხლს გზნება შევმატოთ და სრული „დაფერწვლა“ ავაცილოთ მას. არადა, ამის საშიშროება არსებობს, თუ ვერ მოვახერხეთ კარსმომდგარი საფრთხის შეჩერება, რისი მიზეზი შეიძლება, როგორც იმავე რობაქიძისეულ განმარტებაში აღმოვაჩინეთ, იყოს ის, რომ ქართველი დაუდევარნი და ფიცხელნიცა ვართ, რომ „მოდგმა ქართველთა თვითგანვე ორგულია თავისთა უფალთა მიმართ“ (მემატიანე), ავტორი საშინელ ცნობას უნიდებს და ქართველთა წინმდგომთა მიმართ იტყვის: ქართველთა მეთაურთ, ორიოდე გამოკლებით, არ ჰქონდათ შეგნებული ქართველთა ხასიათის სიაგვარე (იქვე, გვ. 24-25). აი, ამ ორ-ერთიანი საშიშროებისგან თავდახსნისთვის გვჭირდება „ახალი მასალა“, რათა ხელახლა გავაღვივოთ დაფერფლის კარამდე მიყვანილი კოლხ-იბერული გენის ცეცხლი, რომლის წარმატებული მცდელობა ჰქონდა ეროვნულ მოძრაობას და კანონიერ ხელისუფლებას, მაგრამ „თვისთა უფალთა“ ორგულებმა ცივი წყალი გადაასხეს და თავიანთი უგუნურობითა და დიდწილად ღალატით თითქმის სრულ ჩაქრობამდე მიიყვანეს.

ეს „ახალი მასალა“ გზნების გაღვივებისა კოლონიალური სულისგან განთავისუფლებულმა სწავლა-განათლების ახალმა სისტემამ უნდა მოგვაპოვებინოს, ამას ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ ამაზე უფრო მოგვიანებით ვიმსჯელებთ, ახლა კი ისევ მივუბრუნდეთ ქართული სწავლა-განათლების სისტემური ფორმირების თავურ საწყისებს.

### პოლ-იპერიული ცივილიზაციის კავშირები პირველ საგანგანათლებლო კერაბთან

დიდწილად ნიჰილიზმით შეპყრობილმა დღევანდელმა მკითხველმა ასეთ მეტაისტორიულ ეპოქებთან ქართული სწავლა-აღზრდის კულტურის კავშირის ძიება, ხიდის გადების მცდელობა საკაცობრიო პირველ საგანგანათლებლო სისტემებთან, კონკრეტულად შუმერულ სკოლებთან, შეიძლება ტყუილ გარჯად ჩაგვითვალის, მაგრამ სწავლების პირველისტების ჩამოყალიბების არა მარტო ფორმა – სასკოლო-კლასური სისტემა, საგნობრივი განათლების მეთოდი და თვით მიზანი – ადამიანის ფიზიკური და სულიერი მონაცემების გაშლა-გაფართოებისათვის ხელის შეწყობა და ამ გზით კონკრეტულ პრაქტიკულ საქმიანობათა შესწავლა, ცხოვრების რთული გზის გაკვალვის უნარ-ჩვევების გამომუშავება ნათელს ხდის, რომ განათლების კულტურა იმ მყარ საფუძველზეა ამოშენებული, რომლის შესახებ ჩვენ წარმოდგენა გვექმნება შუმერული თიხის ფირფლიტებიდან.

კოლხ-იბერული ცივილიზაციის მყარ კავშირზე ამ პირველსისტემებთან საკმაოდ მრავალი ფაქტი მეტყველებს. ამის დასტურად მოვუმობთ არა მარტო ქართულ სინამდვილეში, არამედ მთელი რუსეთის იმპერიის განათლების სისტემის მასშტაბით აღიარებული პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, მწერლის – იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებას ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭის თაობაზე, სპეციალურად დაწერილ ამავე სახელწოდების სტატიიდან, მიძღვნილს პარიზის გამოფენისადმი და თარგმნილს რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ჭეშმარიტად დიდი პედაგოგი წერს: „ქართველი თავიანთი სამიათასწლოვანი ისტორიულის ცხოვრების განმავლობაში განსხვავდებოდნენ მწერლობისა და განათლების სიყვარულით. ეხლა თითქმის დამტკიცებულ ფაქტად ითვლება, რომ ვანის ოლქის განთქმული ლურსმული წარწერები ამოუჭრიათ ძევლის ქართულის ენით ქართველთა ტომის აღმოსავლეთის რტოს წინაპრებსა. ხეთა კულტურის მრავალ-რიცხვანი და ფრიად შესანიშნავი ნაშთი კი ეკუთვნიან უძველეს ქართველთა დასავლეთის რტოსა“... ფონეტიკური ეროვნული ანბანი ქართველებმა მოიგონეს მეფე ფარნავაზის დროს (ძვ.წ. 301-267 წ.). ანბანს პირველად ჰქონდა კუთხიანი სახე, მაგრამ დღროთა განმავლობაში შეიცვალა და X საუკუნეში მიიღო მრგვალი სახე, ანინდელის ფრანგულის რონდოს მსგავსად (იაკობ გოგებაშვილი, ტომი მეორე გვ. 284. თბ. 1990 წ. ხაზი – მ. ზ.). ის ამასთანავე აღნიშნავს, რომ შეუწყვეტელმა ათასწლოვანმა ომებმა სპარსელებთან, არაბებთან, თურქებთან, მონგოლებთან და ა.შ დააქვეითა ეს პროცესი, მაგრამ, „როცა მშვიდობიანობა სა-ქართველოში ოციოდე წლით მაინც დამყარდებოდა, წერა-კითხვა ძლიერ ვრცელდებოდა... თუ რამდენად ჰქონდათ ქართველებს წერა-კითხვისა და განათლების პატივისცემა, იქიდაგან ჩანს, რომ კეთილშობილი პატარძლის მზითვის სიაში უსათუოდ უნდა ყოფილიყო სასულიერო და საერო... წიგნებიცა“ (იქვე, გვ. 286). თავისი ამ წერილის გავრცობილ ვარიანტში, დაწერილში რუსეთში გამოსაქვეყნებლად, ის ყურადღებას ამახვილებს სწავლა-განათლების შინაურ (ოჯახურ) წესზე, რომელიც, გვიანდელი გაგებით, უფრო კერძო სკოლის ნიმუშია, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით. ის წერს: სწავლის ეს წესი უაღრესად განვითარებული იყო საქართველოში. წერა-კითხვას კარგად დაუფლებული ყოველი მოზრდილი ქართველი ქალის ოჯახი პატარა სკოლა იყო, სადაც მთელი დღე მოდიოდნენ ბავშვები და დილიდან საღამომდე მეცადინებოდნენ, ხან კითხულობდნენ, ხან წერდნენ, ხან ხელსაქმეს სწავლობდნენ. ასეთი სწავლისთვის ფულს არ იხდიდნენ, მაგრამ საჩუქარი წატურით სავალდებულო იყო და მოჰქონდათ მოსწავლის მატერიალურ შესაძლებლობათა შესაბამისად და ა.შ. (ი. გოგებაშვილი, იქვე, გვ. 383).

მაშასადამე, სწავლა-განათლებისადმი მიღრეკილება ქართველთა გენეტიკურ თვისებადაა გამოცხადებული და, შესაბამისად, მის ფესვებს საკაცობრიო ცივილიზაციის „ოქროს ხანაში“ რომ ვეძიებთ, ამაში არაფერია გასაოცარი და მიუღებელი.

სწავლა-განათლებისადმი მიღრეკილების გენეტიკურ წიგნებზე მიუთითებს იაკობის მიერ იმავე საგამოფენო წერილში თქმული: უძველეს დროთა მკვლევარნი აღიარებენ, რომ ქართველთა წინაპრებმა ურარტულებმა პირველებმა აღმართეს კაცთა მოყვარეობის დროშა. რა თქმა უნდა, ასეთი თვისება განათლებული საზოგადოების თვისებაა. ავტორს დასტურად მოჰყავს ადგილი ერთი ცნობილი ორიენტალისტის წერილიდან „ასურეთი და ურარტუ“, სადაც ნათქვამია: „ულ-მობლობა განსაკუთრებული თვისება იყო ასურეთისა და ბაბილონის სამეფოებისაო, რომლებიც ღვთის რისხვის იარაღად გადაიქცნენ“ და შემდეგ: „პირიქით, ურარტუ ღვთის რისხვის კი არა, სიყვარულისა და მოწყალების იარაღი იყოო“, ამიტომ „ხეთნი და ურარტუნი მონათესავე ხალხები იყვნენ და მათი მოსპობა ეგების დიდი უბედურება იყო კაცობრიობისთვისაო“. ორიენტალისტის ამ მოსაზრებას წერილის ავტორი ასეთ კომენტარს უკეთებს: ეს სასიქადულო კაცთმოყვარეობა ქართველებს განასხვავებს თავიანთი ისტორიული არსებობის ყოველ ხანაში (იქვე, გვ. 294-295).

მაშასადამე, ჩვენი მცდელობა ხიდის გადებისა შუმერულ-წინააზიურ სწავლა-განათლების პირველკულტურებთან და მათში ჩვენი სწავლა-განათლების პირველსაწყისის ძიება არცთუ უსაფუძვლო უნდა იყოს, ვინაიდან ისტორიაში ძიება საკუთარი არსისა, საკუთარი თავისა, ძიება მთელში. გრ. რობაქიძე „ქართლის ცხოვრებაზე“ იტყვის: „ისტორია“, როგორც ქმედითი ხსოვნა, „ისტორია“, როგორც გზნება მთელის, რომლის ცენტრი შენს გარშემოაო“. მის მიერვე დამოწმებული მარტინ ბუბერის გააზრებით კი „წარსული მისი (ადამიანის) ხალხის... პიროვნული ხსოვნაა, ხოლო მომავალი მისი ხალხის... პიროვნული საქმეა“ (გრ. რობაქიძე, დასახ.წიგნი, გვ. 30, 31).

მაშასადამე, შუმერულთან (საკაცობრიო „ოქროს ხანასთან“) კავშირის ძიება არა მარტო ერის მეხსიერების ძიებაა, არამედ მომავლის პიროვნული საქმის მოთხოვნილებადაც უნდა მივიღოთ, ამიტომ უნდა ჩავიხედოთ ჩვენთვის წყაროებითა და ფაქტებით მეტ-ნაკლებად ცნობილ შუმერული სწავლა-განათლების სისტემაში.

### უნივერსალურად განსვავლული პიროვნების სახე

სწავლა-განათლების სისტემატიზაციის პირველი დასაბუთებული ცნობა შემოგვინახეს იმ შუმერულმა თიხის ფირფიტებმა, რომელთა განვითარებული ფორმა განეკუთვნება მეორე ათას-წლეულის პირველ ნახევარს ჩვ.წ-მდე. ამ ეპოქის არქეოლოგიურ ფენებში აღმოჩენილია ასობით სასწავლო ფირფიტა მთელი რიგი სასწავლო დავალებებით, შესრულებული მოსწავლეთა მიერ. აქ მოცემულია სწავლების მთელი რიგი სტადიები. ასეთი თიხის „რვეულები“ გვაძლევენ ბევრი საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას, ქმნიან სრულ ნარმოდგენას შუმერულ სკოლებზე. კაცობრიობის ისტორიაში ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ჩვენ გვეძლევა საშუალება, გავიგოთ ბევრი რამ სასწავლო დაწესებულებების – სკოლების შესახებ ასეთ შორეულ ნარსულში. ამ სკოლებს პირველსაწყის მიზნად თუ წმინდა პრაქტიკული მოთხოვნა – მწერალთა, სახელმწიფო და სამეურნეო მოხელეთა მომზადება იყო, დროთა განმავლობაში, სკოლათა ქსელის განვრცობისა და სასკოლო პროგრამათა ფორმირების კვალობაზე, ის თანდათანობით იქცა შუმერული კულტურისა და განათლების უმთავრეს კერად. ამ პროცესში ფორმირდება სახე უნივერსალური სწავლულისა, იმ ეპოქაში არსებული განათლების ყველა დარგის სპეციალისტისა: ლვთისმეტყველება, ბოტანიკა, ზოოლოგია, მინერალოგია, გეოგრაფია, მათემატიკა, გრამატიკა და ლინგვისტიკა. ამასთან შუმერული სკოლები იყო თავისებური ლიტერატურული ცენტრები (ს. კრამერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18-20). ეს სახე ბუნებრივად უნივერსალურად განსწავლული პიროვნებისა მრავლადა დადასტურებული არგონავტების ხანის კოლხეთის შესახებ ცნობებში.

პირველი შუმერული სკოლები იქმნებოდა, როგორც ეკლესიათა დანამატი. დროთა განმავლობაში ისინი ჩამოშორდნენ ეკლესიას (ალბათ რაღაც ნაწილი) და მიიღეს საერო სახე, ამიტომ პედაგოგის შრომის ანაზღაურება ხდებოდა მოსწავლეთა შემონატანით. სწავლების კურსი ამ სკოლებში მიმდინარეობდა ორი ძირითადი პროგრამით: პირველი იყო მეცნიერულ-ტექნიკური მიმართულებისა, მეორე – ლიტერატურული – ავითარებდა შემოქმედებით უნარებს (იქვე). აი, ამ უძველეს სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემასთან ეძებნება ლოგიკური კავშირი ქართულ სწავლა-აღზრდის კულტურას, როგორც წინა აზიურ-ეგეოსური ცივილიზაციების შემადგენელ ნაწილს.

ზემოთ მოყვანილი ისტორიული ცნობებიდან და სხვა მრავალი დადასტურებული ფაქტიდან თუ ამოვალთ, ერთმანეთს ემთხვევა სწავლა-განათლების მაღალგანვითარებული პერიოდი შუმერებში – ძვ.წ. მეორე ათასწლეულის შუახანები (განვითარებული სასკოლო სისტემების ქსელის არსებობა) და კოლხეთში „არგონავტების სტუმრობა“ და იქ მაღალგანვითარებული მრავალგვაროვანი კულტურის დაფიქსირება: მეცნიერების (მედიცინა), არქიტექტურისა და ხელოსნობა-ხელოვნების (აიეტის სასახლე თავისი განსაცვიფრებელი ჩუქურთმებითა და შადრევნებით და ა.შ.), სოფლის მეურნეობის უმაღლესი დონე – მინის რკინის (სპილენძის) გუთნით დამუშავება, ვაზის კულტურა (სასახლის ტალავრები), საოცარი ბაღები არესის ჭალაში და ა.შ., მაღალი სულიერი რელიგიურ-ფილოსოფიური კულტურა (დემეტრას ქანდაკება ფაზისის შესართავთან, ეკლესია-სალოცავთა სიმრავლე, მიწისა და ცის ერთიანი კულტი, როგორც სამყაროს ერთიანობის სიმბოლოს გაზირება და ა.შ.) აშკარას ხდის, რომ ყველა ის მეცნიერება, რომლებიც ისწავლებოდა შუმერულ სკოლებში (უმაღლესი განათლების კერებში), ასევე მაღალ დონეზე ყოფილა განვითარებული კოლხეთში. ყოველ შემთხვევაში, ყველა არსებული წყაროთი დასტურდება, რომ მაშინდელ წინააზიურ-ეგეოსურ ცივილიზაციას ასეთი წარმოდგენა ჰქონია კოლხეთზე, თუდაც ის, რომ მედეა განსწავლულია კირკეს მიერ და რომ „მედეა“ ბერძნულად „ბრძენქალს“ შეესატყვისება (აკ. გელოვანი), რომ ის მთელი თავით მაღლა დგას ყველასთან მიმართებით, ვისთანაც მას ურთიერთობა მოუხდება მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

ეს წარმოდგენა მასზე და მთელი კოლხური სამყაროს მიმართ ურყევი იყო და მისი სჯეროდა როგორც ჰომეროსს, ასევე მისგან საუკუნეების შემდეგ არენაზე გამოსულ ყველა დიდ შემოქ-

მედს. ლათინი ოვიდიუს ნაზონი თავის „მეტამორფოზაში“ მედეას ათქმევინებს ოჯახის მიმართ ლალატის გზაზე შემდგარი იასონისთვის: „მე, დედოფალი დიდი კოლხეთის, როგორც კი მთხოვე, რომ დამესნეთ გმირები ჩემი ხელოვნებითაო“ (არგონავტიკა, გვ. 39).

ამდენად, იმ უძველეს საკაცობრიო კულტურასთან ხიდის გადება არცთუ ისე უპერსპექტი-ვოდ ჩანს. ამასვე გვიდასტურებდა იაკობ გოგებაშვილის მიერ ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ქართველური მოდგმის მონაწილეობაზე პირველსადამწერლობო სისტემის შექმნაში. ერთობლიობაში სახეზე გვაქვს ქართველური მოდგმის (იაკობით – „ორი რტო“) კულტურული განვითარების ევოლუციის პროცესი, რაც გულისხმობს სწავლა-აღზრდის ტრადიციის კრისტალიზებას მოდგმის გენეტიკაში, რაც, იაკობ გოგებაშვილის ლოგიკური გააზრებით, აისახა ქართველთა სწავლა-განათლებისადმი ნიჭიში. ეს განსაკუთრებული ნიჭი დიალექტიკური განვითარების პროცესში მთელი სისრულით აისახა ამ მოდგმის ჰუმანურ-კაცომოყვარულ ბუნებაზე.

იაკობ გოგებაშვილის თქმით: „ეს სასიქადულო კაცომოყვარეობა ქართველებს განასხვავებს თავიანთი ისტორიულის არსებობის ყოველ ხანაში. საქართველოს სამეფოში მოქცეულს ყოველ ხალხს ქართველებთან თანასწორი უფლება ჰქონდათ მინიჭებული და არასდროს არ განუცდიათ შევიწროება არც სარწმუნოებაში და არც ენის საქმეში. მათ მხოლოდ მოეთხოვებოდათ სახელ-მწიფოს ერთგულება“ (აქვე, გვ. 295).

ასეთია ქართველური მოდგმის გენეტიკური ნიჭი – ჰუმანიზმით გამსჭვალული, რომელიც თავის არსში გულისხმობს მაღალ სულიერ კულტურას, რომელიც წარმოუდგენელია სწავლა-განათლებისადმი სიყვარულის გარეშე.

ჩვეულებრივ, ქართველთა ამ სტუმართმოყვარული თვისებების დასტურად მიმართავენ ებრა-ელთა და ქართველთა საუკუნოვანი ურთიერთობის მაგალითს, როგორც ამას თვითონ გოგებაშვილიც აკეთებს. ის წერს: „საქართველოში ძველთაგან სცხოვრობდნენ ურიები; მაგრამ საშუალო საუკუნეებშიაც კი არ დასდგომიათ გაჭირვება ქართველთაგან და ურიების დარბევა, რაც ასე ხშირად იყო და ეხლაც არის ევროპაში, არასოდეს არ მომხდარა საქართველოში“ (იქვე). მაგრამ, ქართველური მოდგმის სტუმართმოყვარულ-ჰუმანური ბუნება უკვე, თუნდაც ჰომეროსის ხანიდან, მრავალგზის და მრავალ ფორმატში იქნა დადასტურებული და ერთხმად აღიარებული, თუნდაც კოლხთა ძლიერი მეფის – აიეტის მიერ დევნილი და უმწეო ფრიქსეს არა მარტო შეწყნარებით, არამედ მისი სიძედ დასმით და სრული სამოქალაქო უფლებების მინიჭებით სახელმწიფო დონეზე.

კოლხ-იბერიელთა ამ განსაკუთრებული სტუმართმოყვარული ნიჭის ელინთა მიერ, და არა მარტო, აღიარების დამოწმებაა ის, რომ როდოსელი აიეტს ათქმევინებს: „შვილებო ჩემი ქალიშვილის და ფრიქსესი, ვისაც ვეცი პატივი ყველა უცხო სტუმარზე მეტად“ (არგონავტ. გვ. 125, 300). მაშასადამე, კოლხთა სამეფოში სტუმართა პატივისცემა და მიღება განსაკუთრებული წესითაა განსაზღვრული, ფრიქსე კი გამორჩეულია.

მაშასადამე, სტუმართა მიმართ კეთილი დამოკიდებულება ტრადიციად ყოფილა კოლხ-იბერულ სამყაროში. ეს შტრიხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ უძველეს ეპოქაში ელინები (ინდოევროპელები) არა მარტო ხალხებს, არამედ თვითონ ზღვასაც კი არასტუმართმოყვარეს უწოდებდნენ.

ამიტომ, აიეტის მიერ დევნილ და უმწეო ფრიქსეს (ის ყმაა) ასეთი მაღალი, ელინთათვის აქამომდე წარმოუდგენელი სტუმართმოყვარული მიღება და მისი შემდგომი პროცესები: მისი აღზრდა-სწავლება, ამ დიდ ტრადიციებსა და სამეფო წესებს ზიარება, მეფის სიძედ გახდომა, მყარი ოჯახის შექმნა, რაც უმაღლესი სახელმწიფო მოხელის დონეზე აღზევებას გულისხმობს, არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში მაშინდელი, მცირე აზიურ-ეგეოსური საზოგადოებისთვის იმდენად შთამბეჭდავი მოვლენა უნდა ყოფილიყო, რომ ის შავი ზღვისთვის „არასტუმართმოყვარე ზღვის“ სახელწოდების „სტუმართმოყვარე ზღვად“ გადარქმევის საბაბად გამხდარიყო.

კოლხეთში ასეთი მაღალი დონის კულტურისა და სტუმარმასპინძლობის წესის არსებობის შესახებ ელადაში და ალბათ მთელ ინდოევროპულ სამყაროში გავრცელების მაჩვენებელია ის, რომ თქმულებამ დიდი პოპულარობა პოვა მთელ ეგეოსურ სივრცეში და გახდა საფუძველი მრავალი მაღალი დონის შემოქმედებითი ნიმუშის შექმნისა.

**სტუმარმასპინძლობის მაღალი კულტურა, პირველ რიგში, გულისხმობს აღზრდის მაღალ დონეს.** ეს მრავალგზის აქვს დადასტურებული როდოსელს. მტკიცე ტრადიციის არსებობითაა დაიმე-

დებული ქალკიოპე, რომ დაიყოლიებს თავის განსწავლულ დას – მედეას, რათა ის დაეხმაროს თავისი შვილების მოდგმის გმირებს დავალების შესრულებაში. ის ეხვენება მედეას: „გემუდარები, უშველე სტუმარს“ (იქვე, გვ. 136, 720), ხოლო, როგორც ზემოთ ითქვა, გვიან, ელადაში, ამ დიდ ნიჭის ჰუმანურობისას ახსენებს უმადურ იასონს მედეა. ყოველივე ეს კი აღიარებაა კოლხ-იბერთა სულიერი კულტურის მაღალი დონისა, რაც მათი **ალზრდელობითი ტრადიციის** მაჩვენებელიცაა, რასაც გვერდს ვერც როდოსელი უვლის და დიდი ოსტატობით აღწერს.

მედეა ეუბნება ქალკიოპეს: ჩემთვის შენზე და შენს შვილებზე ძვირფასი ქვეყნად არაფერი არის რამეო. ჩემთვის ისინი დისშვილები და თანაც ლვიძლი ძმები არიანო, ჩემი ტოლები და მახლობელნი. მეც, „შენი ლვიძლი და როდი ვარ მარტო – ვარ ქალიშვილიც, ასული შენი,

რადგან საკუთარ შვილებთან ერთად აკვანში ძუძუს მახლევდი შენა,

როცა ჯერ კიდევ ციცქა ვიყავი, – ეს დედისაგან ხშირად მსმენია!“ (იქვე, გვ. 137). მაშასადა-მე, საქმე გვაქვს მაღალკულტურულ მონოგამიური ოჯახის ტიპთან, სადაც **ალზრდის ტრადიცია** მაღალი მორალური პრინციპებითაა გაჯერებული, რომლითაც დღევანდლამდე სარგებლობს და არსებობს კოლხ-იბერული მოდგმის ტრადიციული ოჯახი.

აიელთა სულიერი და ცხოვრებისეული კულტურის ამ მაღალი გაქანების თავურსაწყისზე მი-თითებაა აიეტის მონოლოგი არგონავტთა საპატიცემლოდ გამლილ სუფრასთან, სადაც ავტორი მთელი სისრულით აღწერს იმ ვრცელ არეალს, სადაც მოქმედებდა და ნათესაური კავშირებით შერწყმული იყო ნინარეინდოევროპულ ცივილიზაციებთან.

აიეტი ეუბნება არგონავტებთან ერთად უკანმობრუნებულ თავის შვილიშვილებს: ხომ არ შეგექმნათ გზაში ხიფათი, რომ უკან მობრუნებულხართ? კიდევ კარგი, რომ მშვიდობიანად გა-დარჩენილხართ. აკი გეუბნებოდით და არ დაიჯერეთ, რომ მანძილი შორი და უსასრულოა, ე.ი. ლაპარაკია სივრცეზე, სადაც მისი მამა (ჰელიოსი) ეტლს დააქროლებდა. მაშასადა-მე, აღწერილია აიას (კოლხ-იბერული) მოდგმის მოქმედების არეალი.

აიეტი ჰელიოს: „ეს მე გავიგე, რომ მამის ეტლით ქვეყნიერება შემოვიქროლე –

როცა ჰელიოსს ჰესპირიაში მიჰყავდა ჩემი ლვიძლი და კირკე.

ჩვენ მივაღწიეთ ტირსენისს და იმ შორეულ ზღვის სანაპიროს,

სადაც გაშლილა **ჰესპირია და სადაც ბინადრობს ჩემი და დღესაც**“ (იქვე, გვ. 125) (ხაზი მ. ზ.). აქ აღწერილია აია – კოლხეთის ცნობიერი გზა კავკასიონიდან ჰესპირიამდე, რომელ არეალშიც ამ კულტურის მოქმედება წარმოუდგენიათ გვიან მოსულ ინდოევროპელებს – ელინებს, და მასში არც არასდროს **შეუტანიათ ეჭვი**; პერმანენტულად იმეორებენ ამ ცნობიერ-კულტურული – ნინა-ისტორიული ფენომენის არსებობას როგორც ისტორიულ, ასევე შემოქმედებით ლიტერატურაში.

მაშასადა-მე, აია – კოლხეთის კულტურულ-ცივილიზაციონული წრე მოიცავს მთელ იმ სამყაროს, რომელშიც **ავტორმა ყმა აიეტი ამოგზაურა მამის ეტლით შორს**, ჰესპირიაში გათხოვილი კირკეს მაყრად. ეს სივრცე კი, ბიბლიური წარმოდგენით, მოიცავს იმ არეალს, სადაც ჩაისახა ადამიანური ცივილიზაცია და დაფუძნდნენ ადამის შთამომავლები.

ამდენად, ძველი ცივილიზორული სამყაროსთვის კოლხ-იბერული მოდგმის უშუალო მონაწილეობა ამ საკაცობრიო პროცესში უეჭველია; ყოველ შემთხვევაში, ასეთი წარმოდგენა არსებობდა კოლხეთის უძველეს ცივილიზაციაზე ნინაზიურ და ძველ ელინურ-ლათინურ ხალხთა წარმოდგენაში, რომელიც **არავის უარუყვია** თვით ძველ ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებშიც კი, დაწყებული ჰომეროსით თუ ისტორიის მამით და დამთავრებული სტრაბონ-აპიანეთი თუ ოვიდიუსით, და მის იქითაც, ოდენ რუსულ-იმპერიული მმართველობის დამკვიდრებამდე. ამი-ტომ, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გულისხმობს შუმერულ ცივილიზაციასთან ურთიერთობას.

## ქართველური მოდგმის სულიერი რჩანიზების სათავეები

მაშასადა-მე, „ისეთი ფრიად რთული და ყოვლად ძნელი საქმე, როგორიც ადამიანის ალზრდა და სწავლებაა“ (იაკობ გოგებაშვილი), მაღალ მორალურ-ეთიკურ დონეზე მდგარა აია – კოლ-ხეთის სამეფოში ამ სამი ათას ხუთასი წლის წინათ, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ,

რომ მისი საფუძვლები წინარე ათასწლეულებშია საქებარი და დაახლოებით შეესატყვისება იმ ხანებს, რომელიც დადასტურებულია შუმერული „თიხის ფირფიტის“ საწყის ეტაპზე. ეს პერიოდი მოდის, როგორც კრამერი წერს, ყველაზე ნაკლები 3000 წლის წინანდელ ხანაში ჩვ. წ. აღ-მდე. მაშასადამე, დასაშვებია, ისეთი წინაისტორიული კავშირების არსებობა ამ უნივერსალურ ცივი-ლიზაციებს შორის ქრონოლოგიური მოცემულობებითაც გავამყაროთ. თუ კიდევ უფრო შორს წავალთ და ცივილიზორულ პროცესებში უფრო ღრმად „შევიქრებით“, მივადგებით მოდგმათა ურთიერთკავშირის საკითხს, რომელიც ჩვენს თანამედროვეთა შორის უმაღლეს შემოქმედებით დონეზე განმარტა ზვიად გამსახურდიამ.

ის თავის ლექციაში საქართველოს სულიერ მისიაზე მოდგმათა ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით ასე მსჯელობს: არსებობს გაგება სემიტური კაცობრიობისა, სემიტური ენებისა, სემიტური მოდგმისა, არსებობს გაგება ქამიტური მოდგმისა, რომელიც უკავშირდება ძველ ეგვიპტეს, აფრიკას, და არსებობს აგრეთვე იაფეტური მოდგმა. ეს სამი ძმა ბიბლიაში სიმბოლურად ასახავს გარკვეულ შტოებს კაცობრიობისას. ერთ-ერთი შტო – იაფეტური, წარლვნის შემდგომი მოდგმისა, ასევე უკავშირდება ძველი ბერძნული მითოლოგიის იაპეტოსს. შემთხვევით არაა, კავკასიას მიჯაჭვული პრომეთეს მამა იაპეტოსია. ყოველივე ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე პლანეტა იუპიტერი და იუპიტერის რასა, ანუ თეთრი რასა, იუპიტერის რასის პირველადი რასობრივი სუბსტრატი არის ეს იაფეტური, პროტოევროპული, პროტოიბერიული კაცობრიობა... და თავის მსჯელობას ასე აგვირგვინებს: „აი, ასე უკავშირდება რასის მისიას პროტოევროპული, ანუ პალეოკავკასიური, მედიტერიანული რასის მისია“ (ზ. გამსახურდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 204).

ასეთ უღრმეს შრეებში საკაცობრიო ცივილიზაციებისა ისახება იაფეტური უნივერსალური საზოგადოების ჰუმანიტარული აღმზრდელობითი კულტურა, რომლის „...ფრიად შესანიშნავი სათავიდან ანუ უკეთ, საძირკვლიდან, ქართველთა სულიერი ორგანიზაცია ანუ აგებულება... მომდინარეობს. ისინი „მოკლებული არიან ვიწრო ეროვნულს ინსტინქტს... ცალ-მხროვანებისა და აქვთ მიდრეკილება ფართო ადამიანობისადმი“ (ი.გოგებაშვილი, იქვე, გვ. 294), რომლის აშკარა გამოვლენა, როგორც ზემოთ ვნახეთ, უკვე გვაქვს აიეტის სამეფო კარზე.

აღმზრდელობითი პროცესების ისეთი მაღალი დონე, რომელიც დადასტურებულია არქეფაქტებით შუმერულ საზოგადოებაში და წერილობითი წყაროებით აია-კოლხეთის საზოგადოებასთან მიმართებაში, შეესაბამება იმ უმაღლეს ჰუმანიტარულ საზომებს, რომლის დაშვებულობა გონებას ძალუდს იმ შორეული ეპოქისთვის. ამის თაობაზე, შორი თუ ახლო საუკუნეების პედაგოგიური აზრის მონაცემებზე დაყრდნობით, იაკობ გოგებაშვილი აღმზრდის მაღალჰუმანური ბუნების გამომუშავების ევოლუციის თაობაზე წერს: ეგოისტ კაცთა და ტომთა არ ძალ-უძთ პედაგოგის სფეროში შემოქმედებითი ძალა აღმოჩენინო. ისეთი როტული და ყოვლად ძნელი საქმე, როგორიც ადამიანის აღმზრდა და სწავლებაა, შეიძლება ხელენიფეროდეს მას, ვისაც ასულდეგმულებს გულწრფელი სიყვარული მოყვასთა მიმართ. ეს აღნიშნული თავისებურება ქართველის ბუნებისთვის დამახასიათებელია (იქვე), რასაც ქედმაღალი ელინები უყოფები მიაწერენ აიას სასახლის მესვეურთ. მათი მაღალი სტუმართმოყვრული ტრადიციების გარდა, როდოსელთან აღწერილია მყარი სისხლით-ნათესაური კავშირების ტიპი, დაფუძნებული სიყვარულსა და ურთიერთთანაგრძობაზე. მედეა ეუბნება თავის დას:

„დაო ძვირფასო, მტლად დაგედები, გულით გაამებ!

დაე, დღეიდან ჩემდა სალენად ნუ გაბრწყინდება ცისკრის ნათელი,

ნულარ მიხილავ მეტად ცოცხალსა, და განთიადი არ გამითენდეს,

თუ ჩემთვის შენზე და შენს შვილებზე იყოს ძვირფასი ქვეყნად რაიმე!! (გვ. 136-137)

ასეთია გულწრფელი სიყვარული მოყვასთა მიმართ, რომელშიც ფორმირდება აღმზრდის მაღალჰუმანური ტრადიცია, რაც შემდგომ თაობებში დიდ გენეტიურ ნიჭად ჩამოყალიბებულა და პოსტშუმერულ ეპოქებშიც მაღლულად წარმოჩენილა, როცა ომმა და უბედურებამ, ურთიერთქიშპობამ და მტრობამ მოიცვა ეს სამყარო.

როგორც ი. გოგებაშვილი აღწერს, არსად არაა მითითებული, რომ ჩვენი იმ უძველესი მოდგმის წინაპრებს დატყვევებულ მტერთათვის ტყავი გაეძროთ, მტრების თავებით პირამიდები დაედგათ და ა.შ. მსგავსი რამ ულმობლობა ჩაედინათ, რითაც თავი მოსწონთ ასირიელებსა, ბაბილონელებსა და სხვა ხალხებს იმ დროის წარწერებში. ეს სასიქადულო კაცთმოყვარება ამ მოდგმის

ბუნებაშია მოცემული (იქვე, გვ.295) და პირველ რიგში აისახება **სწავლა-განათლების ნიჭიში**. ესაა ის ატრიბუტი, რომლის საფუძველზეც იქმნება მოდგმის (ერის) თვითმყოფადი კულტურა და აგრძელებს არსებობას მის ენაში, სარჩმუნოებაში, მხატვრულ აზროვნებაში, თვით მრავალფეროვან საყოფაცხოვრებო საქმიანობასა და სოციალ-პოლიტიკურ სისტემაში. აღზრდისა და სწავლების ეს უნივერსალურობა იმაშია, რომ მასში გენეტიკური ბუნებისა და ისტორიული მეხსიერების (ტრადიციების) განმსაზღვრელად გვეძლევა ის გონებისმილმიერი ზეცნობიერი იმპულსები, რაც მას ანიჭებს **გარდაუვლის** კატეგორიას და მოქმედებაშია ყველა დროში, ყველა ისტორიული მომენტისთვის გვაძლევს იმ სულიერ საზრდოს, გვაზიარებს იმ გარდაუვალ ლირებულებებს, რომლის გარეშე არ არსებობს ერის თვითკმარი არსი ზოგადსაკაცობრიო კულტურულ სისტემაში.

### დამთანდობისა და განათლებლობის კულტურის ურთიერთგანაირობებულობა

აღზრდისა და სწავლების პროცესის ეს ფენომენალური არსი, როგორც ზემოთ ვნახეთ, შუმერული „თიხის ფირფატების“ კულტურაში, ასევე, და უფრო მეტადაც, არგონავტების ხანის აია-კოლხეთის სინამდვილეში სრულფასოვნად წარმოჩნდა და ამიტომ მათი თანაარსებობის დაშვებულობა ჩვენი სწავლა-განათლების კულტურის საფუძვლად არა მარტო საგარაუდოდ, არამედ აუცილებელ პირობადაც შეიძლება გააზრებულ იქნეს.

ამასთან, არის ერთი და ალბათ არცთუ მეორეხარისხოვანი მომენტი, რომელზედაც კრამერი უთითებს; ის წერს: შუმერული სკოლა წარმოიშვა დამწერლობის წარმოშობის შედეგად, რომლის გამოგონება და განვითარება წარმოადგენდა მნიშვნელოვან საგანძურს საკაცობრიო ცივილიზაციაში (ს.კრამერი, დასახ. ნაშრ; გვ. 171). როგორც ზემოთაც ვნახეთ, ამ „გამოგონებელთა“ შორის ძველი ელინები მოიაზრებდნენ აიას სამყაროსაც. ამიტომ ეს მომენტი, სასკოლო სწავლა-აღზრდის კავშირისა დამწერლობის გამოგონებასა და დამკვიდრებასთან, სრულად შეესაბამება კოლხ-იბერული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების განვითარების ისტორიასაც.

ძველ წყაროებში, სადაც ლაპარაკია ქართველური მოდგმის სოციალურ-კულტურულ ყოფიერებაზე, ყველგან ნახსენებია მათში წერილობითი ნიშნების არსებობის შესაბამისი ფორმაც, დაწყებული მამათაგან ნაწერი კირბებით და დამთავრებული ფარნავაზის მიერ შემოღებული „დამწერლობა ქართულით“. ამ სათავეთა შესახებაა, რომ მთელი ევროპის გასაგონად, როგორც ზემოთ ვნახეთ, გონივრულად უთითებდა იაკობ გოგებაშვილი, რომ ვანის ოლქის ლურსმულ წარწერაში წილი უდევს გენეტიკური ქართველების აღმოსავლეთის შტოს, ხოლო ხეთთა კულტურაში – დასავლეთისაო. ეს პროცესი სადამწერლობო – ლიტერატურული კულტურის განვითარებისა წარმოადგენს წარმმართველს ქართველური მოდგმის სწავლა-აღზრდის მთელი ისტორიისა, რომელიც X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის დასაწყისისთვის იღებს დასრულებულ სახეს და გადაიზრდება ეროვნულ, ერთიან ქართულ საგანმანათლებლო კულტურაში.

ამდენად, ჩვენს საგანმანათლებლო კულტურას ფესვები გადგმული აქვს „აგრარულ (ქალქამდელი, პირველსაზოგადოებანი), – სადამწერლობო“ (ერნსტ გელნერი) საზოგადოებაში. დამწერლობისა და მისი ცოდნე სპეციალიზებული ფენის წარმოშობა კულტურის ისტორიაში შედარებულია ადამიანთა სახელმწიფოებრივად (სისტემურად) ფორმირებასთან. გელნერი წერს: არსებობს ერთი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კაცობრიობის ისტორიის აგრარულ პერიოდში და რომელიც თავისი მნიშვნელობით თავად სახელმწიფოს შექმნას შეიძლება შევადაროთ; ესაა დამწერლობის და სპეციალიზებული კლერიკალური ფენის წარმოშობა. ის პეგელს იმოწმებს, რომლის აზრითაც, თავიდან არავინ იცოდა კითხვა, შემდეგ ვიღაცებმა ისწავლეს და ბოლოს კი წერა-კითხვა ყველაშ შეძლო, „ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა იყოს გზა, რომლითაც დამწერლობა კაცობრიობის განვითარების სამ დიდ ეტაპში ჩაიწერება“. ის აგრძელებს: დამწერლობის სტაბილური და სტანდარტიზებული ნორმების შემოღებას (რომელიც სრულად იკვეთება ჩვენ მიერ მითითებული აიეტური კირბებისა და ფარნავაზისეულ „დამწერლობა ქართულის“ შემოღების პერიოდში) კულტურისა და ცოდნის დაგროვებისა და მისი ცენტრალიზაციისკენ მივყავართ (ერნსტ გელნერი, ერები და ნაციონალიზმი, გვ. 14/15, თბ. 2003წ.) აი სიღრმეები,

სადაც ფესვები გადგმული აქვს ქართველური მოდგმის აღზრდისა და სწავლების კულტურას. მისი კულტურული საზღვრები შორს სცილდება პოლიტიკურ საზღვრებს და „სამეფოს მილმა“ ვრცელდება იმ სივრცეში, სადაც აიტი მამის ეტლით მიმოდიოდა შორს, ჰისპირიამდე. ასეთი მიდგომა ამ საკითხისადმი სრულად შეესაბამება თანამედროვე დოქტრინებს კულტურისას, რომ „პოლიტიკური საზღვრების განმაპირობებელი ფაქტორები კულტურული საზღვრების განმაპირობებელისგან აბსოლუტურად განსხვავებული არიან (ე. გელნერი, იქვე, გვ. 19) აი, ამ დღი სივრცეში, თავისუფალ გარემოში, ისახება პროქართველური მოდგმის აღზრდისა და სწავლების კულტურა ე.ნ. აგრარო-დამწერლობით სისტემაში. თუ ლოგიკური ვიქნებით, სხვა რომ არაფერი, კავკასიაში აღმოჩენილი პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუშები, რომელთა ხანგრძლივობა ოთხი ათასი წლის წინანდელი ეპოქებიდან იწყება, იძლევა იმის საშუალებას, რომ ვივარაუდოთ, მათ კავშირი ეძებნება შუმერულ უნივერსალურ კერასთან. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ცნობა, რომელიც თეომურაზ ბაგრატიონის წიგნის მარი ბროსესეულ თარგმანშია დაფიქსირებული, რომ „არა უწიგნონი იყვნენ ქართველი უწინარეთა უამითაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე, სწრდნენ ისინი უხუცესთა წერილთა. ... და წერილი მათი არს წერილი ეს ხუცური ჩვენი... წერილი ხუცურნი პირველსა უამსა ქმნილ არს წერილისგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცური“ (გ.ლორთქიფანიძე, ნ.ჩიქვანი, ქართული კულტურის ისტორია, გვ. 110, თბ. 1997 წ.).

მაშასადამე, ამ სამყაროსთან ჩვენი დამწერლობისა და სწავლა-აღზრდის კულტურის კავშირი არა მარტო ელინურ წყაროთა მოწმობით, არამედ არქეოლოგიური თუ ბევრი სხვა საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებებითაც დგინდება.

ქართულ-შუმერულ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო კულტურის კავშირების ურთიერთგავლენის შესაძლო დაშვებულობის თაობაზე მსჯელობა გვინდა დავასრულოთ ოფიციალურ ისტორიულ წაშრომში – „საქართველოს ისტორია“ (ერთომეული) – თანამედროვე მეცნიერულ დონეზე აღიარებული მოსაზრებების მოხმობით. ავტორები წერენ: ფრიად საინტერესოა წინარე ქართველურ-შუმერული ლექსიკური შეხვედრები. ენათმეცნიერების მიერ დადგენილია ორასზე მეტი შუმერული სიტყვა. ქართველთა წინაპრების სამხრეთ მესოპოტამიაში ცხოვრება სრულიად გამორიცხულია. როგორ უნდა აიხსნას ეს ენობრივი შეხვედრები?

ამ პრობლემას ისინი ასეთ ახსნას უძებნიან: შუმერები არ ითვლებიან ავტოქთონურ მოსაზრებად და საიდანლაც მოსულებად მიიჩნევიან, კონკრეტულად მთიანი რეგიონებიდან, მათ შორის ჩრდილოეთიდან, კერძოდ კავკასიიდანაც, სადაც უნდა განხორციელებულიყო ეს ლინგვისტურად დამოწმებული ურთიერთობანი. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ძვ.წ. IV ათასწლეულის კავკასიური არქეფაქტების თანხვედრა შუამდინარული ობეიდის და ურუქის კულტურებთან! შესაბამისად, უშვებენ, რომ საერთო ქართველურ ეთნოსთან მათ ურთიერთობა ძვ. წ. V-IV ათასწლეულთა მიჯნაზე მაინც უნდა ჰქონოდათ. ამიტომ თვლიან დასაშვებად საერთო ქართველურ კავშირებს წინარე სემიტებთან, წინარე ინდოევროპელებთან და შუმერებთან; ბუნებრივად მიაჩნიათ ქართველური მოდგმის კულტურული მოღვაწეობა ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში (საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან 2009 წლამდე, ავტორთა კოლექტივი, გვ. 24/25, თბ. 2012).

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ მეცნიერულად აღიარებულ ეთნო-ლინგვისტური კავშირურთიერთობების შესაძლებლობებს ამ უძველესი ხანისთვის, როგორც ზემოთ მოხმობილი თეორიული დოქტრინებიდან იკვეთება, ის კულტურული ურთიერთობანი, რომლებიც ყოველგვარ ეთნო-პოლიტიკურ საზღვრებს ანგრევენ და ადასტურებენ ადამიანთა მოდგმის ერთიანობას, ამ შემთხვევაში გენეტიკური და მეტაფიზიკური საზრისითაცა გამყარებული და ნათელს ხდის ამ სივრცეში აღზრდისა და სწავლების ტრადიციების ურთიერთგავლენას. შესაბამისად, თუ მივიღებთ მხედველობაში უპირველესი შუმეროლოგის ს. კრამერის უდავოდ სწორ მოსაზრებას, რომ შუმერული სკოლა წარმოიშვა იმ ლურსმული დამწერლობის შედეგად, რომლის გამოგონება და სრულყოფა არის უდიდესი წვლილის შეტანა ცივილიზაციის ისტორიაში, მაშინ ეს გენეტიკური და სულიერ-მეტაფიზიკური ურთიერთობანი სასწავლო-აღმზრდელობით კულტურაში უნდა გამოვლენილიყო ქართული დამწერლობის განვითარების საკითხშიც.

## ეპოქული ახდენური დამცველობა და სწავლა-აღზრდის საკითხები

ზოგადი ქართული დამწერლობის შექმნის თაობაზე მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გა-მოთქმული როგორც ქართულ, ასევე ევროპულ მეცნიერულ წრეებში. ი. ჯავახიშვილის აზრით, ორიგინალური ქართული ანბანური დამწერლობის შექმნის უკიდურესი შორეული ზღვარი ძვ.წ. VII საუკუნეში უნდა დაიდოს, ქვედა – ძვ. წ. III საუკუნეში. ამ მხრივ საინტერესოა რ. პატარიძის თანამედროვე კვლევა. მეცნიერი ხანგრძლივი კვლევის შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართული ანბანი შექმნილია ქართველ ქურუმთა წიაღში, ებრაულ-ფინიკიური დამწერლობისა და ქალღველთა ხანის ბაბილონური დამწერლობის საფუძველზე (გ. ლორთქ. ნ.ჩიქ. დასახ. ნაშრ, გვ. 111). ამ დამწერლობათა სუბსტრატი კიდევ შუმერთა შემოქმედების ნაყოფია, რომელთა კვალ-დაკვალ მოქმედებაში იყო „ნინაპართა მიერ შექმნილი“ დამწერლობა კირბების სახით. მეცნიერის მტკიცებით, ქართული ანბანი შექმნილია ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე (ბერძნული დამწერლობის მიღწევათა გათვალისწინებით) ძვ.წ. 415-410 წლებში; მისი შექმნელი იყო იმდრო-ინდელი როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ცოდნის ზედმინევნით მფლობელი პიროვნება, ქართველი ქურუმი, საფიქრალია, ქართველი პითაგორელი, რომელმაც ქართულ ასომთავრულში განახორციელა დასავლურ-აღმოსავლური კულტურების მონაპოვართა და საკუთრივ ქართული კულტურის სინთეზი, როგორც საიდუმლო ცოდნა (იქვე. გვ. 112/113). რა თქმა უნდა, ამ შეხე-დულებათა აქსიომური მიღება საკუთრივ ქართული ანბანური წერითი სისტემის ჩამოყალიბებაში ბევრ წინააღმდეგობასთანაა დაკავშირებული, თუნდაც ამ ფონებთა შექმნის საფუძვლად არა ფინიკიურის, არამედ ბერძნულის აღიარება, როგორც ამას ამტკიცებენ თ. გამყრელიძე და ბევრი სხვა ენათმეცნიერი. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თვითონ ბერძნული ფინიკიურის შეილობილია, ჩვენი თემისთვის უფრო საინტერესოა ამ დამწერლობის შექმნის არა ტექნიკური მხარე, არამედ მისი მეტაფიზიკური და სულიერ-გენეტიკური ბუნება, რომელიც ასაზრდოებს ქართველური მოდგმის აღმზრდელობითსა და სწავლებითს კულტურას. ამიტომ ამ დამწერლობა-ში მოცემული აღმოსავლურ-დასავლური კულტურების უმაღლეს მონაპოვართა მოცემულობები შერწყმულად უნდა ასახულიყო ქართულ საგანმანათლებლო სისტემათა ფორმირების პროცესში და, შესაბამისად, ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციებში, მის კულტურაში, რომელიც აღწევს პიროვნული ექსისტენციის დონეს და ღიაა ყოველგვარ „გარეშეთა“ მიმართ.

## უძველესი სააღმზრდელო სისტემების ფსიქო-მორალური კავშირების გამოვლინებანი

ეს პოტენციური შესაძლებლობა ქართული განათლების კულტურისა მოცემულია მასში თვით პირველსადამწერლობო სისტემის არსიდან და ვითარდება სასკოლო სწავლების იმ უძვე-ლეს ფორმებში, რომელთა პროტოტიპადაც ცივილიზებულ კულტურებში შუმერული სკოლებია აღიარებული.

ამასთან, არის ერთი და ალბათ არცთუ მეორეხარისხოვანი, გარემოება, რომელზედაც უთი-თებს კრამერი, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინათ შედგენილი სასკოლო მასალები, მასწავლებლის დღიური თუ მოსწავლეთა ნამუშევრები გვიდასტურებენ იმას, თუ რამ-დენად მცირედით არის შეცვლილი ადამიანური ბუნება გასული ათასწლეულების განმავლობაში“ (C. კრამერ, იქვე, გვ. 23). ამის გათვალისწინება არა მარტო ჩვენი საკითხისთვისაა მნიშვნელოვა-ნი, არამედ ზოგადად ცხოვრების ყველა მომენტისთვის და ამიტომ ის თავში უნდა „ჩაიპეჭდონ“ იმ „ანტიისტორიკოსებმა“, რომელთათვის ისტორია ოდენ წარსულია და იმ შორეულ ეპოქაში მიმდინარე პროცესების მონაწილეებსა და მათ საქმეებს, მათ მიერ გამოვლენილ შემოქმედებით ნიჭსა და დახარჯულ ენერგიას არავითარი შემხებლობა არა აქვს თანამედროვე პროცესებთან და მით უფრო ჩვენს ექსისტენციასთან. ვინაიდან, თითქოსდა ჩვენ სულ სხვა კატეგორიებით ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ (რა თქმა უნდა, იგულისხმება შეუდარებლად უფრო მაღალი დო-ნე), ვიდრე იმ უხსოვარ წარსულში მოღვაწე-მასწავლებელი თუ საკუთრივ აღსაზრდე-ლი – მოსწავლე. მაგრამ ვაი რომ ეს ასე არაა და ჩვენი ფსიქო-მორალური განწყობილება და, შესაბამისად, პედაგოგიური მიზანდასახულობა მცირედით თუ შეიცვალა და ისიც, ვინ უწყის,

უკეთესობისკენ თუ უარესობისკენ, თვით აღზრდისა და სწავლების მეთოდის გათვალისწინებით, თუნდაც დღევანდელობისთვის ყბადალებული თემა: მოსწავლეთა მიმართ (ზოგადად სწავლების პროცესში) ძალადობის საკითხი, რომელსაც შუა საუკუნეებიდან ებრძვიან, მაგრამ ვერ დაუძლევიათ თითქოს. სინამდვილეში საკითხი ეხება მარტივ რაღაცას, არის თუ არა ზნეობრივად განონასწორებული სიმკაცრე აღზრდის პროცესის შემადგენელი ნაწილი (სხვათა შორის, თითქმის ყველა სახელგანთქმული შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე, სპორტსმენი და ა.შ. ასეთ მიდგომას დადებით მოვლენად მიიჩნევენ. მითუმეტეს, ოჯახური აღზრდის პროცესში), თუ ის ძალადობის გამოვლინებაა სწავლების პროცესში.

ამ საკითხის უძველეს ფესვებზე მოგვითხრობს სამუელ კრამერი იმ დოკუმენტზე დაყრდნობით, რომელიც შემოგვინახა ახლო აღმოსავლეთის მიწამ და მეცნიერი უნიდებს ერთ-ერთ ყველაზე ადამიანურ დოკუმენტს, მიძღვნილს შუმერული მოსწავლის ყოველდღიური ცხოვრებისადმი.

შუმერული მოსწავლე, რომელზედაც მოგვითხრობს ტექსტი, – წერს ის, – ძალიან წააგავს თანამედროვე მოსწავლის ყოფას. მას ეშინია დააგვიანოს სკოლაში, რადგან ამისთვის დასჯიან „ჯოხით“ (გაიხსენეთ აკაკის „ლინეიკით“ დასჯა), ამიტომ გაღვიძებული ის აჩქარებს დედას, რომ ჩქარა აჭამოს საჭმელი. სკოლაში ყველა დარღვევისთვის პასუხს თხოვს მასწავლებელი ან მისი თანაშემწე: ჯერ იყო და დაგვიანების გამო დასაჯეს, მერე კი სხვადასხვა საგნის მასწავლებებისგანაც ბევრი მოხვდა იმ დღეს: ზედმეტი ლაყბობის, ადგილიდან ნებართვის გარეშე ადგომის, სკოლის ეზოს გარეთ გასვლის გამო, მაგრამ ყველაზე დიდი სიმწარე ის იყო, რომ მასწავლებელმა მას უთხრა, შენი ხელი (კალიგრაფია) არაფრად არ ვარგაო და ისევ დასაჯა.

არანაკლებ საინტერესოა და ჩვენს თანამედროვე პრატიკასთან რაღაცნაირი პარალელი ექვენება მასწავლებლის დღიურში აღნერილ ამ ყოველდღიური პროცესების ერთ-ერთი მაგალითის „კეთილ დასასრულს“. კრამერი აგრძელებს: ეტყობა, ბავშვისთვის ყოველივე ეს ნამეტანვი აღმოჩნდა და მამას მიმართა, რომ მასწავლებელი დაეპატიურებინა სახლში და მიერთმია მისთვის რამე საჩუქარი, რათა გულმოწყალება გამოეჩინა მის მიმართ. კრამერი მას პირველ „პოდხალიმს“ უწოდებს, მაგრამ აქ უფრო დიდ მოვლენასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ბავშვური „პოდხალიმბაა“, კერძოდ იმასთან, რომ სწავლა-განათლების პროცესი მუდამ იყო გარეშე ფაქტორების ზემოქმედების პროცესი და იქ ხდებოდა ყოველგვარი ის მანკიერებანი, რაც საზოგადოებაშია ფეხგადგმული. ამ შემთხვევაში, თანამედროვე კოდიფიკაციით, სახეზე გვაქვს მოსყიდვისა და ქრთამის აღების ფაქტი.

მამამ მიიღო შვილის ეს წინადადება. მასწავლებელი დაპატიურეს სტუმრად; როცა ის შემოვიდა სახლში, დასვეს საპატივცემულო ადგილას. მოსწავლე ემსახურება სტუმარს და ამასთან მამას აჩვენებს მის მიერ ფირფიტაზე დაწერილ დავალებას და უმტკიცებს, რომ ის ამ საქმეში კარგად განსწავლულია.

მამა კარგად გაუმასპინძლდა მასწავლებელს და მიართვა საჩუქრები: ტანსაცმელი (ალბათ მოსასხამი), კიდევ სხვა ბევრი რამ, თითზე ბეჭედიც კი გაუკეთა. ამით ძალზე კმაყოფილი მასწავლებელი ახასიათებს მოსწავლეს, რომ მან კარგად შეისმინა მასწავლებლის დარიგებანი და სრულად დაეუფლა მწერლის ხელოვნებას, რომ ის საუკეთესოა თავის ძმებსა და მეგობრებს შორის: შენ კარგად სწავლობდი სკოლაში და აი, უკვე ხარ ნასწავლი კაციო. ასე კეთილად მთავრდება ამ „ფირფიტა-დღიურის“ თუ მაშინდელი სასკოლო სისტემის მანკიერებაზე დაწერილი პამფლეტი, რომელიც თავისი იუმორისტული ინტონაციითა და გემოვნებით დიდად აჭარბებს დღევანდელ ტელესკანდალებს ამ თემებზე.

მეცნიერის დასკვნით, შუმერული სკოლა იყო უხეში და არაკეთილგანწყობილი, სასწავლო პროგრამა – მშრალი, სწავლება – მოსაწყენი და ერთგვაროვანი, დისციპლინა – მკაცრი, ამიტომ არაფერია იმაში გასაკვირველი, რომ მოსწავლეებს იქ არ მოუხაროდათო (C. Kramper. დასახ. ნაშრ. გვ. 24/26).

მიუხედავად შუმერული სკოლის ასეთი მკაცრი შეფასებისა, თანამედროვეობამდე ისე მიაღწია განათლების სისტემამ, რომ ის აღზრდისა და სწავლების ამ სუბსტრატს დიდად არ მოსწყვეტია. დღემდე ვერ შექმნილა ისეთი სკოლა, სადაც მოსწავლეებს მიეჩაროდეთ და დიდი ენთუზიაზმით აღავსებდეთ იქაური წესრიგი. ისეთი სკოლის შექმნის მცდელობა, სადაც ყველას უნდა მიუხაროდეს და სწავლა-განათლების მიღება შეიძლებოდეს თამაშ-თამაშით, გონებრივი დაძაბულობისა

## განათლება

და ფიზიკური დატვირთულობის გარეშე, სრული აბსურდია, სხვა რომ არათერი, ის დაარღვევდა აღზრდისა და სწავლების არა მარტო მეტაფიზიკურ და მეტაისტორიულ (გენეტიკურ) ბუნებას, არამედ მის რაციონალურ თავურსაწყისასაც, რომელიც პოეტურად, მთელი სისრულით გადმოგვცა დავით გურამიშვილმა თავის უზადო სიტყვა-თქმაში სწავლის მძებნელთა მიმართ:

„ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;

თავს სინანული სჯობია ბოლოუამ დანანებასა, –

ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლის ვნებასა.“.

და „თუ ცურვასა არ ისწავლით, ვერ გაუხვალთ წყალთა ღრმათა,

წკეპლის ცემით დაშუშხვა სჯობს საუკუნოდ ცეცხლში ბმათა!“

ეს „წკეპლით დაშუშხვა“ არაფრით განსხვავდება შუმერული „ლერწმის ჯოხით ცემისგან“ და არც აკაკისეული, ხელის გულზე „ლინეიკის“ ტყაპუნისგანაც. მაგრამ, ეს ასატანი სიმწარე ამაოება იქნება, თუ მას თან არ ახლავს დიდი სიბრძნე და სიყვარული მოძღვრისა – მასწავლებლისა. დავითიც თავის ათ შეგონებას ყრმათათვის სწორედ ამ ბრძენი – მასწავლებლის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებით ამთავრებს:

„ან ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია;

ცხოვრობდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია;

ბრძენმა არ უნდა იკადროს, ურიგო რაც რამ ფერია,

ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია“.

ბრძენი-მასწავლებლის ასეთი იდეალური სახის დახატვა იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ გურამიშვილის ეპოქაში ამ იდეალის ანტიპოდური პროცესები ჭარბობდა საზოგადოებაში და მისი დაძლევა იყო აუცილებელი პირობა ერის გადარჩენისთვის, ე.ი. „ბაძით არ წახდენისთვის“.

ამდენად, ის პრობლემები, რაც გამოკვეთილად ჩანს შუმერული სასკოლო ცხოვრების ასპარეზზე, მარადიული პრობლემებია სწავლა-აღზრდის საკითხისა. მარადიულ პრობლემებს კი მარადიული ყურადღება სჭირდება და იმ სულიერ-მეტაფიზიკური შემადგენლის წინ წამოწევა, რომელიც იმთავიდანვე აღავსებდა აღზრდის პროცესს ზნეობრიობით – სიყვარულით და სიხარულით, და წარმართავდა სწავლების მიმდინარეობას, ანიჭებდა მას შემოქმედებით ფორმას (სახეს), არ ტოვებდა მას წმინდა მექანიცისტურ და დოგმატურ-კანონმდებლურ „პროფესიონალიზმის“ იმ მარწუხებში, რომელიც ასე გამოკვეთილად ჩანს შუმერული სკოლიდან მოყოლებული დღესამომდე.

მაშასადამე, სწავლა-აღზრდის პროცესს, პირველ რიგში, სჭირდება სული! სული – აღვსებული ჭეშმარიტი ზნეობითა და შეგნებით და არა „ყალბი ცნობიერების“ იდეით, რომელსაც ბაძებს მექანიცისტურ-ხელოვნური შემოსაზღვრულობა შემეცნებისა.

## ზეობრივ-ეთიკური საკითხები განათლების პროცესი

სწავლა-აღზრდის მიზნის განსაზღვრა უნდა მოხდეს არა მხოლოდ მისი რაციონალური სარგებლიანობის თვალსაზრისით, არამედ აუცილებელია მისი გაყვანა ამ აუცილებლობის შეგნების მიღმა და აღვსება სიკეთის, მშვენიერების და ჭეშმარიტი სიყვარულის ენერგიით, ამ გზით ისეთი ადამიანის აღზრდა, რომლის არსებობაც უნდა შეესაბამებოდეს მის არსებობას, ე. ი. გააღვიძოს ადამიანში ის ღვთითბოძებული ნიჭი, აღაგზნოს მასში ის სასიცოცხლო ენერგია, რომელიც გააწონასწორებს მის არსებობას – არსთან. ამიტომ განათლების მთელ სისტემაში პრიმატი უნდა მიენიჭოს იმ ზნეობრივ-ეთიკურ პროცესებს, რომელზედაც ჯერ კიდევ რუსო აკეთებდა აქცენტს. ის კითხულობდა: „ვითარდება თუ არა ზნეობა, ჩვენი ადამიანების კეთილშობილება, მეცნიერების, ხელოვნების და ტექნიკის განვითარებასთან ერთად? ხომ არა აქვს ადგილი ზნეობის დონის ჩამორჩენას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონიდან?“ ჩვენთვის საინტერესოა, როგორია ჩვენს თანამედროვე ეპოქაში ამ კითხვისადმი დამოკიდებულება ზოგად კულტურასთან კონტექსტში, რომელიც მთელი სისავსით ესადაგება ასევე სწავლებისა და აღზრდის – განათლების კულტურას.

ანგია ბოჭორიშვილი თავის წერილს „რა არის კულტურა“ ასე ამთავრებს: „ყველა ლირებულებას შორის, რომლებითაც კულტურა ამ საპატიო სახელს იმსახურებს, უმაღლესია ზნეობრივი ლირებუ-

ლება. კულტურის განვითარება, კულტურის დონე. საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურულობა იზომება, პირველ რიგში, იმის მიხედვით, თუ რაოდენ ასწია მან ადამიანის ზნეობა, რაოდენ გააუმჯობესა მან ადამიანი, როგორც ზნეობრივი არსება“ (კრ. კულტურა. ფილოსოფია, ლირებულებები, გვ. 27, თბ. 2009 წ.). მეცნიერის ამ წყალგაუვალი შეხედულებით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურულობა იზომება იმით, თუ რამდენად შეეხიდა ის ამ საზოგადოებაში ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის საქმეს, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზნეობრივადაა გამართული ამ საზოგადოების აღზრდისა და სწავლების კულტურა. რამდენად კეთილშობილურია ის პრინციპები, რომლებზედაც აგებულია ეს საგანმანათლებლო სისტემა, რომელმაც თავის თავზე აიღო იმ ადამიანის აღზრდა, რომელიც, რუსოს თქმით, ზნეობრივი არსით დაბადებიდანვე არის დაჯილდოებული და ამას ყველა ამოიკითხავს თავისი გულიდან, თუ სინდის მოუსმენს.

მაშასადამე, სწავლა-აღზრდის პროცესი იმთავიდანვე ზნეობრივ ნორმებთანაა დაკავშირებული და ყველგვარი გადახრა ამ გეზიდან უსათუოდ მიგვიყვანს მორალურ კრიზისამდე და, აქედან გამომდინარე, მთელ რიგ მანვიერ გამოვლინებამდე, რომლის მაგალითიც ზემოთ ვნახეთ 4000 წლის წინანდელ ტექსტში და არანაკლები მახინჯი ფორმა აქვს მიღებული ჩვენს ეპოქაში, თითქმის ყველა სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო რუსულ კოლონიალურ სინამდვილეში და ყველა მასთან მიბმულ კულტურაში, მან ძლიერ დააზიანა ის ზნეობის ადგილის იდეოლოგიით ჩანაცვლებით. ეს კი მომაკვდინებლად საშიშია სწავლა-აღზრდის კულტურისათვის, რომლისთვისაც ზნეობა წარმოადგენს უმთავრეს დასაყრდენს არსებობისა და განვითარებისა.

ამდენად, განათლების კულტურის არსის ამოსავალი ის ზნეობრივი საწყისები ყოფილა, „რომლებიც დაბადებიდანვე არიან ჩანერილი ადამიანის გულში“. შესაბამისად, განათლების კულტურის სრულყოფილი სახის შენარჩუნებისთვის აუცილებელია გვასხვდეს რუსოსეული გაფრთხილება, რომ „ყველაფერი კარგია, რაც გამოდის ღვთის ხელიდან, ყველაფერი ფუჭდება ადამიანის ხელში“ (იქვე), მაგრამ არა ისე, რომ თითქოსდა ეს „გაფუჭება“ გარდაუვალი და დაუძლეველი პროცესია და ამიტომ პირი უნდა ვიბრუნოთ პირველყოფილობისკენ და პროტესტი გამოვთქვათ მეცნიერული განვითარების წინააღმდეგ, არამედ სწორედ აღზრდის ზნეობრივი შინაარსის წინ წამოწევის გზით ვისწავლოთ სინდისის მოსმენა, რომელიც წაგვაკითხვინებს ჩვენს გულში იმთავიდანვე „ჩანერილ“ ზნეობრივ თავურსაანყისებს და მით შევძლებთ იმ ეთიკურ-ესთეტიკური ნორმების ჩამოყალიბებას, რაც გვიხსნის ამორალურობის ჭაობში ჩაძირვისაგან.

ადამიანში ასეთი შესაძლებლობა რომ არსებობს, ამის გარანტიას გვაძლევს წმინდა წერილში გაცხადებული: რომ „შექმნა ლმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი“... ადამიანის ღვთის ხატად შექმნა გულისხმობს მისი პოტენციის შეუზღუდველობას კეთილის ქმნადობის მიმართებით, აღზრდისა და სწავლების მიზანი კი უნდა იყოს იმ პოტენციურ შესაძლებლობათა სრულყოფილად წარმოჩენა და განვითარება; პირველ რიგში, წინ აღდგომა ყოველგვარი ბოროტეულის მიმართ, როგორც არაღვთიური ცოდვისმიერი წარმონაქმნისა.

მეცნიერება და ხელოვნება თავისი პირველსაზრისით, რა თქმა უნდა, არ განეკუთვნება არა ღვთისმიერ გამოვლინებას. მასში ეს ცოდვისმიერი ელემენტები ზნედაცემულობის გზით შეაღწევს ხოლმე, როგორც ბევრ სხვა ადამიანურ გამოვლინებაში, ამიტომ სრულად მისაღები და გასათვალისწინებელია ა. ბოჭორიშვილისეული კრიტიკა რუსოს ამ კონკრეტული შეხედულებისა, „მეცნიერებისა და ხელოვნების გამრყვნელი ბუნების თაობაზე“, რომელსაც გლობალიზაციის ამ ჩვენს ეპოქაში ხელზე იხვევენ და ათასნაირად ატრიალებენ რეაქციონერი საბჭოურ-რუსული „წითელი ინტელიგენციის“ წარმომადგენლები თუ მათი უგვანო გამონაყარნი. კიდევ უფრო საშიში არის ის ფენომენი, რომელიც ცოდნას (რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მეცნიერულსა თუ წმინდა სახელოვნებოს) ზნეობას აშორებს, ამკვიდრებს აზრს: „ვინც მეტი იცის, ის ზნეობითაც მაღლა დგას, ხოლო ვისაც აკლია ცოდნა, მას ზნეობაც აკლია“ (იქვე), მაგრამ, როგორც მეცნიერი განმარტავს, ასეთი ფორმულა და კრიტერიუმი ზნეობისა, რასაკვირველია, მცდარია, ცოდნა და არცოდნა ყოველთვის როდი განსაზღვრავს ზნეობის საკითხს. ის წერს: რუსო არ იყო მართალი, როცა კეთილშობილების გაქრობას მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას აპრალებდა. შინაგანი წინააღმდეგობა ზნეობას და მეცნიერებას შორის არ არსებობს. ერთიც და მეორეც მო-

ითხოვს ზნეოპტიკას, კეთილშობილებას.

ზნეობის დაცემას განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ძალები, რომელთა წინა-აღმდეგ ბრძოლა თვით მეცნიერებისა და ხელოვნების შესაძლებლობათა გამოყენებასაც მოითხოვს. მიუხედავად რუსოს მოსაზრების მიუღებლობისა, ავტორი კეთილგონივრულად გვაფრთხილებს: მუდამ გვახსოვდეს რუსოს აზრები და არ მოვხსნათ დღის წესრიგიდან ამოცანა: „ვითარდება თუ არა ზნეობა, ჩვენი ადამიანების კეთილშობილება მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად? ხომ არ აქვს ადგილი ზნეობის დონის ჩამორჩენას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონიდან?“ (იქვე).

მაშასადამე, სწავლა-აღზრდის პროცესის მიზანმიმართულობა უნდა განისაზღვროს ადამიანში მოცემული ზნეოპტიკის პოტენციის სრული გახსნილობით სწავლებისა და მასში მოცემული ნიჭის შესაფერისი ცოდნის დაგროვებისკენ, სადაც ეთიკურისა და ესთეტიკურის ერთიანობა გარანტი-რებულია, მშვენიერი და სასიამოვნო არ მოდიან წინააღმდეგობაში ზნეოპტიკისან და ეთიკურთან, შილერის თქმით, როცა ჭეშმარიტად მშვენიერს არაფერი აქვს საერთო ამორალურთან.

### ოჯახური აღზრდის ისტორიული ფესვები და მისი გავლენა

ადამიანის არსში მოცემული ამ პოტენციის ამოქმედება იმთავიდანვე დაკავშირებულია დედის არსთან, მის აღმზრდელობითს ბუნებრიობასთან, რომლიდანაც ის იქვევა ხელოვნებად. მისით ხდება ღვთითბოძებული ნიჭისა და ზნეოპტიკი ნორმების „შავი ხვრელის წყვდიადიდან“ ამოღება. გოეთე იტყვის: „სიცოცხლის გამჩენი დედები – შემქმნელი და მფარველი პრინციპი, საიდანაც იღებს სათავეს ყველაფერი, რასაც დედამიწაზე ეძლევა ფორმა და სიცოცხლე: ამრიგად, მიწიერი ყოფიერების მარადიული მეტამორფოზა, შობა და (აღ)ზრდა... ესაა გაუწყვეტელი და დაუღალავი ჯაფა დედებისა“ (გოეთეს საუბარი ეკერმანთან, გვ. 293, თბ. 1988 წ.). დიდი გენიოსი ეუბნება ეკერმანს, რომ „ფაუსტში“ ჩადებულ ამ „იდეამდე დედისა“ ის მიიყვანა პლუტარქეს მიერ თქმულ-მა, რომ ძველ საპერძეოთში დედებზე ისე ლაპარაკობენ, ვითომც ლვთაებებზეო. ასეთი მიდგო-მა დედის იდეისადმი, მისი აღმზრდელობითი გრძნობების მიმართ, სრულადა მისადაგებული კოლხური აღმზრდელობითი კულტურისადმი და დადასტურებული როდოსელის მიერ, როგორც ზემოთ ვნახეთ, მედეას დიალოგში დასთან – ქალკიოპესთან თუ საკუთარ თავთან, რომელსაც ის ეპრძვის იასონისთვის მაშველი ხელის განვდენის წინ.

მაშასადამე, სწავლა-განათლების კულტურა კონკრეტულად, აღმზრდელობითი არის ის, რაც ადამიანს და მის საზოგადოებას ანიჭებს ზნეოპტიკის გამოვლინების უნარს და მის სიცოცხლეს ხდის ფასეულს. კანტის მიერ ზნეოპტიკი კანონზე თქმულის პერიფრაზით თუ ვიტყვით, დედობ-რივი (ოჯახური) აღზრდა არის ის მამოძრავებელი ზამბარა, რომელსაც ძალუბს აღსაზრდელის ქმედებას(ებს) მორალური ღირებულებანი მიანიჭოს, ე.ი. აამოქმედოს მასში მოცემული ლვთიური (ბუნებრივი) ზნეოპტიკი და გამოვლინოს პიროვნული კეთილი ვნება, კანტი რომ განმარტავს: „...ეს ჩვენთვის იდეაში შესაძლებელი ნება არის საკუთრივ ის, რაც პატივისცემის საგანია; და ადამიანების ღირებაც სწორედ ამ უნარში მდგომარეობს“ (ი. კანტი, ზნეობის მეტაფიზიკის და-ფუძნება (გვ. 227, თბ. 2013 წ.), ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ნება ვერ იქ-ნება ერთადერთი და მთელი სიკეთე, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა იყოს უმაღლესი სიკეთე და პირობა ყოველივე დანარჩენი სიკეთისა, ბედნიერებისკენ მისწრაფებისა. აქ მოქმედებაში მოდის გონების კულტურა, რომელიც სხვადასხვა სახით ზღუდავს, ზოგჯერ კი აუქმებს კიდეც მუდამ შეპირობებული მიზნის, სახელდობრ, ბედნიერების მიღწევას, ვინაიდან მის უმაღლეს პრაქტიკულ მოწოდებას კეთილი ნების დაფუძნებაში ხედავს, ამ მოწოდებას კი ისევ გონება განსაზღვრავს. აქ კეთილი ნების ცნება, ე. ი. ის ცნება, რომელიც მუდამ პირველობს ჩვენი ქმედობის მთელი ღირებულების შეფასებისას და წარმოადგენს ყოველივე დანარჩენის პირობას, მიგვიყვანს მო-ვალეობის ცნებამდე. ეს უკანასკნელი შეიცავს კეთილი ნების ცნებას (ი. კანტი, დასახ, ნაშრ. გვ. 55-57). აქ კი მოქედებაში მოდის აღზრდის კულტურა, როგორც „გონების კულტურის“ პასუხის-მგებლობითი ნაწილის პრაქტიკული გამოვლინება. მისი როლი და დანიშნულება განსაკუთრებით წარმოჩნდება იმ კრიზისულ ეპოქებში, როცა სოციალურ-პოლიტიკური პროცესები აზიანებენ

კულტურას და, რაც მთავარია, საზოგადოებრივი ცხოვრების მორალურ მხარეს; საბოლოო ჯამში, ზიანდება ზნეობა მის ორთავე – რაციონალურ და ირაციონალურ გამოვლინებაში, იწყება განათლებული გონიერის ტრაგედია, ე.ი. იწყება ის ეტაპი, როცა კანტის თქმით, განათლებული გონიერი რაც უფრო აჰყვება ამ ცხოვრებით ტკბობას და ბედნიერებას, მით უფრო შორდება კაცი ჭეშმარიტ კმაყოფილებას; მას, ვინც ყველაზე მეტად არის განაფული გონიერის მოხმარებაში, უჩნდება ერთგვარი მიზოლოგია, ანუ გონიერისადმი სიძულვილი (კანტი, იქვე, გვ. 51/53). ადამიანთა ამ მარტივი ტიპისადმია მიმართული რუსოსეული სენტენციები მეცნიერებისა და ხელოვნების მავნებლობაზე. მაშინ როცა, როგორც ზემოთ ვნახეთ ა. ბოჭორიშვილის მიერ რუსოს ამ მოსაზრების კრიტიკაში, ზნეობის შესუსტებას და მორალის კრიზის იწვევენ სულ სხვა ფაქტორები, ისინი, რომელიც ადამიანებს უმორჩილებენ ბუნებრივი ინსტინქტის გამგებლობას და საკუთარ გონიერის ნაკლები უფლებით მოსავენ, რათა მის საქციელზე ზეგავლენა მოახდინონ (კანტი, იქვე).

ასეთი სიტუაციები აზიანებენ სწავლა-აღზრდის კულტურასაც, მაგრამ სწორედ მის მეტაფიზიკურ არსებია მოცემული ის მარადმოქმედი ღვთითბოძებული ნიჭი, რომლის ძალითაც ადამიანი აღმოაჩენს „ფარულად დამარცული ადამიანური არსებობის სხვაგვარი და ბევრად უფრო ღირსეული მიზნის იდეას“. გონიერი სწორედ ამ მიზნისთვის არის განკუთვნილი და არა სურვილთა დაკმაყოფილებით მოპოვებული ბედნიერებისთვის, ამიტომ ეს მიზანია ის უმაღლესი პირობა ცხოვრებისა, რომელიც „უმეტესწილად წინ უნდა დავაყენოთ ადამიანის კერძო მიზნებთან შედარებით“ (კანტი, იქვე, გვ. 53). ამ ზოგადჟუმანური პრინციპებისკენ უნდა იყოს მიმართული დედის კალთიდან (ოჯახიდან) ფეხადგმული სწავლა-აღზრდის კულტურა, რათა ხელიდან არ გავისხლტეს უმაღლესი პირობა ღირსეული არსებობისა და ის შევუსაბამოთ ადამიანის კერძო მიზნებს, რომელიც შუმერული სწავლა-აღზრდის სისტემიდან მოყოლებული მუდამ განსაზღვრავ-და სწავლების მიზნებსა და ამოცანებს, მის პროგრამულ მიმართულებას.

## სწავლა-აღზრდის ეთნოკულტურული სახე

შუმერული სკოლა, ეს უძველესი კერა კულტურისა და განათლებისა, რომელიც თავის არსებობას იწყებდა, როგორც ადმინისტრაციულ და სამეურნეო პროფესიონალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალება, სწორედ ზემოთ დამოწმებულ „ბევრად უფრო ღირსეულ იდეათა“ გავლენით, რომელიც წინ უნდა დავაყენოთ კერძო მიზნებთან შედარებით, იქცევა უნივერსალური განათლების კერად, რომელიც თავის თავში მოიცავდა ყოველგვარი ცოდნის საწყისებს: საღვთისმეტყველო-რელიგიურს, მეცნიერულ-ტექნიკურს თუ შემოქმედებით-ჰუმანიტარულს. ამიტომ განათლების მთელ სისტემაში წინა პლანზე წამონებული უნდა იყოს ის ზნეობრივ-ეთიკური ნორმატივები, რომლებიც მამოძრავებელი ზამბარა იქნებოდა გონიერით საწვდომი სამყაროს სრულყოფილი აღქმისა, კეთილი ნების გამოხატვისა და სიკეთის დამკვიდრებისა.

ადამიანი, როგორც ფიზიკური სხეულის, სასიცოცხლო ენერგიის, ფსიქოლოგიური წყობის და გონითი შემეცნების მთლიანობის ღვთაებრივი ხატება, „ზნეობის მეტაფიზიკის“ (კანტი) გარეშე ვერ შექმნის იმ კულტურულ შინაარსს, რომელიც თვითონაც იცვლება და ცვალებადობაში მოჰყავს ადამიანის ეგზისტენცია. ამათ მაკონსტრუირებელ საშუალებას კი წარმოადგენს დაბადებიდან მოყოლებული აღზრდისა და სწავლების სრულფასოვანი, დასრულებული ციკლი – კულტურა. როგორც ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატებად, ასევე მისი აღზრდისა და სწავლების ზნეობრივი ზრდა უნდა იყოს ანარეკლი მაცხოვრის მიერ ცოდვილ ადამიანთა სულიერი ხსნისთვის გამოვლილი გზისა, ვინაიდან „მისი სისავსიდან მივიღეთ ყველამ მაღლი მაღლისა წილ“ (იოან. 1, 16), ამიტომ ცივილიზებული კაცობრიობის გადარჩენის პერსპექტივა სწორედ აღზრდისა და სწავლების ამ მაღალი დონის ზნეობრივი კულტურის ფენომენშია საძებარი.

ამდენად, სწავლა-აღზრდის კულტურის ზოგადცივილიზატორული – ისტორიული გზა თავისი მატერიალური გამოხატულების პირველსაწყისით გვეძლევა შუმერული „თიხის ფირფიტების“ ცივილიზაციაში, მიუხედავად სამუელ კრამერის თქმისა, რომ შუმერულ სკოლებში სწავლებას არაფერი საერთო არა აქვთ თანამედროვე სწავლების სისტემებთან, რომლებშიც დიდწილად ყველაფერი დამოკიდებულია მოსწავლის ინიციატივასთან და მის დამოუკიდებელ საქმიანობას-თან (ეს ის პრობლემებია, რასაც დღემდე ვერ მიაღწია ჩვენმა და, საერთოდ, პოსტსაბჭოურმა

საგანმანათლებლო სისტემამ). უფრო სწორად მიგვაჩინია მისივე მოსაზრება (რაზედაც ზემოთ ითქვა) ადამიანთა მოდგმის მყარ ფსიქოცნობიერ ერთობაზე, შესაბამისად, ის, თუ რამდენად ცოტად შეიცვალა ადამიანის ბუნება ამ ათასწლეულებში.

ამიტომ იმ შორეული შუმერულ-ეგვიპტური თუ ეგეოსურ-კავკასიური სწავლა-აღზრდის (ზოგადადაც) კულტურების სულიერ-ზნეობრივი კავშირ-ურთიერთობა და, შესაბამისად, სისტე-მურობა ამ ცივილიზაციონული პროცესებისა თავის გამოხატულებას პოულობენ ეთნოკულტუ-რულ ფენომენი და აყალიბებები ეროვნულ კულტურას ზოგადად, კონკრეტულად, აღზრდისა და განათლების კულტურის სახეს.

ის გარემოება, რომ „ქართველს ქართული ობიექტური კულტურა აქვს ათვისებული, ქართ-ველი ქართული კულტურის შვილია, გერმანელი – გერმანულისა, რუსი – რუსულისა... რომ ამ შემთხვევაში ეროვნულ განსხვავებას ქმნის კულტურის თავისებურება... და ის, რომ ერი კულ-ტურის ფენომენია და არა ბიოლოგის ფენომენი“ (თ. ბუაჩიძე, დასახ. კრ. გვ. 32), სრულებით ვერ ცვლის ზნეობის ფილოსოფიის ადგილს კულტურაში და, პირველ რიგში, სწავლა-აღზრდის სისტემაში, რაც დიდებულად, მაპატიონ სკეპტიკოსებმა, კანტიანური „ზნეობის მეტაფიზიკის“ დონეზე გვიქადაგა დიდმა ქართველთა განმანათლებელმა, პოეტმა და პედაგოგმა დ.გურამიშვილმა:

„ხორცია მინა ტალახი, საწუთროს ფეხით ნალახი,  
სული უსხეულ მყოფელი, აქვს საუკუნო სოფელი,  
ხორცი მკვდარ-ხმელი ბალახი, აყოებულად ნანახი:  
სული ცხოვრების მპყრობელი, ვით ბაზმა გაუქრობელი.  
ხორცთათვის დღისა სავალსა საგრძალს წაიღებ მრავალსა,  
არ გებრალების სულია, უსაგძლოდ შორს წასულია.  
ხორცს აცმევ ვახშასა და ვალსა, სული შიშველად დავალსა,  
ხორცს გიფშვის მუშკის სუნია, სულს აგდის ნატის სუნია“.

პოეტი ასე მეტაფორულად აღნიშნავს იმ მოუხელთებელ „მიზანთა სამყაროს“ (კანტი), რო-მელიც ცხოვრების მპყრობელია და მუდამ სჭირდება საგზლად სულისა და ზნეობის გვარიანი დიდი მარაგი, რომელიც მიიღება აღზრდისა და სწავლების პერმანენტულ პროცესში.

### ნინარექართველურ ნარმართულ კულტურაზე

ქართველური მოდგმა, როგორც უძველესი ცივილიზაციის პირმშო, დაახლოებით 6 ათასი წლის წინ წინა აზიის უზარმაზარ მინა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულებზე) მონაწილეობდა საკაცობრიო ცივილიზაციის შექმნაში. ძვ.წ. II ათასწლეულისთვის წინა აზიაში მცხოვრები ხეთები და ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე მცხოვრები სუბარები ქართველთა წინაპრები არიან. უკვე ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევრისა და I ს-ის დასაწყისისთვის საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზედაც იქმნება აღმოსავლური და დასავლური კულტურის ორი წრე. რომლებიც ისტორიულ წყაროებში კოლხური და იბერული კულტურების სახელითაა ცნობილი (ქართული კულტურის ისტორია, გვ. 51). ამიტომ შუმერული „თიხის ფირფიტის“ კულტურასთან კოლხ-იბერული სწავლა-აღზრდის ტრადიციის დაკავშირება ისტორიული წანამდლვრებითაა გამაგრებული და ის თავს იჩენს მთელი ისტორიის მანძილზე.

მაშასადამე, მცირეაზიურ-ეგეოსურ ცივილიზაციებთან მყარ კავშირში ყალიბდება კოლხ-იბერული ე.წ. წარმართული კულტურა, რომლის საფუძველზედაც იქმნება „მნეობრი სახელმწიფოებრივი რელიგიური სისტემა“. ასე შეაბიჯეს ამ ეთნოკულტურულმა პოლიტიკურმა წარმონაქმნებმა ანტიკურად წოდებულ ისტორიულ ეპოქაში, რომელიც, დადგენილი წესით, მოიცავს ძვ.წ. VI-ას.წ. III საუკუნეებს. მთელ ამ თითქმის ათასწლიან პერიოდში ამ დიდ კულტურულ-ცივილიზაციონულ რეგიონში ერთიმეორის მიყოლებით ფორმირებადი ყველა „მსოფლიური მასშტაბის იმპერიის“ პოლიტიკური და კულტურული პროცესების მონაწილეა ქართველური მოდგმა.

ქართული კულტურა მეზობელ ხალხებთან შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგად ვითარდებოდა. ქვეყნის სულიერი ცხოვრების სასიცოცხლო ძალას ადგილობრივი, ეროვნულ ნიადაგზე დახვენილი ეთნოკულტურული ტრადიციები შეადგენდა. სწორედ ეს გარემოება და არა ცალკეული დასავლური თუ აღმოსავლური ნაკადები განსაზღვრავს ქართული კულტურის არსს და მის კუთ-

ვნილ ადგილს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში (დასახ. ნაშრ. გვ. 59).

ძვ.წ VI-IV სს. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში უკვე დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოები კულტურული განვითარების მაღალ დონეს აღნევენ. „ამ დროისთვის ყალიბდებოდა ეროვნული თვითშეგნება, თვითმყოფად სახეს იღებდა ჩვენი წინაპრების შემოქმედებითი შრომა-გარჯით შექმნილი სულიერი და ნივთიერი ფასეულობანი – სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმები, **ზეობა და მსოფლმხედველობა**“ (იქვე, გვ. 56). ეს კულტურული პროცესები არ ითარგლება კონკრეტული საზღვრებით, არამედ მათ მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ ამ სამეფოთა გარეთ დარჩენილ მონათესავე ტომებთან და ხალხებთან, მაგრამ, რაც მთავარია, ის მყარ კავშირშია დომინანტი იმპერიების მყარ კულტურებთან. როგორც ზემოთ მოხმობილი შრომის ავტორები აღნიშნავენ, ამ ათასწლოვან მონაკვეთზე საქართველოს ისტორიისა აზის და ევროპის დიდი იმპერიებისა თუ საბჭოთა ჰეგემონობის დროს, ბუნებრივია, ძლიერდებოდა უცხო კულტურის ზეგავლენა სულიერი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროზე. ეს კავშირები გამოკვეთილად ჩანდა ირან-პართიისა და საპერძეთ-რომის იმპერიებთან (იქვე, გვ. 58-59). მაგრამ, იმ მეტასისტორიული საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლებითაც კოლხ-იბერული მოდგმის ცივილიზაცია მყარად იყო ჩართული პირველკულტურებთან, ამიტომაც ახალი „მსოფლიო იმპერიების“ თავურსანყისებში ყველგან ილანდება ქართველური მოდგმის ნაკვალევი. ალბათ ამ მეტაფიზიკური სულიერების გავლენითაც იყო, რომ მას ანგარიშს უწევდნენ ეს გლობალური იმპერიული ცივილიზაციები და მის მიმართ იჩენდნენ რაღაც განსაკუთრებულ მიდგომას, მის-თვის გამოიძენებოდა რაღაც გამორჩეული სტატუსი და ა.შ. ამ ეპოქაში კოლხ-იბერული სახელმწიფოები წარმოადგენენ განვითარებული სამინათმოქმედო და საქალაქო ცხოვრების მომცველ პოლიტიკურ-კულტურულ სისტემებს, რაც მიიღწევა აღზრდისა და სწავლა-განათლების მაღალი დონით, რომელთა კერძებს წარმოადგენდა როგორც სამეფო კარი (აიგტის სასახლის მაგალითზე), ასევე სატაძრო-საკულტო სისტემები, რომელთა ნაკვალევიც მრავლადაა აღმოჩენილი მცირეაზიურ, ეგეოსურ კულტურათა მთელ სივრცეში.

ჯერ კიდევ მიდის სამეფოს წარმოშობის საფუძვლებში, მის სახელდებაში ჩანს კოლხ-იბერული მოდგმის ეთნოგრენეტიკური გავლენის კვალი. თ.ყაუხჩილის თქმით, ჰეროდოტეს აქვს შემონახული **უძველესი** ცნობები, თუ რა ადგილი უჭირავთ ქართველ ტომებს ეგეოსის ზღვის აუზის მცხოვრებთა შორის და ამის დასტურად იმოწმებს, რომ მედეა არის მიდის ეპონიმი, კოლხები და ტროელები ერთი ორიენტაციისა არიან (ჰეროდოტე).

ასეთი მიდგომა არა მარტო ელინებთან დასტურდება, არამედ თვითონ მიდიელი არიელებიც ალიარებდნენ ამას და საამაყოდაც მიაჩნდათ. ჰეროდოტე წერს: ძველად ამათ (მიდიელებს. – მ.ზ.) ყველა არიელებს უნოდებდა, ხოლო მას მერე, რაც არიელების ქვეყანაში მოვიდა კოლხელი მედეა, მათ შეიცვალეს სახელი. თვითონ მიდიელები მოგვითხრობენ ამას (ჰეროდოტე, ტ. II, VII). ამ შემთხვევაში სახელის შეცვლა მთელ ცივილიზაციორულ პროცესებს რომ მოიცავს, ამაზე არ შევჩერდებით, ვინაიდან საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ ამ თეორიულ საკითხებზე. რაც შეეხება ჰეროდოტეს ამ ცნობის ნამდვილობას, ამაზე თვითონ ავტორის განმარტებების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. მისი თქმით, ავტორისთვის ძრითადი წყაროებია: პირადი ხილვა, დაკვირვება, დასკვნა, აზრი, გამოკვლევა გამოკითხვის საშუალებით და მოსმენილი სხვათა სიტყვა, სხვათა აზრი. მაშასადამე, ყოველივე ეს არის საკუთარი დაკვირვების საშუალებით მიღებული ინფორმაცია (დასახ. ნაშ. ტ. I, გვ. 15). ასეთი შორეული ფესვების არსებობის თაობაზე კოლხურ კულტურასთან მიდიურის კავშირისა, რა თქმა უნდა, ისევ კოლხურ-შუმერული ურთიერთობისკენ გვახედებს და ამ პირველცივილიზაციების კომპლექსური ხასიათის გამოხატულებად გვესახება, მით უმეტეს, თუ აქვე წარმოვიდგენთ იმავე ავტორისეულ, უკვე ყველა მაღალ დონეზე განხილულ ცნობას თვითონ კოლხთა ეგვიპტური წარმომავლობის თაობაზე.

მაშასადამე, ჰეროდოტესაკაცობრიო (ადამის) ცივილიზაციის არცერთ ეტაპზე, არცერთ რეგიონალურ ცივილიზაციაში (ხმელთაშუა ზღვა-შავი ზღვისა და წითელი ზღვა-კასპიის ზღვის აუზი) არ დარჩა ადგილი, სადაც ირიბი თუ პირდაპირი მოხმობით არ მონაწილეობდეს კოლხ-იბერული კულტურული ფენომენი და, რა თქმა უნდა, მათი თავისთავადი სასწავლო-აღმზრდელობითი კულტურა, არა ოდენ როგორც მიმღები, არამედ როგორც გამცემი. ამას ადასტურებს ის საყოველ-

თაოდ მიღებული დოქტრინა ევროპისა და აზიის, ზოგადად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურული დაპირისპირებულობის შესახებ, რომელშიც მონაწილეობს ქართველური მოდგმა.

ყველა სხვა ძირითად ცივილიზაციას შორის ჩვენი სწავლა-აღზრდის, ზოგადად კულტურის, თაურსანყისის ასეთ სიღრმეებში ძიების აუცილებლობა განსაზღვრულია თვით „ისტორიის მამის“ მიერ, რომელიც დღესამომდე აქსიომადაა აღიარებული.

ჰეროდოტე ასე იწყებს თავის ისტორიას: ისტორიის ეს გადმოცემა მიზნად ისახავს იმას, რომ დროთა ვითარებაში არ იქნეს დავინუებული ადამიანთა საქმიანობა; უნდა იქნეს განდიდებული ის საქმიანობა, რომელიც აღასრულეს როგორც ელინებმა, ისე **ბარბაროსებმა** (დასახ. ნაშ. ტ. I, გვ.37). მართალია, მის ასეთ მოწოდებას დროთა განმავლობაში მოჰყვა ელინოფილთა კუდაბზიკური გამოხტომები, თვით პლუტარქე წერს მის ნინააღმდეგ ტრაქტატს „ჰეროდოტეს ბოროტების შესახებ“; ლუკიანე კიდევ ჰეროდოტეს ჰადესში უძებნის ადგილს და ა.შ. ყველაფერი ეს კი ხდება იმ ძირითადი მიზეზით, რის გამოთაც მას „ბარბაროს მოყვარეს“ უწოდებენ, ე.ი. არ ჰპატიობენ იმას, რომ მან გაბედა, განედიდებინა ბარბაროსთა დიადი საქმები და ეჩვენებინა, რომ ელინთა დიდებული საქმეების საფუძვლები სწორედ ნინარე ელინურ ცივილიზაციებისა საძებარი და ის, რომ უძველესი კომპლექსური ცივილიზაციის გახლეჩა, მათი აღმოსავლურ-დასავლურად დაყოფა სწორედ მოსული ფინიკიელებისა და ელინების მიერ იქნა პროვოცირებული. მიუხედავად ასეთი სუბიექტური მიდგომისა თვით არისტოტელეც კი, რომელიც უხვად სარგებლობს მისი მასალით, მაგრამ მაინც „მითოლოგოსს“ უწოდებს, „როდესაც უნდა განსაზღვროს, ვინაა პოეტი და ვინ ისტორიკოსი – მისთვის ისტორიკოსი სწორედ ჰეროდოტეა და არა სხვა ვინმე“ (თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშ. გვ. 31.). ასეთი სკეპტიკოსი ანტისტორიკოსების შემოტევებისაგან თავის დაცვა არანაკლებ რთულია იმპერიულ გარემოცვაში მოქცეულ ამ ჩვენს სინამდვილეში და ამიტომ აუცილებელია განათლების კულტურის ძიება ასეთი უძველესი ხანებიდან და სიღრმეებიდან დავინუოთ.

### კოლე-იპერული ეთნოკულტურის აღგილი აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურულ რაოზიციაში

ცივილიზაციათა (კულტურათა) დაყოფის ისტორიის აღწერას ჰეროდოტე ასე იწყებს: „სპარსთა ისტორიკოსები ამბობენ, რომ ფინიკიელები იყვნენ ელინთა და სპარსთა მტრობის მიზეზი“ (იქვე, გვ. 37). მაშასადამე, უნდა ჩავთვალოთ, რომ ამ დრომდე დასავლეთ-აღმოსავლური ცივილიზაცია ერთიანი იყო და ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი შუმერულ-ეგვიპტური და კოლხიბერული კულტურული კავშირებიც მთლიან კომპლექსში უნდა მოვიაზროთ. განხეთქილება კი თურმე ასე დაიწყო: მენამული ზღვიდან მთსული ფინიკიელები ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში დასახლდნენ, დაიწყეს ვაჭრობა. მათ ეგვიპტური და სირიული საქონელი ჩამოიტანეს ელადად წოდებული ქვეყნის უდიდეს მხარეში-არგოსში. ვაჭრობის დამთავრების შემდეგ, სხვა ქალებთან ერთად მათ მოიტაცეს მეფის ასული, ელინთა მიერ იმ ინაქოსის ასულად სახელდებული და გაცურეს ეგვიპტეში. ჰირველი უსამართლობაც ასე დაიწყო.

ამის შემდეგ ელინები მივიდნენ ფინიკიის ტიროსში და მოიტაცეს მეფის ასული ევროპე. ეს იყო სამაგიეროს მიზანებით თანაბრად თანაბრისთვის. ამის შემდეგ ელინებმა უსამართლობა მეორედ ჩაიდინეს; გრძელი ხომალდით მოცურეს აია კოლხიდაში, მდინარე ფასისთან და მოიტაცეს მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფემ მოციქულები გააგზავნა და უკან გამოითხოვა თავისი ქალიშვილი, მაგრამ ელინებმა უპასუხეს, არც მათ დაუბრუნებიათ იმ არგოსელებისთვისო, და უარი შეუთვალეს. სინამდვილეში ელინებმა დაიწყეს უსამართლობა.

პარისმა, პრიამოსის ძემ, ყოველივე ამის გაგების შემდეგ მოიტაცა ელენე. იცოდა, არ მოუხდებოდა პასუხის გაცემა. ელინებმა კი ერთი ლაკდემონელი ქალისთვის დიდი ლაშქარი შეკრიბეს, მივიდნენ აზიაში და პრიამოსის სამეფო დაამხეს. ამის შემდეგ ასე მიჩნეული: ელინები სპარსელების მტრები არიან. სპარსელები აზიასა და აქ მცხოვრებ ბარბაროს ტომებს თავისიანებად მიიჩნევენ, ხოლო ევროპესა და ელინთა ტომს ემიჯვებიან (იქვე, გვ. 37/38). ამ თითქმის პოეტური მონათხრობიდან, კულტურის თვალსაზრისით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ იმ უძველეს ეპოქაში ადამიანური ცივილიზაცია, თუნდაც ამ ვრცელ კულტურულ რეგიონში, ერ-

თიან და განუყოფელ მთლიანობად არის გააზრებული, რომელშიც განხეთქილება შეტანილ იქნა ხელოვნურად, არენაზე გვიან გამოსული ძალების: ფინიკიელების, ელინებისა და სპარსელების მიერ. ასეთ შემთხვევაში, როგორ არ უნდა გაგახსენდეს რუსოს მიერ თქმული, რომ ყველაფერი ფუჭდება ადამიანის ხელში.

მაშასადამე, წინარენდოვროპული ცივილიზაცია კომპლექსურად, უწყვეტ ერთობადაა წარმოდგენილი. ამ ერთობის მემკვიდრეობასაა, რომ ჩემულობს მიდის კულტურიდან ამოზრდილი სპარსული იმპერია და თავს აზიურ ხალხთა მფარველად თუ პატრონად აცხადებს. ასეთი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი კიროსიდან ათასი წლის შემდეგაც ჩანს, როცა ისინი ახ.წ. VI ს-ის შუახანებში ლაზიკის სამეფოს კანონიერ მფარველად აცხადებენ თავს.

ამდენად, სპარსეთის აზიაში გაბატონების ხანისთვის ამ ბიბლიური ცივილიზაციის ყველა ეტაპზე გამოკვეთილად ჩანს აიასა და კოლხ-იბერული კულტურის ნაკვალევი. მას გამოკვეთილი ადგილი უკავია აქამენიდთა იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე და უწყვეტად აგრძელებს თავის თვითმყოფად ცხოვრებას. მაშინ როცა დარიოსისა და ქსერქეს იმპერია მთელ ძველ კულტურულ სამყაროს, ეგვიპტის ჩათვლით, თავის სატრაპიებად აქცევს, კოლხ-იბერიის დიდი ნაწილი თითქმის მიდის თანატოლი უფლებებით სარგებლობს და მხოლოდ საპატიო თვითვალდებულებით არის კავშირ-ურთიერთობაში ამ მსოფლიო იმპერიასთან.

ისტორიის მამა წერს: „კოლხებმაც დაიწესეს საჩქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასიის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდება სპარსეთის მმართველობა)“ (იქვე, ტ. I, გვ. 227). მაშასადამე, ისინი ყველა ამ ხალხს შორის, თვით სპარსელებისა და მიდიელების შემდეგ ყველაზე მეტად ინარჩუნებენ თავისუფლებას და თვითთავადობას, რაც, რა თქმა უნდა, მათი კულტურული კავშირებით უძველეს კულტურებთან უნდა იყოს განპირობებული. ამის დასტურად ისევ ჰეროდოტეს მონათხრობი გამოვვადგებოდა, რომელიც ამბობს: დედამიწის მოხაზულობის მრავალმა აღმწერელთაგანმა ვერცერთმა ვერ გაგვარკვია ამ საქმეში წესიერად, ამიტომ მე მოკლედ ვილაპარაკებ ამ საკითხზეო. ჩვენ ამ შემთხვევაში ის გვაინტერესებს ქართველური მოდგმის ცივილიზაციის ფორმირების არეალის დადგენის თვალსაზრისით, კონკრეტულად, იმ გაგებით, იყო თუ არა ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით შესაძლებელი მისი კულტურული კავშირი შუმერულ-ბაბილონურ თუ ეგვიპტურ-მიდიურ ცივილიზაციებთან, როგორც ამას გადმოვცემენ პირველწყაროები (ამ ცნობებს იურიდიულ-სამართლებლივ საფუძვლებად იყენებდნენ სპარსელი თუ ბიზანტიილი დიპლომატები თუ მმართველები). ის წერს: სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, მენამულს რომ უწოდებენ, ამათ ზემოთ, ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ – **სასპერები**, სასპერებს ზემოთ, ჩრდილოეთის ზღვამდე – **კოლხები**, რომელსაც ერთვის ფასისი. ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე. ავტორი შემდეგ პარაგრაფში ადგენს ამ ჩრდილოურ საზღვრებს და, რა თქმა უნდა, კოლხთა მიწა-წყლის საზღვარსაც. მისი თქმით: აქ ერთი ნაპირი, რომელიც იწყება ფასისთან, ჩრდილოეთით მიემართება პონტოს ზღვის გასწვრივ ჰელესპონტისკენ ვიდრე ტრიოს სიგენიონამდე, ხოლო სამხრეთით იგივე ნაპირი მიემართება მირიანდის უბიდან, რომელიც მდებარეობს ფინკიასთან, ზღვასთან (ხმელთაშუა ზღვა – მ.ზ.) მდებარე ადგილებამდე, ვიდრე ტრიოპიონის კონცხამდე. ამ სანაპიროზე ცხოვრობს 30 ტომი. მისი აღწერით, მეორე სანაპირო იწყება სპარსელთა ქვეყნიდან და მიემართება მენამული ზღვისკენ, ეს შეიცავს სპარსეთს, ამის მერეა ასირიე და მის მერე – არაბიესი, მთავრდება არაბიის უბესთან, ხოლო ფინკიადან ეს სანაპირო მიემართება სირიის პალესტინისკენ და ეგვიპტისკენ და აქ მთავრდება (ჰეროდოტე, ტ. I, გვ.262).

ამ ვრცელი აღწერილობიდან ჩვენი საკითხის განხილვისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ავტორი ამ ვრცელ რეგიონს განიხილავს **ერთობლიობაში**, როგორც ერთიან კულტურულ სივრცეს, რომელშიც ერთ-ერთი საკვანძო ადგილი როგორც გეოგრაფიულად, ასევე ეთნოკულტურულად განეკუთვნება კოლხ-იბერულ ერთეულებს, დაწყებული კავკასიოდან ვიდრე მიდიამდე და მენამულ ზღვამდე სამხრეთით, დასავლეთით კიდევ – იბერიის ნახევარკუნძულამდე და ატლანტიდამდე. ავტორი ქვემოთ ისევ უბრუნდება ამ სივრცეში სპარსელების, მიდიელების, სასპერებისა და კოლხების დომინანტურ მდებარეობას და ახლა ყურადღებას ამახვილებს აღმოსავლეთის მიმართულებაზე, სადაც მენამული ზღვიდან ჩრდილოეთით მდებარეობს კასპიის ზღვა და არაქსი, შემდეგ ინდოეთია და მის იქით რა არის, ამის თქმა არავის შეუძლიაო. მაშასადამე, ის მოხაზავს ადამი-

სეული ცივილიზაციის მთელ სივრცეს და მის შემოქმედ ხალხებს შორის ყოველნაირად გამორჩეულ ადგილს მიაკუთვნებს ე.წ. იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებს, როგორც საკაცობრიო ცივილიზაციის შემოქმედ მოდგმათა შორის ერთ-ერთს. ამდენად, ძველ შუმერულ-ბაბილონურ და ეგვიპტურ ცივილიზაციებთან კოლხ-იბერულის დაკავშირება არაა საფუძვლებს მოკლებული.

სპარსეთის აქამენიდური იმპერიის არსებობის ბოლო ეტაპისთვის, როგორც ქსენოფონტე გადმოგვცემს, კოლხთა ძველი სამეფოს ძირითადი ნაწილი დამოუკიდებელია და კულტურული კავშირებით არის დაკავშირებული როგორც აზიურ (სპარსულ-აქამენიდურ), ასევე დასავლურ (ელინურ) ცივილიზაციებთან. ის წერს: კოლხები „მეფეს არ ემორჩილებიან, ავტონომები არიანო“ (მ. ბერძენიშვილი, ფაზისის ისტორიისთვის, გვ. 65, თბ., 1968 წ.). მაშასადამე, ჰეროდოტედან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ კოლხები ზოგიერთ სხვა ხალხებთან ერთად ირანელთა გავლენისაგან სრულად თავისუფალნი არიან. ისინი მჭიდრო კავშირში არიან ბერძენულ სამყაროსთან.

ქსენოფონტეს ცნობიდან ჩანს, რომ კოლხები საკმაოდ მრავალრიცხოვანი და დოვლათიანი ხალხი ყოფილა. ის წერს: „ბერძენები დაბანაკუდნენ მრავალ სოფელში, ხორაგეულით სავსეში“. ტრაპეზიულტში ჩასული ელინები დაახლოებით 30 დღეს არბევდნენ კოლხურ სოფლებს ტრაპეზიულტის ირგვლივ, აიყარნენ მხოლოდ მაშინ, „როცა უკვე აღარ შეიძლებოდა ხორაგეულის ისე მახლობლად შოვნა, რომ იმავე დღეს ბანაკში დაბრუნებულიყვნენ“. გამოდის, რომ კოლხური სოფლები ტრაპიზონის ორგვლივ 25 კმ. მეტ მანძილზე ყოფილა განვენილი. კოლხები განსახლებული არიან მთაშიც და ბარშიც. ბარის კოლხებს მჭიდრო კავშირი აქვთ ტრაპიზონელ ელინებთან, რაც მათ საზოგადოებრივ-კულტურულ თანაცხოვრებაზე მიუთითებს და, შესაბამისად, სწავლა-აღზრდის მაღალ კულტურასაც გულისხმობს. ძვ.წ. V-IV სს. კოლხეთში კულტურის ასეთი მაღალი დონის არსებობის მაჩვენებელი არის ნუმიზმატიკური მონაცემები. ს. ჯანაშიას მოსაზრებით, „კოლხურის მოჭრის დაწყება ძვ.წ. V საუკუნის დასასრულისთვისაა სავარაუდებელი. ის განკუთვნილი უნდა ყოფილიყო მთელი კოლხეთისათვის, ამიტომაც, რომ ის მოიპოვება შავი ზღვის სანაპიროებიდან მოყოლებული სურამის ქედამდე და ტრაპეზიუნიდან დიოსკურიამდე, თვით ბოსფორამდეც კი.

აღსანიშნავია უშუალო კავშირის არსებობის დამადასტურებელი ფაქტები და მათ შორის ნუმიზმატიკური მასალა – ათენური ტეტრადრაქები, რაც სხვებზე უფრო ხშირად მოინახება აქ და მონაბეჭდის ათენის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირზე კოლხეთთან. ეს კი, უდავოდ, გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირებსაც.

ასე გრძელდებოდა ხანგრძლივად, ალექსანდრე მაკედონელის ხანაშიც, როცა არა მარტო მისი დრაქმები და სტატერებია ბრუნვაში, არამედ მინაბაძი ფულიც (ადგილობრივი), რაც ადასტურებს გაცხოველებულ ფულად მიმოცვლას. ასეთივე მდგომარეობა ჩანს კოლხეთში სელევ-კიდების დროსაც, როცა კოლხეთი ერთხანს ჰელესპონტის მეფის ლიზიმაქეს (გარდ. 281 წ. ძვ.წ.) გავლენის ქვეშაც.

სელევ-კიდების დროიდან მოსული და საქართველოს წიაღში ნაპოვნი ფულები სირიის, თრაკიის, კაპადოკიის, ეგვიპტისა და სხვა ქვეყნებისა გვიჩვენებს ქართველური ხალხების ცხოველ სავაჭრო ურთიერთობას ამ ხალხებთან. ავტორის აზრით, ასეთი საკმაოდ განვითარებული ეკონომიკური ვითარება კოლხეთში ბუნებრივი გაგრძელებაა ძვ.წ. V ს-ის მწერლის ჰიპოკრატეს მიერ გადმოცემული ცნობისა, რომ ფაზიანებს ანუ კოლხებს მის დროს ჰელინიათ ბაზარი, მაშასადამე, ჰიპოკრისით ვაჭრობა და ალებ-მიცემობა (ნ.ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 70-71). ამ მონაცემებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ კოლხ-იბერული საზოგადოებრივ-კულტურული გარემო ბერძნენტულად ყალიბდებოდა ამ უძველეს ცივილიზატორულ სივრცეში და ფორმირდებოდა თვითკარ ეთნოკულტურად, შესაბამისი სწავლა-განათლების სისტემით, რომლის მაღალი დონის გამოხატულებად უნდა მივიღოთ ქართველ მემატიანეთა ცნობა ფარნავაზის მიერ „დამწერლობა ქართულის“ შემოღების შესახებ.

### ერთიანი ქართული სადამნერლობო და სააღმზრდელო-საგანმანათლებლო კულტურის ფორმირების საკითხები

ქართველი მემატიანის ცნობა, რომ მცხეთის მამასახლისის ძმისწულმა ფარნავაზმა და დასავლეთ საქართველოს მმართველმა ქუჯიმ, ჩრდილოკავკასიელთა თანადგომით და სელევ-კიდების

მეფის ანტიოქიას I-ის თანხმობით, დაამარცხეს პონტოს სამეფოს ლაშქარი და ფარნავაზი გახდა ქართლის პირველი მეფე (საქ. ისტ. დ. მუსხელიშვილი, გვ. 48). ეს ქრონოლოგიურად უნდა შეესაბამებოდეს ელინიზმის იმ ეპოქას, როცა კოლხეთის ერთი ნაწილი მოექცა ბერძენთა გავლენის ქვეშ, დაახლოებით ლიზიმაქეს მეფობის ხანაში.

ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ მის სარდლებს შორის დაწყებული ბრძოლა იმპერიის გადანაწილებისათვის თითქმის ოთხ ათეულ წელს გაგრძელდა და დასრულდა ე.წ. ელინისტური სახელმწიფოების ჩამოყალიბებით. მათ შორის ყველაზე დიდი იყო სელევკიდთა იმპერია, რომლის ცენტრიც იყო სირია. მას სელევკე I-მა ჩაუყარა საფუძველი და სელევკიდთა იმპერია ეწოდა, ხოლო დაახლ. 300 წლისთვის დაარსდა მისი დედაქალაქი – ანტიოქია. ამ დიდ ელინურ სამეფოსთან ურთიერთობაში ჩამოყალიბდა პირველი ქართული სამეფო და მისი დინასტია, „ანტიოქიას შეინწყარა (ფარნავაზ) და უნდა შვილად თვისად, და ნარმოსცა გვირგვინი“ (საქ.ის. ტ. I, გვ. 53, თბ. 2006 წ. მთ. რედ. მ.ლორთქიფანიძე).

ფარნავაზის გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის ამ კარგად ცნობილ ისტორიაში ჩვენი საკითხისთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მასში აშკარად იკვეთება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს **ისტორიულ-კულტურული** ერთიანობის შედეგი, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ხსნის მოცემული თავის ავტორი გ. მელიქიშვილი, რომ ეს არის „გამოვლინება... ქართულ სამყაროში ქართლის მონინავეობისა და მისი დადასტურება“ (იქვე). არც ისაა საკმარისი დრო, რომელსაც ავტორი გამოყოფს თვითშეგნების ფორმირებისა და მყარი სახელმწიფოებრივი ერთიანობის ჩამოყალიბებისათვის, როცა წერს: „ქართული სამყაროს ერთიანობის ამ შეგნებას მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარება უძლოდა წინ“ (იქვე). საქმე ისაა, რომ „შეგნების ფორმირება“ არ იყო ოდენ მატერიალურ-კულტურული მოვლენა, არამედ ის მის გარედან – მეტაფიზიკური მომდინარე ფსიქოგენეტიკური ფაქტორებიდან იღებდა საფუძვლებს და შორეულ ათასწლეულებში იკარგებოდა, ე.წ. წინა ინდოევროპულ ცივილიზაციორულ სივრცეებში, სადაც ეთნოგენეზისის პროცესებში თავს იჩენდა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეგვიპტურ, შუმერულ, პელაზეურ თუ სხვა დიდ კულტურებთან კავშირში და ყალიბდებოდა, როგორც **კოლხ-იბერული (იბერიულ-კავკასიური, იაფეტური)** ერთობა.

ამ ეთნოკულტურულ საწყისთა საკითხთა კვლევამ ინტენსიური ხასიათი მიიღო ახალ დროში და დღემდე გრძელდება, რომელშიც სხვადასხვა სახის წყაროთა ირიბი თუ პირდაპირი მოცემულობებით დასტურდება არა მარტო კოლხ-იბერული მოდგმის ერთობა, არამედ გვეძლევა მითო-თება „პელასგებისა და კავკასიური კოლხების იდენტურობის შესახებ“ (ვ. ასათიანი, ანტიკური... ტრადიციები, ძვ. ქართ. მწერლობაში, გვ. 10, 1996 წ. აკ. ურუშაძე... არგონავტიკა გვ. 121).

რაც შეეხება პირველ მოსაზრებას, რომ ფარნავაზის ეპოქაში იკვეთება დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-კულტურული ერთიანობის შედეგი, თუნდაც ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხოლოდ ნაწილობრივ თუ ასახავს რეალურ ვითარებას, ვინაიდან ეს სივრცე, რაზედაც ავტორი უთითებს, საკაცობრიო სულიერ ცივილიზაციასთან წილდებული კოლხ-იბერული კულტურისთვის არასაკმარისია; ხოლო რაც შეეხება ეროვნული თვითშეგნების ფორმირების საქმეში ქართლის მეწინავეობას, ამისთვის მას არც მატერიალური რესურსი, არც ფიზიკური ძალა და სულიერი ენერგია არ ჰყოფნიდა, რომ არა ეს ადამისდროინდელი ეთნოგენეტიკური ერთობა კოლხ-იბერიული მოდგმისა.

„შემოსაზღვრული ქართლისათვის“ ასეთი დიდი ფუნქციის აკიდება თვით აშკარად სუბიექტური განწყობის (არ ვიტყოდი, „არმენოფილ“) ავტორ-მემატიანისთვისაც მიუღებელია. ის აშკარად უთითებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივად ფორმირების საქმისთვის ქართლის არათვითკმარ შესაძლებლობებზე, როცა წერს: „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ეპრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა მამათა და დედათა“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 48, თბ. 1996). ასეთი ეთნოპოლიტიკური სიტუაცია არ იძლეოდა არა მარტო იმის შესაძლებლობას, რომ შექმნილიყო რეგიონალური მასშტაბის კავკასიური სამეფო, არამედ საკუთრივ „ქართლის მმართველობა“ თუნდაც მამასახლისის დონეზე. ამის აშკარა დადასტურებას ნარმოადგენს შემდგომი პროცესები, თუნდაც ისე შელამაზებულად გადმოცემული, როგორც მას

აღნერს მემატიანე, როცა თვით ალექსანდრეს მიერ დანიშნულმა და მსოფლიო იმპერიის ფარვატერში ჩაბმულმა აზოს არიან-ქართლურმა სამეფომ ვერ გაუძლო დროის მოთხოვნას.

ფარნავაზიანთა საერთო ქართველური დინასტიის ჩამოყალიბება მას შემდეგ დაიწყო, როცა დროთა განმავლობაში კოლხ-იბერული თავურსაწყისიდან მომდინარე სულიერ-მეტაფიზიკური, ფსიქოგენეტიკური და მატერიალურ-კულტურული შესაძლებლობების გაერთიანება, რამდენადმე მათი შერწყმა და თვითკარ კულტურულ ერთობად ფორმირება დაიწყო იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმ ეპოქაში.

რაც შეეხება ქართველთა თვითშეგნების ფორმირების „მრავალსაუკუნოვან ისტორიულ“ პერიოდს, როგორც ითქვა, ის ვერ ეტევა არა მარტო რამდენიმესაუკუნოვან ისტორიულ ეპოქაში, არამედ თვით მეტაისტორიულ (წინაისტორიულ) ეპოქებსაც გადასწრდება ხოლმე და წმინდა სულიერ-გენეტიკურ სათავეში იღებს თავურსაწყისს. ამ სულიერ-გენეტიკური პროცესების სრულყოფილ ახსნას გვაძლევს აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი. მისი თქმით, ქართველური მოდგმის ერთიანი სულის არსებობის მიზანი, როგორც ზოგიერთები ხედავენ, არც ქართული ეკლესიის ერთიანობაშია, არც ქართლისა და ქართული ენის პოზიციის სიმტკიცეში, არც აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაწინაურებაში. ეს ფაქტორები ასრულებენ გარკვეულ როლს, მაგრამ ისინი ქართველური შეგნების ფორმირებისთვის საკმარისი ვერ იქნებოდნენ. მათ გარდა ძალზე მნიშვნელოვანი იყო ამ მოდგმის ტომებში არსებული ძლიერი ტრადიცია, რომელსაც ხალხში უნდა შემოენახა ისტორიული მახსოვრობა ოდინდელი გენეტიკური ერთიანობის შესახებ. რაც მთავარია, ავტორის ზუსტი განსაზღვრებით, „ქართლის ცალკეული ინიციატივების მიუხედავად, ამის არც პოლიტიკური და არც იდეოლოგიური წანამძღვრები თუ საფუძვლები არ არსებოდა. უფრო რეალური იქნებოდა ამგვარი ტრადიციის დამკვიდრების საწყისები ანტიკურ ხანებში გვეძებნა“ (რისმაგ გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, გვ. 5. თბ. 1993 წ.). მაშასადამე, მეცნიერი ქართველური მოდგმის თვითშეგნების ფორმირების პროცესის ახსნას კომპლექსური მიდგომით ახდენს და მის თავურ-საწყისს კოლხ-ბერული მოდგმის სულიერ-გენეტიკურ ერთიანობაში ხედავს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე წარმოგვიდგენია ეს მითავამიდან მომდინარე უწყვეტი კულტურული პროცესი, რომლის ცხოვრებაში განმახორციელებელ სამუალებადაც გვეძლევა აღზრდისა და სწავლების ძლიერი ტრადიცია და ისტორიული მეხსიერება.

რ. გორდეზიანი, „ქართლის ცხოვრების“ მოცემულობების გააზრებიდან გამომდინარე, თვითშეგნების პერმანენტულად ფორმირების პროცესის პრაქტიკულ მიმდინარეობას ქრონოლოგიურად ასე წარმოადგენს: ძვ. წ. 4000-2000 წწ. ხდება სამხრეთ წინა აზიდან ხალხთა გარკვეული ერთიანი ნაკადის გადმოადგილება კავკასიისკენ. ისინი განსახლდებიან ვრცელ ტერიტორიაზე, რომლის სამხრეთის საზღვარი ჩრდილოეთ ირანამდეა, აღმოსავლეთი – კასპიის ზღვამდე, დასავლეთი – შავ ზღვამდე, ხოლო ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიის ქედის ჩრდილოეთ კალთებამდე ვრცელდება (იქვე, გვ. 17). მაშასადამე, ეს ის სივრცეებია, სანამდეც ვრცელდება შუმერული და ეგვიპტური ცივილიზაციებიდან მომდინარე კულტურული გავლენები და მიმდინარეობს ეთნოკულტურული პროცესები თვითიდენტობის ფორმირებისა, რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

შემდეგ ავტორი ეხება იმ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობდა კავკასიურ სივრცეებში, კერძოდ, აქ ჩრდილოეთიდან ხალხთა ინტენსიურ შემოძინებას და საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკური პროცესების დაჩქარებას, ტომობრივი დიფერენციაციის ზრდას. ძვ.წ. XII-VI სს. ხდება სამხრეთკავკასიურ ტომთა კონსოლიდირება, ურარტუს ძლიერი სამეფოს პოლიტიკური და კულტურული ეგიდით. ავტორის თქმით, მიმდინარეობს ე. წ. კავკასიური კონსოლიდაციის პროცესი, რომელიც სრულდება ძვ. წ. VII-VI სს. მიჯნაზე. ეს პროცესი „არარატის ქვეყანას (ურარტუს – მ. ზ.) აკარგვინებს თავის როლს კავკასიაში. ქართული ენა იჭერს საქართველოში წამყვან როლს (იქვე, გვ. 18).

ზემოთ საკმაოდ მიმოვიხილეთ კულტურულ-ცივილიზაციორული კავშირები აქამენიდთა იმპერიასთან, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ ამ პროცესების შედეგს, როგორც ის გააზრებული აქვს რ. გორდეზიანს, კოლხ-იბერული გენეტიკურ-კულტურული ერთიანობის ახლებურად – სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურად ფორმირების თვალსაზრისით. ის წერს: დაახლოებით 560-333 წლებში საქართველო ექცევა სპარსული გავლენის ქვეშ. აქ ქართულთან ერთად

სხვა ენებიც ფუნქციონირებენ... მსოფლიოში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად გამოწვეული ცვლილებების შემდეგ საქართველოში იწყება კონსოლიდაციის პროცესი, ეგრისისა და ქართლის გაერთიანება ხდება გენეტიკური ერთიანობის რწმენის საფუძველზე, რაც არსებითად ქართული ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას იწვევს. მას აქვს ერთი ოფიციალური და მნიგნობრული ენა, აქვს ერთი დედაქალაქი, ჰყავს მეფე (იქვე).

ჩვენი აზრით, მეცნიერი ზედმინევნით ლაკონიურად და მეტ-ნაკლებად დასრულებული სახით წარმოვიჩნის ზოგადსაკაცობრიო (ცივილიზაციორული პროცესების თანამონაწილე კოლხ-იბერული ეთნოკულტურის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ (პოლიტიკურ) ერთობად ფორმირების მიმდინარეობას. ამ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანია მის მიერ აქცენტის გაკეთება „გენეტიკური ერთიანობის რწმენაზე“, არა ისე, როგორც ეს თქმულია ისტორიის სახელმძღვანელოში, რომ უმთავრესია „ქართულ სამყაროში ქართლის მოწინავეობა“. ამდენად, თუ ამოვალთ მეცნიერის ამ მოსაზრებიდან, სწორედ რომ ამ მეტაფიზიკურ გენეტიკურ-სისხლითნათესაური ერთიანობის რწმენაზეა აგებული ქართველური მოდგმის თვითშეგნება და მისგან მომდინარე ის კულტურულ-ალმზრდელობითი ტრადიციები, რომელთა საფუძველზედაც აღმოცენდა და განვითარდა ქართული სწავლა-განათლების კულტურა ერთიანი სადამწერლობო სალვოსმეტყველო ენის ბაზაზე.

სადამწერლობო ენის მაკონსოლიდიდირებელი ენერგეტიკა აიოლებდა ტომობრივი გათიშულობის დაძლევას, უძელესი გენეტიკური კავშირების ახლებურად (პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივად) ფორმირების ხანგრძლივი პროცესის საფუძვლის ჩაყრას. მაშასადამე, როგორც რ.გორდეზიანი ფიქრობს, ასე ხდება ეგრისისა და ქართლის გაერთიანება, რაც არსებითად ქართული ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას იწვევს. ეს გზა ნაციონალური ერთიანობისა, მიუხედავად თითქმის 1200-წლოვანი (ფარნავაზიდან ბაგრატ III-მდე) პოლიტიკური ზიგზაგებისა და კატაკლიზმებისა, მუდამ აჩენდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრისკენულ მიღრეკილებებს და სრულყოფილი სახე მიიღო ქრისტიანული რელიგიის (ცივილიზაციის) ფორმირების პროცესში, როცა „ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალს აღთქმას, შეუერთა ძველისგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისთვის და რაც თავის-დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს, შეუერთა მამული და ეროვნება“ (ილია, შეგონებანი, გვ.7, თბ.2003).

## ნინარეარისტიანული სულიერ-კულტურული პროცესები, როგორც ერისტიანული ცივილიზაციისათვის შემზადება

კოლხ-იბერული მოდგმის უძველეს კულტურას ბევრი ისეთი რამ ჰქონდა ადამიანისთვის ძვირფასი და გარდაუვალი, რომელიც მანამ იარსებებს, სანამ არსებობს ეს მოდგმა, პირველ რიგში, მისი სადამწერლობო-მწიგნობრული ენისა და თვითთავადი აღზრდისა და ზნე-ჩვეულების ტრადიციის სახით.

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე 500 წლით ადრე დაწყებული პროცესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივად ფორმირებისა ხორციელდებოდა ერთიან-კულტურულ საგანმანათლებლო ბაზაზე. როგორც რ.გორდეზიანთან ვნახეთ, ამ ახლებურ ერთობას აქვს ერთი ოფიციალური და მწიგნობრული ენა, პოლიტიკური ცენტრი და ცენტრალიზებული მმართველობა. შემდგომ პერიოდებში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები არსებითად ვერც ქართული ენის სტატუსს ცვლიან და ვერც ქართული ერთიანობისკენ ლტოლვას ანელებენ. ქრისტიანობის გავრცელება ქართული მწიგნობრული ენის შემდგომ განმტკიცებასა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების გაღრმავებას უწყობს ხელს, რისი დაგვირგვინებაც არის X საუკუნიდან ერთიანი ქართული სახელმწიფოს ასპარეზზე გამოსვლა. ქართველობამ მთელი ამ ხნის განმავლობაში შეინარჩუნა მახსოვრობა საკუთარი გენეტიკური ერთიანობისა, მახსოვრობა იმ ღირებულებებისა, რომლებსაც მასში ქრისტიანული რწმენის ჩანერგვის, ე.ი. სულიერ-სარწმუნოებრივად მეტა-მორფოზების შემდეგ, ვერც ვერაფერს წაუმატებ და ვერც ვერაფერს დააკლებ. ასეთი მდგრადი კულტურულ-სარწმუნოებრივი ერთიანობის გამომუშავება შესაძლებელი გახდა იმ ძველთაძველ ტრადიციებზე დაყრდნობით, რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, საკაცობრიო პირველცივილიზაციებიდან მომდინარეობდა, ხოლო „ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის“ (ილია, იქვე) და ასე კოლხ-იბერულმა მოდგმამ სწავლა-განათლების

თვითთავადი (ევოლუციური) განვითარების გზით ჩამოქნა ურყევი ერთობა სულისა და ხორცისა.

როგორც ილია ბრძანებდა, რჯული, მამული და ეროვნება – „ეს სამი ერთმანეთის ღირსი სა-განი ისე ჩაეწენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა – რჯულის დაცვად“.

ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ასეთი მყარი სულიერი და ფიზიკური ერთიანობის ფორმირების უმთავრეს ფაქტორს ენასთან ერთად წარმოადგენდა აღზრდისა და სხავლების გამომუშავება, რომლებიც ამ პროცესში თვითონაც ევო-ლუციონირდებოდა და ყალიბდებოდა თვითთავად სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ტრადიციად.

ინტელექტუალური თვალსაზრისით, განვითარების ხანგრძლივ პროცესში მისი, როგორც განათლების კულტურის, სახე ფორმირდებოდა სხვა უძველეს ცივილიზაციებთან კონტაქტში, ვინაიდან ზოგადად კულტურისთვის არ არსებობს კარჩაკეტილი მდგომარეობა, გადაულახავი გეოგრაფიული თუ ეთნიკური საზღვრები. ამიტომ არა მარტო კოლხ-იბერული მოდგმის ტომე-ბი იყვნენ ერთმანეთთან სულიერ-გენეტიკურ თუ მატერიალურ-კულტურულ უწყვეტ კავშირში, არამედ მთელი ამ წინააზიურ-ეგეოსური რეგიონალური კულტურის მასშტაბითაც.

კულტურული ევოლუციის ყველა ეტაპზე უწყვეტად მიმდინარეობდა „სესხების“ – ურთიერ-თგავლენის, მარადმოქმედი პროცესი. გადაღება და დანერგვა ხდებოდა ყველივე იმ სულიერი წარმოსახვისა თუ მატერიალურ-შემოქმედებითი სიახლისა, რომლის მიღებასა და შესისხლხორცე-ბას ესა თუ ის ეთნოკულტურა ძალდაუტანებლად მიიღებდა სათავისოდ. ეს ვითარება, რა თქმა უნდა, შეეხებოდა სწავლა-აღზრდის პროცესსაც; სწორედ ის ინარჩუნებდა, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, მდგრადობასა და კონსერვატიზმს. აღმზრდელობითი პროცესის ამ თავისებურე-ბის (კონსერვატიზმის) შედეგად ყალიბდებოდა თვითმყოფადი საწესჩვეულებო ტრადიციები და ეთიკური ნორმები, რომლებზე დაყრდნობითაც უფრო მაღალ დონეზე ფორმირდებოდა სწავლე-ბისა და განათლების უნივერსალური ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავდა მთელი ეთნოკულტურის ნაციონალურ სახეს.

ენა, როგორც აზროვნების ძირითადი ფენომენი და მისი თანაარსი, მასთან ერთობლიობაში არის ცივილიზაციის შემოქმედი, პირველ რიგში, აღზრდისა და სწავლების თავურსაწყისისა. ამი-ტომ ქართველური მოდგმის კულტურულ აღმზრდელობითი ევოლუციის ძიებისას აუცილებელია მასში ენობრივი შემადგენლის გათვალისწინება, რომლის საშუალებითა და ირგვლივაც ხდებოდა გენეტიკურად მყარი ცივილური ურთიერთობის ფორმირებები. ამ თვალსაზრისით ე.წ. იაფეტუ-რი ენების შესწავლამ მეცნიერები მიიყვანა იმ შორეულ სათავეებამდე, საიდანაც ივარაუდება იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის საწყისები.

ამდენად, ქართული ენა ერთ-ერთი უძველესია დღეისთვის ცოცხალ ენათა შორის. ქართვე-ლური ენების ქართლური, ზანური, სვანური საერთო ფუძეენის არსებობა უტყუარად დადას-ტურებულია და, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, სწავლების პროცესის კულტურული სახის ფორმირებასაც ამ უძველეს ხანაში ეყრდნობა საფუძველი. ე.ი. ქართველური მოდგმის აღზრდისა და სწავლების იმ მყარ კონსერვატიულ ფორმას, რომელიც შემდგომში განსაზღვრავს კოლხ-იბერული მოდგმის კულტურული პროგრესის მთელ სისტემას, აძლევს მას კომპლექსურ სახეს. ამიტომ, რაც ურო ძლიერია და მყარი გენეტიკურ თვითმყოფადობაში აღზრდისა და სწავლების კომპონენტი, მით უფრო მკაფიოდ ვლინდება ეროვნული თვითშეგნება და კულტურა. აი, რატო-მაცაა აუცილებელი თანამედროვე სწავლა-განათლების კულტურის პროგრესირებისათვის მისი თავურსაწყისების ძიება. ამის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ განათლების კომპლექსურ სისტემაში იმ აუცილებელი თვითმებარი რაობის წინ წამოწვევას, რომელიც აღსაზრდელის სულიერ არსები აყალიბებს იმ მენტალობას, რომლის ირგვლივადაც უნდა მოხდეს ზოგადსაკაცობრიო ღირებუ-ლებათა „თავმოყრა“ ერთიან კომპლექსურ ცოდნად.

ამდენად, სწავლა-განათლების კულტურის უძველესი მეტაისტორიული ფესვებისა და ის-ტორიული ტრადიციების ძიების აუცილებლობა განპირობებულია თვით ამ სიძველის არსით, მისი ბუნებით, რომელიც ნათელს ჰქონდა ჩვენი კულტურულ-ცივილიზაციორული ყოფიერების თავურსაწყისა.

„სიძველე“ მთლიანობაში და არა ოდენ ისტორიული თავისი ბუნებით სულის სარკეში გვა-

ხედებს და იქიდან გვაზიარებს ჩვენი არსებობის საზრისა: ის ჩვენს მენტალობაში აღადგენს იმ მარად უშრეტ სასიცოცხლო ენერგიას, რომლისგანაც გვეძლევა მომავლისკენ სწრაფვის იმპულსები. როგორც ამ საკითხზე მარსელ პრუსტის შეხედულებათა კომენტარებშია ნათქვამი, ჩვენს წარმოსახვებში სიძველიდან აღდგენილი წარსული, არაერთგზის განცდილი, ისე გვეძლევა, რომ სიტყვებით გამოხატული მისი საზრისი თითქოს გამჭვირვალობას იძნეს და უშუალოდ სულს შევიგრძნობთ – მხოლოდ სულს და სხვა არაფერს. ამიტომ, როცა ვეძებთ იმ მითაუამდელი წარსულიდან მომდინარე აღზრდისა და სწავლების კულტურის თავურსაწყისს, ამით შევიგრძნობთ უძველესი ეპოქებიდან მომდინარე გამოძახილს ღვთით ბოძებული ნიჭისას, რომელიც გვეძლევა გარდაუვალი ღირებულებების სახით და ჩვენს დღევანდელობაში შემოჰყავს მარად უშრეტი სული კულტურისა, რომელიც წარმართავს ჩვენს აწყობს და მომავლისკენ სწრაფვას ჩვენსას აძლევს საზრისას.

პრუსტის პერიფრაზით თუ ვიტყვით, ეს უძველესი ხანებიდან მომდინარე გალეული სხეულები არქეფაქტებისა და არქეტიპებისა ხელუხლებლად ინახავენ წარსულის ადგილს აწყობში, წარსულისა, სადაც საგნებს არარეალური ელფერი დაჲკრავს, წარსულისა, ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯზე რომ გვგონია, სინამდვილეში კი საუკუნეები გვაშორებს, მთელი თავისი არსით, ცოტათი გადამეტებული უშუალობით უხმობს სულს, აღაგზნებს მას და ეს არცაა გასაკვირი, რადგან დროის აჩრდილთან გვაქვს საქმე; და მაინც, წარსული ჩვენ შორისაა, აქვე, ჩვენ გვერდით, ხელშესახებია, მზეზე გარინდული (მ. პრუსტი, წიგნის კითხვა, გვ. 84, თბ. 1993 წ.). მაშასადამე, წარსული ცხოვრებიდან, გარდასული დროული და ტრადიციულ უნარ-ჩვევათა სულის ძახილის გამო გვაინტერესებს.

ის უღრმესი პირველცივილიზატორული შრები, რომლებშიც იკვეთება საკაცობრიო კულტურულ ღირებულებათა იშვიათი სახე, გვიხატავენ უძველესი სულიერების ფორმირების პორტრეტს. ამით გვეძლევა ღვთითბოძებული ცნობიერებიდან მომდინარე აზროვნების ყაიდა და ნეს-ჩვეულებათა ბუნება, რომლის საფუძველზედაც ფორმირდება აღზრდისა და სწავლების კულტურა.

ამდენად, როცა ვეხებით აღმოსავლურ ცივილიზაციებს: შუმერულს, ეგვიპტურს, ხეთურურარტულს და ა.შ., ან დასავლურს: ხელთაშუა ზღვა-ეგეოსურ კულტურებს და მათთან კოლხიძერული კულტურის კავშირს, თითქოს საქმე გვაქვს „დასამარებული დროის აჩრდილთან“ (პრუსტი), მაგრამ სინამდვილეში ეს შორეული წარსული, იმავე პრუსტის თქმით, „ჩვენ შორისაა, აქვე, ჩვენ გვერდითაა, ხელშესახებია“, ამიტომ ის ჩვენს დღევანდელობაშიცაა გასააზრებელი, „თუნდაც ცოტათი გადამეტებულადაც ზემოქმედებდეს ჩვენს სულიერ ყოფიერებაზე, აღაგზნებდეს მას“ (პრუსტი), მაგრამ ასეთი „აღმგზნები“ ენერგიული წყაროს გარეშე სულიერი კულტურა დაკარგავდა თავის სასიცოცხლო ძალას და ჩაინთქმებოდა უსულებულობისა და ულირსებობის მღვრიე დინებაში, რასაც კულტურული, პირველ რიგში, აღზრდისა და განათლების რეგრესი მოჰყვება, რაც სრული ეთნოცივილიზებული გადაგვარებით დასრულდება ხოლმე, როგორც ეს დაემართა ზემოთ ნახსენებ ბევრ პირველ ცივილიზაციონულ ხალხს.

ამდენად, ანტიკურობაში ჩვენი სულიერი საწყისების ძიება, რომლებმაც გაუძლეს დროის დინებას, აუცილებელია არა მარტო ინტელექტუალური თვალსაზრისით, არამედ, მყარი ტრადიციონალისტური თავისებურებებიდან გამომდინარე, რომელიც ახასიათებს აღზრდისა და სწავლების კულტურას, ის „ჩვენ შორისაა, ჩვენ გვერდითაა“. შესაბამისად, ასეთი კვლევა აუცილებელია რაციონალური თვალსაზრისითაც.

ძველი ქართველური კულტურის ეს უძველესი კავშირები პირველ ცივილიზაციებთან ჯერ კიდევ უძელესი ეპოქებიდან იყო აღიარებული, განსაკუთრებით ელინურ და რომაულ (დასავლურ) ლიტერატურაში. ისინი აცოცხლებენ ძველთაძველ სურათებს ჩვენი შორეული წინაპრების ცხოვრებისა და კულტურისა, მათ შორის აღზრდისა და განათლებისა. ამას ადასტურებს როგორც წარსული საუკუნეების, ასევე ჩვენს თანამედროვე მეცნიერთა ინტენსიური კვლევა-ძებანი.

იმ უძველესი ხანებიდან მოყოლებული კოლხ-იბერული თემა იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ ის არა მარტო ისტორიისა და მითოლოგიის კუთვნილებად იქნა მიღებული, არამედ მან გადმოინაცვლა კულტურაში და თავისი ორიგინალური ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურაში. დღეს დამტკიცებულადაა მიჩნეული, რომ ელინურ ცივილიზაციას „სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ხელოვნებაში, ღრმა ადგილობრივი ტრადიციები დახვდათ. ნიადაგი, რომელზედაც

აღმოცენდა ელინისტური ხელოვნება, მნიშვნელოვანნილად იყო შემზადებული წინარე ეპოქით და იმ უძველესი კონტაქტებით“ (ვ. ასათიანი, ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები... გვ. 12, თბ. 1996 წ.), რომელებზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა აღმოსავლეთ სამყაროსთან მიმართებაში. ანტიკური კულტურის მთელი ეს უძველესი ტრადიციები ამოძრავებდა ძველ კოლხ-იბერულ წარმართულ კულტურას და ის მთელი სისრულით აისახა მის განვითარებაზე. ასე მიადგა ქართველური მოდგმა თავისი თავისთავადი კულტურით ქრისტიანული ცივილიზაციის ჩასახვისა და განვითარების პროცესს.

ქართული გენეტიკური კოდი, რომელიც აღზრდისა და სწავლების პროცესში აყალიბებდა ერთიან თვითშეგნებას ეთნოკულტურული თვალსაზრისით, მრავალეტაპობრივ და მრავალპლანიან პროცესს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო „ეროვნული ღირსების შეგრძნების გამძაფრება“ (რ. გორდეზიანი) – პატრიოტული სულისკვეთების ფორმირება, რომელიც ხორციელდებოდა აღზრდისა და სწავლების პროცესში. ამ მოვლენამ ძირებული მეტამორფოზა და ჰუმანიზაცია განიცადა, როგორც რ. გორდეზიანი წერს, ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისა და ეროვნული მნიგნობრული ლიტერატურის განვითარების შედეგად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ქრისტიანული ერთიანი ქართული სახელმწიფოს საფუძვლები და შესაძლებელი გახდა გენეტიკური ერთობის ქრისტიანულ იდეაზე დაფუძნებულ ეროვნულ-კულტურულ და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთიანობად გარდაქმნა.

ასე ფორმირდებოდა ჩვენი თვითშეგნება და სწავლა-განათლების კულტურა, „რომლის ხატი ასე ლრმად არის გამჯდარი ჩვენს ფსიქიკაში და რომელიც ასოცირდება აიეტის კოლხეთთან, ფარნავაზის, ფარსმანანების, ვახტანგ გორგასლის, დავით ალმაშენებლის, თამარ მეფის საქართველოსთან“ (რ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 78). ჩვენი შეხედულებით, დიდი უსამართლობაა, ქართული კულტურისა და თვითშეგნების უდიდესი ეტაპების შემოქმედთა ამ ბრწყინვალე პლე-ადის წრიდან რომ „ამოვარდნილია“ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს საფუძვლის – „აფხაზთა სამეფოს“ შემოქმედი მეფე ბაგრატ III, მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის, თორემ, როგორც ავტორი აგრძელებს, „ეს ხატი, ვითარც უკვდავი არქეტიპი, ახლაც, XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე წარმართავს ჩვენს დაუოკებელ ლტოლვას ახალი, ერთიანი, დემოკრატიული, უპირატესად ევროპულ კულტურულ ლირებულებათა სისტემაზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს მშენებლობისკენ“ (იქვე).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემდგომ წერილში ქართული განათლების კულტურის ქრისტიანული პერიოდის პირველი ეტაპის მიმოხილვისას შევეცდებით სრულფასოვნად წარმოვაჩინოთ ის ძალა და ენერგია, რომელიც შემოიტანა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ქართველური მოდგმის სწავლა-განათლების კულტურაში და რომელიც დღემდე წარმართავს ჩვენს დაუოკებელ ლტოლვას დემოკრატიული, უპირატესად ევროპული სწავლა-განათლებითი კულტურისაკენ, როგორადაც ამას აღნიშნავს რ. გორდეზიანი ქართული ეროვნული თვითშეგნების მიმართ.





## ეროვნული მოძრაობის სახელით

2017 წლის დეკემბერში 50 წელი შეუსრულდებოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ უშიშარ მამულიშვილს, შევარდნაძის რეჟიმის მიერ ვერაგულად, განუკითხავად, შეა საუკუნეების ბარბაროსული მოქმედებით მოკლულ გოჩა ესებუას, რომლის თავდადება წარუშლელ ფურცლად დარჩება გასული საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, იმ უთანასწორო ბრძოლის მატიანეში, რომელსაც ქართველი ხალხი ეწეოდა იარაღით მოსული, მოძალადე ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ თარიღთან დაკავშირებით ქ. თბილისში გ. ესებუას პარაკლისი გადაუხადეს მისმა თანამებრძოლებმა, კანონიერი ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენ-ლებმა: ზვიად გამსახურდიას მთავრობის ვიცე-პრემიერმა გურამ აბსანძემ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნემო ბურჯულაძემ, დეპუ-ტატებმა რობერტ პეტრიაშვილმა, თენგიზ ჩაჩავამ, ჯემალ შონიამ, 90-იანი წლების ადა-მიანის უფლებათა დამცველმა სევდია უგრეხელიძემ, გაზეთ „ალდგომის“ რედაქტორმა, გ. ესებუასთან დაკავშირებული მოვლენებისადმი მიძღვნილი წიგნის – „ტერორი თუ რეაქცია ტირანიაზე“ – ავტორმა მურმან ზაქარაიამ და სხვებმა.

## ლაშა გვასალია

### ეპოქალური გმირი

არ გინდა გმირობა, სიცოცხლე სჯობიაო, – ჩემი ერთი მეგობრისთვის, რომელიც ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი იყო, უთქვამს მამამისს. ამ სიტყვების სიღრმეს უფრო გვიან ჩავწერდი. გმირობა სიკვდილის გარეშე წარმოუდგენელია. ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს, უნდა დაიწვას, რომ მერმის გაგრძელდეს. თესლი თუ არ მოკვდა, ვერ აღმოცენდება. ასე, თვალდაუხამაშებელი სიკვდილით აღმოცენდა გოჩა ესებუა, ფიცის ერთგული და სიტყვის ერთგული, ღირსებითა და ვაჟკაცობით მოპირთავებული კოლხი. სწორად აღნიშნა ბატონმა მურმან ზაქარაიამ, გოჩასა და იმ გმირული აქტის მონაწილე ეროვნული გვარდის წევრთა ქმედებები გახლდათ რეაქცია ტირანიაზე და არა ტერორი, როგორადაც სურდათ წარმოჩენა შევარდნას ხელისუფალთ, რომლებმაც რუსეთ-საქართველოს ომი სამოქალაქო ომად და შიდა კონფირონტაციად მონათლეს, სახელმწიფო გადატრიალება – დემოკრატის გამარჯვებად, ხოლო ეს პატრიოტული აქცია – ტერორად.

გოჩა ესებუა გმირად მოევლინა თავის ქვეყანას. ძმის მუხანათურად სიცოცხლეს გამოსალმებამ შურისძიებით კი არა, საჭიროებით აღავსო ახალგაზრდა კოლხი. მას განსაკუთრებით ორი არსებითი მხარე ჰქონდა განვითარებული – ფსიქიური ცხოვრების იდუმალ მოძრაობათა ღრმა ცოდნა, თვისება სულის სიმტკიცის გადმოცემისა, რომელიც ასახავს ფსიქიური ცხოვრების არა მხოლოდ შედეგს, არამედ თვით პროცესს. მეორე – ზნეობრივი გრძნობის სიწმინდე. ამ ორმა ნიშანმა ნიჭი თავდადებაში გადაუზარდა და რაც შემდეგ მოხდა, გახლდათ მისი ზნეობრივი სიწრფელის ლოგიკური გაგრძელება – ტრაგიკული, მაგრამ, მომიტევოს უფალმა და, აუცილებელი დასასრული.

პოლიტიკური აქტი, რომელიც მიმართული იყო ორხელისუფლებიანობის აღიარებით – კანონიერების აღსადგენად, აღსასრულის მომტანი გახდა ამ თავდადებული ადამიანისათვის, რომელმაც ადამიანს, პიროვნებას კი არა, უსამართლობას ესროლა – იმ ბოროტებას, რომელმაც ქვეყანას კანონიერება და ხალხს კი

ჭეშმარიტი თავისუფლება წაჰვარა.

გოჩა დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნის იდეური და სულიერი კატასტროფა კანონიერი ხელისუფლების დამხობისა და ამის შედეგად მომხდარი მძიმე ნეგატიური პროცესების გამოძახილი იყო, რასაც მხოლოდ კანონიერების აღდგენა, განვყეტილი ჯაჭვის შეკვრა და გაერთიანება თუ შეცვლიდა.

შევარდნაძემ და მისმა ხელისუფლებამ ძალადობა ინტელექტუალურ, მორალურ და პიროვნულ სივრცეში გადაიყვანა, რაც აბსოლუტურ დიქტატურაში გადაიზარდა. თითქოს შეეჩვია ერი და ბერი ამ უბედურებას, ქვეყანას სახელმწიფოებრიობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, სწორედ ასეთ დროს იქუხა ქართულმა გენიამ და „პიდრას“ განაჩენი გამოუტანა. მართალია, ის გადარჩა, მაგრამ უსამართლობას პირველად ასე შეერყა საფუძვლიანად ტახტი.

ზვიად გამსახურდია წერდა: „ადამიანში არის რაღაც, რასაც ვერაფრით შეცვლი, აღბათ, ესაა ბედისწერა. მე არასოდეს მიფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზე“. როგორც ზვიად გამსახურდიას არ უცდია ბედისწერის შეცვლა და არ უფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზე, არც მისი იდეების უერთგულეს ჯარისკაცს გოჩა ესებუას უცდია, სხვანაირად განევლო ცხოვრების გზა.

როგორც მისი ულირსეულესი მამა – ბატონი სერგო იტყოდა, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი აკლდა, მხიარული და გალალებული არასდროს ყოფილაო, ყოველთვის მარტოსული და თავის თავში ჩაფიქრებული იყო. მას, როგორც ჩანს, ადრეული ასაკიდან ამზადებდა უფალი თავდადებისა და გმირობისთვის.

„როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეენირება მისი მესვეური, ეს მოასწავებს ამ საქმის გამარჯვებას“, – ესეც დიდი ზვიადის სიტყვებია. ღირსების აღდგენას და თავისუფლებისთვის ბრძოლას შეენირა გოჩა ესებუა. ეს სიკვდილი გახლდათ გამარჯვება ყველაფერ იმაზე, რასაც ბოროტება ერქვა. სწორედ ზვიად გამსახურდიას მომხრეების შეუნელებელმა ბრძოლამ დააძაბუნა და შეასუსტა გადატრიალების გზით მოსული ხუნტა, სწორედ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა შეურიგებელმა ქმედებებმა დაუდეს საფანელი მერმინდელ და დღევანდელ საქარ-

თველოს. 31-მა მარტმა, ანუ სრულიად საქართველოს რეფერენდუმმა – დამოუკიდებლობის სახალხოდ აღიარებით, ჩაუყარა საფუძველი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს თავის ისტორიულ მოცემულობასა და ფარგლებში.

ჩვენ პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ. ის ძალა, რომელმაც ტყვია ესროლა კანონიერ ხელისუფლებას, დაანგრია ქვეყანა და სიცოცხლეს გამოასალმა კანონიერი პრეზიდენტი, გმირად ითვლება. ყველას სახელმწიფო შემწეობა და პრივილეგიები აქვს მინიჭებული, ხოლო კანონიერი ხელისუფლების დამცველი თავდადებული ადამიანები, პატრიოტები კი – მოღალატებად, ბანდის წევრებად ან უკეთეს შემთხვევაში მოხალისეებად იწოდებიან. ამაზეა ნათქვამი: საქმე საქმობდა, სიმართლე კი ტიროდაო.

გოჩა ესებუამ სულ რამდენიმე დღეში შექმნა ეპოქა, რომელიც ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ უნათელეს წერტილად დარჩება. დიახ, რამდენიმე დღეში, რადგან სიმართლესა და პატრიოტიზმს ფიქრი, განსჯა და სჯა-ბაასი არ სჭირდება, ის უცებ მოევლინება, ვით გამოცხადება უფლისა ჩვენისა და ამაღლება ერში და ბერში.

გოჩა მარადისობაშია, სახარება გვასწავლის: „არავინ ცოცხლობს, ვინც არ მომკვდარა“ – ამისთვის კი პავლე მოციქულის სიტყვებისა არ იყოს: „კაცად კაცადგან თავის ტვირთი იტვირთოს“. ამ საოცარმა ახალგაზრდამ ყველაფერი გააკეთა, – პირნათლად ეტარებინა ჯვარი მისი და აღესრულებინა ვალი მამულიშვილური...

მეტად საინტერესო ფაქტის მომსწრე გახდა მსოფლიო საზოგადოება, ტყვედ აყვანილმა ადამიანმა ტყვედ ამყვანის სახელი დაარქვა თავის ვაჟს. გაოცდნენ, განცვიფრდნენ, საიდან, როგორ, რანაირად? შეიძლება მერმისს ყველაფერს მიხვდნენ, ყველაფერი გაიგეს, თუ რა მიზანი ჰქონდა მსგავს ქმედებას, მაგრამ ძალიან ბევრმა ვინძლო არ უწყოდა გენეტიკური ხასიათი ჩვენი ერისა. ქართულ ფოლკლორში ბოროტ გმირს ვერ იპოვით, ბანჯგვლიანი და მრავალთავიანი დევებიც კი იუმორისტული ხედვით აღიქმებიან.

ჩვენ გვინდა თავისუფალი საქართველო... თავისუფლებას კი ყოველი ეპოქა ახალ გოჩა ესებუას განუმზადებს!..



### გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატები

დეკემბრის დასაწყისში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებულ-მა გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის კომისიის შეჯამა წლევანდელი კონკურსის შედეგები აღნიშნული პრემიის მოსაპოვებლად.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია მიენიჭათ ჯემალ შონიას (პოეზია), ნანა ქარდავას (პროზა) და აზა ბას-ლაძეს (საბავშვო მწერლობა).

ჩვენი ურნალის დღევანდელ ნომერში წარმოგიდგენთ პრემიის წლევანდელ ლაურეატთა შემოქმედებას.

### ნანა ქარდავა



ნანა ზაურის ასული ქარდავა დაიბადა 1968 წლის 30 მარტს ქ. სოხუმში.

1985 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სოხუმის მეექვსე საშუალო სკოლა. 1986-1992 წლებში სწავლობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტზე. მუშაობდა იძულებით გადაადგილებულ ბავშვთა პოლიკლინიკაში ექიმ-პედიატრად, გ. შარვაშიძის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის უფროს რეფერენტად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მინისტრის თანაშემნედ, აფხაზეთის ა/რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტად...

არის 6 წიგნის ავტორი, სისტემატურად იბეჭდება ლიტერატურულ პრესაში.

### სამშობლო

სამშობლო? სამშობლო შენი სახლის ჭიშკარია, სამშობლო შენი ბავშვობაა, შენი წინაპრების რწმენა და ადათია, შენი ბაბუას ნაოფლარია, შენი ბებიას ზოგჯერ ცრემლიანი და მუდამ იმედიანი თვალებია, შენი დედის ლოცვაა სამშობლო და მამის ტკივილია, წინაპართა საფლავებისა და გულის ძახილია სამშობლო. მხოლოდ შენი ფანჯრიდან რომ ჩანს, ცის ის ნაწილია სამშობლო... ტკივილი და სიხარული, სუნთქვა და ბავშვის სიცილია სამშობლო... სამშობლო ის ჰაერია, შენს ფილტვებს რომ ავსებს, ურომლისოდაც ვერ იცოცხლებ, ის უანგბადია სამშობლო...

სამშობლო კიდევ ძელზე შემოხვეული ვენახია...

ფესვმაგარი მუხაა...

კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანია...

შავი ზღვა და მისი ერთი მღამე წვეთია...

ქართული ცეკვა და ქართული სიმღერაა...

მრავალუამიერი და მოძახილია...

დაუსრულებელი ფიქრია სამშობლო...

და თუ ამ ყველაფრის გადმოცემა შეძელი ან სცადე მაინც, ალბათ, შემოქმედი ხარ... სიყვარულის გარეშე შემოქმედი არაფერია. სამშობლოს სიყვარულის გარეშე – სულ არაფერი! სიყვარული კი არც უფლებაა და არც მოვალეობა... სამშობლო ან გიყვარს ან გგონია, რომ გიყვარს.

იქნებ სამშობლო თვალებში ჩასახლებული სევდაა?

როგორ მომრავლდნენ ირგვლივ თვალებში მუდამ სევდაჩამდგარი ადამიანები... როგორ მომრავლდნენ თვალსევდიანი ადამიანები... ჩვენ კი არ გვცალია არავისთვის, ჩვენ ხო და-ვიწყებისთვის ვართ გაჩენილები... აფხაზეთის ომში მრავალჭირგადანახადი ადამიანები ნელ-ნელა მიდიან ჩვენგან და მიაქვთ უაფხაზეთო-ბის ტკივილი... ხეს რომ ფოთლები დასცვივდა, სწორედ ისე დასცვივა ჩემი მშობლების თაობა ქვეყანას... მიდიან და მხოლოდ ძალიან ახლო-

ბელთა გულებში ტოვებენ ტკივილით გაჯერე-ბულ მოგონებებს... მათზე აღარავინ ყვება და აღარავინ წუხს... ისინი კი მიდიან... ყოფნიდან არყოფნაში გადასახლდებიან... ერთხელ ხომ უკვე განვლეს ეს გზა ყოფნიდან არყოფნისაკენ მიმავალი? –ჭუბერის ულელტეხილი, ადიდებუ-ლი ენგური... უკვე ხომ გამოიარეს გოლგოთა?

დავივიწყოთ, რომ შევრიგდეთო! ან როგორ დავივიწყოთ ან როგორ შევრიგდეთ?!

სამშობლო გაუნელებელი ტკივილიცაა...

## დღების, ხეებისა და სახლებისათვის

წითელ ხიდზე მტერი გამარჯვებას ზეიმობს.

„ახავაი, მარჯა, – სიმწრისაგან შუბლზე იცემს ხელისგულებს ჩემ გვერდით მდგომი, უამგადასული მეგრელი“ (ჯ. ჯოჯუა, „სისხლი-ანი ედელვაისები“).

ახავაი, მარჯა! ახავაი, მარჯა! –ხმას ვუ-ერთებ იმ უამგადასული ჩემი სისხლ-ხორცის კვნესას და ძალიან მინდა ჩემმა შვილებმაც ამგვარად ამოიკვნესონ ახაზეთის ყოველ ხსე-ნებაზე!

თავს ნუ მოვიტყუებთ, მათ არ ესმით ეს სიტყვები. უფრო გულწრფელი თუ ვიქებით, არც მე მესმის ამ სიტყვების ლექსიკური მნიშ-ვნელობა. უბრალოდ, აზრობრივად ისინი ჩემი ახლობლები არიან, ჩემი იმედები თუ, პირიქით, ჩემი დასამარებული იმედების გამო ამონაკ-ვნესთა შორის ყველაზე ახლობელნი.

ახლობელნი, როგორც ის ხეები, სოხუმში რომ დარჩენ. ჩვენს დროს და ჩვენამდეც რომ იქ იყვნენ და ახლაც იქ არიან. ხომ სუნთქავენ ხეები, რა იქნება, მოყოლაც რომ შეეძლოთ. რამდენის მნახველი არიან, რამდენის მომ-სწრენი. ორი ევკალიპტის ხე რუსთაველის სა-ხელობის სანაპიროზე, კინოთეატრთან ახლოს, ბევრს გეხსომებათ: ერთი სწორად იზრდება, მეორე კი გადაწოლილივითაა. ინტერნეტით ახლაც გავრცელდა ამ ორი ხის ფოტო. გამი-ხარდა მათი ნახვა. რაც „ჰაკი აძბა“ წავიკითხე, ასე მგონია პორუჩიკმა ემუხვარმა სწორედ ამ ხის ძირში გააწნა-მეთექი სილა თავხედ რუს სალდაფონს. რატომ მგონია ასე, არ ვიცი, უბრალოდ, ეს სცენა ამ ხეების ჩრდილქვეშ წარმომიდგენია.

პატარა რომ ვიყავი, მამაჩემს ვკითხე იმ „წამოწლილი“ ევკალიპტის ხეზე – ასე რა-ტომ იზრდება-მეთექი. მან მიპასუხა: დედაშენს

იმდენხანს ველოდე პაემანზე ამ ხეს მიყრდნო-ბილმა, რომ გადაიხარაო... არასოდეს დამი-ჯერებია ეს ამბავი და მაინც ჯიუტად მჯერა. კიდევ რომელი ხეები მახსოვს? ჩვენი ეზოსი რასაკვირველია: მანდარინები სახლის წინ და კარალიოკი ჭიშკართან. თუ არ მოჭრეს, ახლა დიდი იქნება. ბაბუამ ერთხელ ტოტი მოაჭრა გაბრაზებულმა – მე ჩამოვგარდი იმ ტოტიდან!

წარმოსახვით სახელს რომ დავალაგეს (ხომ სასაცილოა), ამ ხესთან მივდივარ და დიდხანს ვფიქრობ, მოვჭრა თუ არა... არც მემეტება – ერთი მხრივ, მაგრამ ვაითუ ჩემი შვილიშვილი ჩამოვარდეს იმ ხიდან...

სახლების თემას მივუახლოვდი. ჩემს ერთ წიგნს დავარქვი ასე – „სახლი“. იმ მოთხრო-ბით ყველაფერი ვუთხარი ჩემს სახლს... ვიცი, მელოდება და ისიც ვიცი, ვნახავ! მხოლოდ იმას ვერ ვარკვევ მომავლის შეგრძნებებიდან – ტურისტივით ავივლი მის წინ თუ მოგონებე-ბის მტვერს გადავაცლი წინაპართა ისტორიულ ნივთებს, ასე მრავლად რომ დამრჩა იქ...

დევნილობის თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ცამეტი ბინა გამოვიცვალე. ზოგი ნაქირავები იყო, ზოგი – საკუთარი, ზოგი – ჩემი შეძენილი, კომპაქტურ ჩასახლებაშიც კი მიცხოვრია... მაგრამ არცერთზე არ მიფიქრია, ეს ჩემი სახლია-მეთექი...

ჩემი სახლი სოხუმია....

აქ სხვა ხეები იზრდება... აქ სხვა დღეები გადის... იმ ხეებს ნაჩვევი ხალხი, იმ დღეებს ესათუთება... ნეტავ ეს დღეები რისთვის მოგ-ვესავა – ვფიქრობ ხშრად...

– ახავაი, მარჯა! სიცოცხლემისჯილები გავხდით... სხვათა მიერ დაგეგმილი დღეებით ვცხოვრობთ... ჩვენი დღეები კი უჩვენოდ გა-დიან აფხაზეთში...

## უცნაური პინიშნებები

აფხაზეთის ომის დაწყებამდე ცოტა ადრე (მგონი, წინა ზაფხულს) სოფელში ბეჭიას ძროხამ ხდო მოიგო, ორთავიანი ხბო. მე არ მინახავს – მონაყოლით ვიცი. ოთხი ფეხი, ერთი ტანი, ერთი კუდი და ორი თავი! თანაც ორივე თავი სხვადასხვა მხარეს იყურებოდა: ერთი მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ. ერთ თავს რომ ერთ მხარეს უნდოდა წასვლა, მეორე საპირისპირო მიმართულებით იწევდა. ტანი ხან ერთს ემორჩილებოდა, ხან მეორეს – ამიტომაც ადგილს ტკეპნიდა. სოფელი შეძრა თურმე ბეჭიას კივილმა: – ომი იქნება! არასოდეს მიკითხავს მისთვის, ეს დაცდილი ნიშანი იყო თუ რატომ მიიჩნია ომის მაუწყებლად. ახლა რომ ვწერ, საოცარი მეტაფორა მგონია ამ ომისა ეს ორთავიანი ხბო: ერთი ტანი და ორი თავი, სხვადასხვა მიმართულებით მომზირალი...

მწერალი მამუკა წილაური („ცამეტი სისხლიანი მთვარე“) წერს, 90-იან წლებში როგორ ავიდა ხევსურეთში და იქ გვარის უხუცესმა როგორ უთხრა, ომი იქნებაო, სისხლი დაიღვრებაო... მთვარეს სისხლიანი სახე აქვსო, – განუმარტა თანაც თავისი ავი წინათგრძნობის მიზეზი. ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, აივანზე ვისხედით სოხუმში მე, დედა და ჩემი და. საღამო იყო და ნაცრისფერ ცაზე უფრო ნაცრისფერი მთვარე იკვეთებოდა. დედამ ახედა და გრძნეულივით თქვა: ომი იქნება. მერე რამდენჯერაც შევეყითხე, იმდენი მიპასუხა, – არ მახსოვს, რატომ ვთქვიო... მე კი არ მავიწყდება, ვიცი, მთვარემ გაანდო...

როგორი იყო ჩემი გაოცება, როდესაც იტალიელი მკვლევარის კარლა სერენას მიერ, 1881 წელს დაწერილი „მოგზაურის ჩანაწე-

რებში“ აფხაზეთის აღწერისას, „**Exscursion au Samurzakan et en Abcasie**“ წოდებულ ნაწილში ამოვიკითხე: „მთელი დამე 13-დან 14 აგვისტომდე, მოსახლეობა ფხიზლადა, მღერიან და ცეკვავენ, ყურადღება გამახვილებული აქვთ, რომ არავის ჩაეძინოს. ეშინიათ მაზაკვალებმა არ იხელთონ დრო და არაფრთხილ ადამიანს გული არ მოსტაცონ. ამას გარდა, ყოველი ოჯახის თავკაცი ცაში ისვრის და ამბობს: „ეს ტყვია მოხვედროდეს ავსულს, რომ ბოროტება არ გვიყოს!“ დაილოცოს უფლის განგება! რაღა ომის დაწყების დღეს – 14 აგვისტოს უკავშირებდნენ ჩვენი წინაპრები ეშმაკეულთა და მაზაკვალთა მოვლინებას მათ მიწაზე?! 1881 წელს ეთნოგრაფი ქალბატონი ამ მოვლენას აღნერს, როგორც ძველ ტრადიციას! ანუ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენი წინაპრები იკრიბებოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ფხიზლობდნენ ეშმაკეულთა მოლოდინში, რომელთაც შეეძლოთ „გულის მოტაცება“ – გაუფრთხილებული ადამიანისათვის!!! აი, კიდევ ერთი მინიშნება იმისა, თუ რატომ არ უნდა უარვყოთ წინაპართა ადათი! ჩვენ რომ მათთვის დაგვეჯერებინა, ტრადიცია შეგვენარჩუნებინა, 14 აგვისტოს ერთად გავათენებდით სადმე სამურზაყანოში, ცეკვა-სიმღერითა და ლოცვით, რომ ავსულს არ მოეღო ბოროტება ჩვენზედ, რომ მაზაკვალს არ დავემარცხებინეთ!

მაგრამ ახლა გვიანაა, ძალიან გვიან... ამ წიგნის წერაც დაგვიანებულია... მაინც დავწერ... ეგებ გადარჩენილებს გავუფრთხილდეთ... ეგებ უფრო ხშირად ავაპყროთ თვალები ცას – ლოცვისათვის, მზეს – სიყვარულისათვის, მთვარეს – ფიქრისათვის...

## „სხვათა“ თბე

დევნილობის პირველი უმძიმესი დღეებია. პლეხანოვზე ვცხოვრობთ ხუთსულიანი ოჯახი ერთ ნაქირავებ ითახში. ერთი საწოლი გვაქვს, რომელზეც ბაბუას მიუჩინეთ ადგილი. დანარჩენები იატაკზე გაშლილ, სახელდახელოდ შეკერილ ლეიბებზე ვწევართ. გათენებამდე პურის რიგში ვდგავართ – ხელზე ნომერდაწერილები, ერთმანეთს ვენაცვლებით. აი, რა ყოფილა ბრძოლა არსებობისთვის! პური ყველას

უნდა. ყველას უნდა პირველი იყოს ამ რიგში. გაავებული ხალხი არავის სცნობს და არავის ინდობს. ჩვენმა რიგმაც მოაწია – ნომერი დაიძახეს. ორი პური გვეკუთვნის და როგორც შეგვიძლია მივიწევთ წინ – სიცოცხლის სარკმლისაკენ, საიდანაც პური უნდა მოგვაწოდონ.

– ესენიც რომ დაგვემატნენ, იმიტომ არ გვყოფნის პური! – ცხარობს ჩვენი მეზობელი.

„ესენი“, რაღა თქმა უნდა, ჩვენ ვართ –

დევნილები, უცხოები, ზედმეტები. არავის უნდა დღემდე გაიგოს, რომ ჩვენი ნებით არ ჩამოვსულვართ დედაქალაქში. აქ ცხოვრება არც ჩვენი ოცნება და არც მიზანი არ ყოფილა, არასოდეს. ჩვენ „სხვები“ ვართ. „სხვათა“ ომიდან ნამსხვრევებად დარჩენილები გადმოგვხვეწა ბედისწერის ქარმა....

ამ პოლიტიკურ ავანტიურას ნიღაბი არაერთმა მოაზროვნე ადამიანმა ახადა. მოვუსმინოთ ლორიკ მარშანიას, უძველესი აფხაზური საგვარეულოს ჩამომავალს, აგრარული აკადემიის აკადემიკოსს, პოლიტიკოსს და, უბრალოდ, კარგ ადამიანს: „იყო თუ არა საჭიროება ქართული სამხედრო ნაწილების შექრისა აფხაზეთის ტერიტორიაზე? პირდაპირ ვაცხადებ: არა მარტო არ იყო საჭირო, არამედ ეს იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და მის სათავეში მდგომი ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედება. პიროვნულად: ედუარდ შევარდნაძის, თ. კიტოვანის, ჯ. იოსელიანის და თ. სიგუასი. მე არაერთხელ დავუკავშირდი ე. შევარდნაძეს თხოვნით, არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა „მხედრიონისა“ და „გვარდიის“

ნაწილების შემოსვლა აფხაზეთში. მან მტკიცე პირობა მოგვცა, რომ ეს არ მოხდებოდა“ (ლორიკ მარშანია, „ჯვარცმული აფხაზეთი“, 2008 წელი). შევარდნაძე ხომ „სიტყვის კაცი“ იყო. როგორ მინდა აქ ელექტრონულ მიმოწერაში მიღებული ნიშანი – ლიმილაკი (“სმაილი”) ჩავსვა, ოლონდ ამ ნიშანს ჯოკონდასებური ირონიული გაღიმების ეფექტი დავამატო!

აი, ასე ვერ გადაარჩინეს ომის ხანძარს სამშობლო ადამიანებმა: ვერც სახელოვანმა და ვერც უსახელო მამულიშვილებმა. ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემულ წიგნში „სისხლიანი ედელვაისები“ ჯუმბერ ჯოჯუა წერს: „მსოფლიო კეთილი ნების ადამიანებო! გულგრილად და ობივატელის სიმშვიდით ნუ ჩაუვლით გვერდს აგრესიულ სეპარატიზმს, კაცობრიობისათვის ამ დამღუპველ შავ ძალას, თორემ ხვალ იგი ბუმერანგივით დაუბრუნდება თქვენსავე სამშობლოს“.

კიდევ ერთხელ ნავიკითხოთ ეს სიტყვები! ყველამ – კიდევ ერთხელ! და დავფიქრდეთ. ეგებ ჯერაც არ იყოს გვიანი. აფხაზეთი სხვისი კი არა, ჩვენი სამშობლოა!

## ეკულას ჩაღაცა აქეს სახსოვარი...

ახლა 48 წლის ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი პირველი ფეხსაცმელიც 48 წლისაა ზუსტად. იმ წელს იყიდეს, როცა დავიბადე, სოხუმის „დეცკი მირად“ წოდებულ მაღაზიაში. ყავისფერი ტყავის. ახლა ასეთებს ვინდა კერავს, მაშინ კი ჩემი თაობის ყველა ბავშვი ასეთ ფეხსაცმელ-ში იდგამდა ფეხს. საგულდაგულოდ არასოდეს შემინახავს. სოხუმიდან ნამოღებულ ჩანთაში შემთხვევით აღმოვაჩინე, სამალავ ჯიბეში. დედამ ჩადო ალბათ. ცამეტი ბინა გამოვიცვალე თბილისში. რამდენი ნივთი დავკარგე, გავაჩუქე ან გავყიდე, ვინ მოთვლის. ეს კი არასოდეს

იკარგებოდა. ჩემი ბედისწერასავით ადევნებული თან დამყვება მთელი ცხოვრების მანძილზე. ბინიდან ბინაში, ვინ იცის მერამდენედ გადასული, ჩანთებს დავცლი და რომელიღაცადან ცოცხალივით ამოხტება აუცილებლად. არა, ეს შემთხვევითობა უკვე აღარა!

შევინახე ახლაც საგულდაგულოდ. მიყვარს, როგორც ჩემი ბავშვობა, სოხუმი, წარსული. ეს ხომ ერთადერთი ნივთია, რომელსაც ძირზე სოხუმის ეზოს მტკრის კვალი ატყვია, ისევე, როგორც სოხუმის ეზოს ატყვია სწორედ ამ ფეხსაცმლიანი ჩემი პირველი ნაბიჯები...



## აზა გასლანიძე



### დედას

ჩიტო, ჩიტო, ოქროს ჩიტო,  
ამოიღვი ენა!  
ჩემს დედიკოს ეამება  
ჭიკჭიკი და სტვენა.

ქარო, ქარო ნიავქარო,  
როცა ქროლით ტკბები,  
გთხოვ, რომ ალარ აუწენო  
ჩემს დედიკოს თმები.

ის უსაზღვრო სიყვარული,  
რასაც ქვეყნად ვხედავ,  
ეს ხომ შენი თვალებია,  
საყვარელო დედა.

როგორ მინდა, როგორ მინდა,  
რაც ვარდია ქვეყნად,  
ყველა შენ რომ დაგიკრიფო  
და მოგართვა, დედა!

### ალიცლიცდა ტალღა

ბადრი მთვარე ზღაპრულ სურათს გვჩუქნის,  
ნათებაა იდუმალი შუქის.  
შრიალა ზღვამ ცას ახედა მაღლა  
და ვერცხლისფრად ალიცლიცდა ტალღა.

დაიბადა ქ.სოხუმში, ცნობილი ქართველი  
მწერლის შოთა აკობიას ოჯახში; საშუალო  
სკოლის შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელ-  
მწიფო კონსერვატორია.

აზა ბასლანიძის საბავშვო ლექსები სისტე-  
მატურად იძეჭდება პერიოდულ პრესასა და  
საბავშვო გამოცემებში, შეტანილია ქართუ-  
ლი საბავშვო პოეზიის ანთოლოგიაში. არის  
რამდენიმე საყმანვილო პოეტური კრებულის  
ავტორი.

საყმანვილო ლიტერატურაში შეტანილი  
განსაკუთრებული წვლილისთვის მინიჭებული  
აქვს მაყვალა მრევლიშვილისა და შიო მღვიმე-  
ლის სახელობის პრემიები.

### რა კათილი ხარო

არასოდეს მინახავს  
საოცრება მსგავსი:  
ქარმა ოქროს ფოთლებთან  
დღეს იცეკვა ვალსი.

ფარფატ-ფარფატ შეფრინდა  
ფულუროში ერთი.  
გაიხარა ციყვუნამ,-  
ქარს მადლობას ვეტყვი.

საჩუქრისთვის მადლობა,  
შემოდგომის ქარო.  
თუმცა აშარს გეძახიან,  
რა კეთილი ხარო.

### ცვიმა მღერის

გაზაფხულის წვიმა მღერის,  
მღერის წვიმა შხაპუნა.  
მელამ სოროს მიაშურა,  
დაიმალა დათუნა.

ბაჭია კი წვიმას უსმენს  
დაცქვეტილი ყურებით  
და შხაპუნაც ეფერება  
სველი ხელისგულებით.

## საოცარი ხეები

საოცარი ხეებია  
ჩემი ფანჯრის მიღმა,  
სალამიო! - ფუღუროდან  
გადმომძახა ციყვმა.

ვითარც გემი ქარიშხალში,  
რომ აუშვებს აფრებს;  
ირწევიან, შრიალებენ,  
მიყვებიან ზღაპრებს.

ამ ხეებზე ჩიტებია  
და ვერ იტყვის ენა,  
ისე მატკბობს მე იმათი  
ჭიკჭიკი და სტვენა.

საოცარი ხეებია  
ჩემი ფანჯრის მიღმა,  
სალამიო! - ფუღუროდან  
გადმომძახა ციყვმა.

## ფაფუკ თოვლიში დარბიან

მგელი გაციებულა და  
მკურნალობენ აბებითო,  
ჩვენ კი ყინვა არ გვაშინებს,  
ხტუნვა-ხტუნვით გავთბებითო.

ზამთარია, ზამთარია!  
ბაჭიებიც აქ არიან.  
ასე დილაადრიან  
ფაფუკ თოვლში დარბიან.

## სამოგლობო სადღაც

სიცივეა ჯერაც,  
მინდვრად მოჩანს ლილო,  
მერცხალი კი ბუდესთან  
დაბრუნებას ცდილობს.

გადმოლახოს უნდა  
შორეული გზები.  
დაეღალა ალბათ  
ჰანანინა ფრთები.

სამშობლოა სადღაც  
და პანია კერა,  
ჰორიზონტზე რომ ჩანს  
ცისარტყელას ფერად.

## მამალგა თძვა

- ვიყივლე და მთვარე გაქრა,  
ვარსკვლავებიც აღარ ჩანან.  
მე რომ არა, მზის ამოსვლას  
იხილავდით ქვეყნად განა? —

ესა თქვა და მამლაყინნამ  
იწყო ყინჩად სიარული.  
მზე იღიმის ლაუვარდ ცაზე,  
დღე იწყება მხიარული!

## სამეჯლისო კაბა

მუსიკის ხმა მესმის,  
ალბათ უკრავს ჩემთვის.

სამეჯლისო კაბა  
მეც ჩავიცვი სწრაფად.  
აბა, დელი-დელა,  
დავტრიალდი ხელად.

ვცეკვავ, ვცეკვავ, ვცეკვავ,  
დავიღლები ნეტავ?  
საოცრება გახდა,  
ჩემი კაბის კალთა.

ვეღარ ვდგები ფეხზე,  
ის კი უვლის წრეზე.  
გამიბრაზდა ბებო,  
მითხრა, - ცეკვა გეყო!..

მე რა მექნა, აბა,  
თუ ცეკვავდა კაბა?!

## ოცნებებს გავყვები

შრიალა ხეები მგონია აფრები,  
დავხუჭავ თვალებს და ოცნებებს გავყვები.  
მინდორში ბალახზე ვწევარ და მგონია,  
ზღვა მარწევს და სადღაც ფარფატებს თოლია.

## პემალ შონია



### უმთრედებო მამული

გაწოლილია ველზე სათანჯო,  
მაღლით მდუმარედ დასცქერს შუშელი...  
აქ სიყვარულით უნდა დატანჯო  
გული, თორემ თავს ვეღარ უშველი.

ისევ ძველი გზით ილტვის ერწყარი,  
გზაარეული ბორგავს ენგური  
და ცისარტყელას თალზე შემსხდარი  
მტრედების გუნდით ცაა შემკული.

აქ, მიწაზე კი ლოცვა-ვედრებით  
ვერ გაიხარა ნატვრის სანერგემ:  
კარგა ხანია, რაც ის მტრედები  
ფეხს მამულს ჩემსას არ აკარებენ.

### მოზღვავება

მჩუქნიდა მადლის ნათელს ციონი,  
ვლებავდი ციხეს სისხლით, მრეშითა,  
როცა მოზღვავდა ჩემში რიონი  
და საბრძოლველად მიხმო ხრესილთან.

იმ მადლის კვლავაც შემრჩა მარაგი,  
მასაც, მამულო, შენკენ წარვიტან,  
თუ კვლავ მოზღვავდა ჩემში არაგვი  
და საბრძოლველად მიხმო კრწანისთან.

დაიბადა 1947 წელს გალის რაიონის სოფელ საბერიოში. სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლობდა სოხუმის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

მუშაობდა რაიონულ გაზეთში, დევნილობის შემდეგ – თბილისის სხვადასხვა ურნალ-გაზეთში, არის პოეტური და პუბლიცისტური კრებულების ავტორი.

1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მაურიტარ დეპუტატად, იყო სამოქალაქო უფლებათა ქვეკომისიის თავმჯდომარე. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

ეს დღეც იმედის არის ერთგული,  
ჩამქრალ კერაზე ცეცხლის დამნთები...  
და მოზღვავდება ჩემში ენგური,  
რომ ვფლითო რუსის მავთულხლართები.

### უმარილო ნაცნობობა

დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ,  
ვიცით ერთურთის ავანჩავანი,  
ზოგჯერ ხალვათად, ზოგჯერაც ვიწროდ  
გამოვიარეთ ჩვენი სავალი.

მაგრამ დრო-ჟამი ეჭვებსაც მისევს,  
გულს შეაშფოთებს მათი არილი,  
ერთმანეთს ვიცნობთ რადგანაც ისე, –  
არ გვიჭამია ფუთი მარილი.

კარგია, ღიმილს თუ მზერას მზე რომ  
მარილიანი შუქით გიმოსავს,  
მე კი როგორმე გავუგებ გემოს  
ამ ნაცნობობას, უმარილოსაც.

### მხსნელი

კვლავ აიხედე მაღლა, კენწეროვ,  
გინდ ხისა იყო და გინდ ბალახის...  
ზეცის საძმოში უნდა ენერო,  
თორემ სხვაგვარად ყოფნა არა ღირს...

ზეცისთვის სათქმელს ფესვი გუარნახობს,  
შენი სუნთქვის და ფერის მკვებავი,  
რათა მოსტაცო ვარსკვლავთ სანახებს  
ახალ-ახალი გათენებანი.

სამზერად დიდი სივრცე გაქვს ოდეს  
მზის ალერსით თუ ელვის როზგითა, –  
ის შენი მხსნელი მუდამ გახსოვდეს,  
ბნელი მიწიდან ვინც ამოგზიდა.

### აჩედის ცეცხლი

როცა აბედად იქცევა კვეულ  
და მოსცილდება უძარლვო ქერცლი, –  
დაგელოდება იგი შენ, კვესო,  
რომ სიყვარულის შეუნთო ცეცხლი.

არ გაჩერდება ის ცეცხლი, ივლის  
და ნახავ, ზეცის კარსაც რომ აღებს,  
დაემსგავსება თავინი დილის  
ალმოდებული აბედის ძარლვებს.

როცა აბედად იქცევა კვეულ,  
ჩამოსხეპილი უგრძნობელ კალთებს,  
შენ სიყვარული ასწავლე, კვესო,  
რომ მერე მისით სამყარო გათბეს.

### პვერის დაპვრა

მიყვარს სამჭედლო შენი აზრების,  
ვარ მათი სექტის ერთი კვაკერი;  
შენ სიტყვა ჭედე, მე კი დავდგები  
მაგ გრდემლთან, რათა დაგიკრა კვერი.

სიმართლის ნათელს გააქვს კრიალი,  
ველარ დაჩაგრეს ეჭვის ელდებმა  
და მეც არ ვშიშობ, რომ კვერიანი  
ხელი ჰაერში გამიშეშდება.

აქ მეც მოვირგებ მჭედლის ფეშტამალს  
და გულს მივუშვერ ქურად საბერველს,  
რომ ჩემი სიტყვაც ამომემთვაროს  
და სიბნელეში შუქი გაბევრდეს.

თევზივით აქ არ გააქვთ ფართხალი,  
არც შავზე თეთრად არის ნაკერი...  
აქ იქედება სიტყვა მართალი  
და მეც მზადა ვარ, დავუკრა კვერი.

### ივლისი

აპა, ივლისმა მზის ნაღვერდლებზე  
სულ ფეხშიშველამ გადაირბინა,  
ზედ ნატერფალთა წუხან ლვენთები,  
იწვის ბალახი, ერთ დროს ბიბინა.

იწვის ბალახი, გუშინ ნებივრად  
იმედის ლაუვარდს შენამზირები...  
მოთიბულ მინდორს ძუძუებივით  
ამოეზარდა თივის ზვინები.

მათი სურნელი გათრობს, დარდიან  
და გამჭვირვალე ქარს შერეული,  
მთიბველის ჩრდილთან ცელი აგდია,  
ვალმოხდილი და ძილმორეული.

გედება სხივი, მზისგან ნაცერი,  
ისიც – მხურვალე და მომხიბვლელი...  
მთიბველის ჩრდილთან აგდია ცელი,  
არსად არა ჩანს თვითონ მთიბველი.

### გიშის გასპარობა

ირყევა სახლი, დაიქცეს ლამის  
ჭერი, კედელი, კიბე, რიკული...  
მიწა იძრა და არ არის ამის  
მიზეზი რამე ტექტონიკური.

გავარდა მეხი... რა ელდა ახლავს  
მოწმენდილ ცაზე ამ მეხს, ველური!..  
არ არის ამის მიზეზი ახლა  
რამე მოვლენა ატმოსფერული.

უეცრად ლამედ დღე გადაიქცა  
და ნაცნობი გზა გახდა უვალი;  
მიწა გაგისკდა, სწორედ ის მიწა,  
სულ რომ მყარია და შეუვალი.

ვიღაცამ ავად გამოგდო ფეხი  
ან თვითონ რამე ქნა იმისთანა,  
რომ შენ, უცოდველს, დაგეცა მეხი,  
გასკდა მიწა და თან ჩაგიტანა.

### სიოზო

ყველა სითბო არ გვერგო მზისაგან,  
ზოგი ნუგეშად მოდის გულიდან;  
გულმა გულისკენ გზა გაისაგნა  
თავისი ზამთრით და ზაფხულითა.

## ლაურეატები

მზემ, შეიძლება, დაგწვას, გაგწიროს,  
აგიპრიალოს ძვლები, მალები...  
ამგვარად, ზოგჯერ არის საჭირო,  
ნათელს ბნელში რომ დაემალები.

მიდი, ასწავლე ადამიანებს  
სხვა სითბო, გულით რასაც იწამებ;  
მზე სულ თავისი ჭკუით ბრიალებს  
და არა კაცთა სურვილისამებრ.

დაგვრჩეს ეს გული ფიქრთა მწვერვალად  
და გაცხადებულ ზღაპრად, მითოსად,  
რადგან, მის სითბოს ვინც დაემალა,  
მზეზეც გაცივდა და გაითოშა.

### ნამდვილი საირმე

ო. ი - ს

მთაში ავყვები ქარებს, ზეფირებს,  
დავალევინო თვალს წყალი, თორემ  
ირმების რძეს ვინ დამალევინებს,  
იალალებზე ახლა რომ ძოვენ.

პეშვებს მივუშვერ ცვრიან საირმეს,  
შენ დაგიტოვებ ივლისის ქალაქს,  
ნატვრა კი, სიცხით რომ არ დაირბეს,  
უბის ჩეროში შენს სახეს მალავს.

ეს მთებიც შენი მზით დაიბინდა,  
ზღაპრული ირმის სადარო ელდავ;  
ამიტომაა, ამ საირმიდან  
ნამდვილ საირმეს შენთან რომ ვხედავ.

დავუბრუნდები ბარის სანახებს,  
დავალევინო თვალს წყალი, თორემ  
ამ მთაში ირმებს ვინ დამანახვებს,  
იალალებზე ახლა რომ ძოვენ.

დაგლანდავს მზერა, სუსტიც, მიმქრალიც,  
ჩაიქსოვს შენი ლიმილის სირმათ,  
დიახ, საირმე სწორედ იქ არის,  
სადაც მეგულვი მშვენიერ ირმად.

### ჭირისუფალი

კვიტოულელმა პედაგოგმა შალვა შონიამ  
დევნილობისას სახლიდან მხოლოდ ერთი ნივთი –  
„ვეფხისტყაოსანი“ წამოილო.

ვერას გახდება მტერი მედროვე  
ბოროტი უინით, აზრით მარტივით...  
ახლა შენა ხარ ბერი თევდორე  
და ხელთ გიჭირავს წიგნი ხატივით.

თუმც უბედობას ვეღარ დავითვლით,  
ფუჭად ეს სისხლი აღარ დაღვრილა...  
ახლა შენა ხარ მეფე დავითი  
და ხელთ გიპყრია წიგნი მახვილად.

გულში იხუტებ... „შენი კვნესამე“, –  
ამბობ, გითბება მოხუცს თითები...  
ახლა შენა ხარ ბაგრატ მესამე  
და ბედიასთან სანთლად ინთები.

წიგნებს გვიწვავდნენ, რომ გავეჩუმეთ  
ჩვენ – ეტრატებზე ღამის მთეველნი...  
ახლა შენა ხარ ბრძენი მერჩულე,  
„ვეფხისტყაოსანის“ გადამწერელი.

წინ ცისკარია შუქდაუთვლელი,  
განწმენდილი და აუბურდავი,  
ახლა შენა ხარ თვითონ რუსთველი  
და ჩვენთან მოგაქვს სიტყვა უკვდავი.

ეს თავდადება, არა ადვილი,  
შენგან ქცეულა ცხადად, ნამდვილად,  
ახლა შენა ხარ ის ავთანდილი,  
რომელმაც მამულს უავთანდილა.

ასხივებს ნათელს გული შიგნიდან,  
ქართულად ყოფის მადლის მფენელი...  
ხვალაც იქნები შოთას წიგნის და  
ქვეყნის მომავლის გადამრჩენელი.

ბრიალებს სული, ცათა განმვრცობი  
და თან – ამ მინის წამლად მხლებელი...  
ხვალაც იქნები ქართველუაცობის  
და ერთგულების მასწავლებელი.

სამშობლოს მიწას, მეხით აოშილს,  
განკურნავს შენი ცრემლის კუმპალი,  
ხვალაც იქნები „ვეფხისტყაოსანის“  
და საქართველოს ჭირისუფალი.

### წყალობა

როდესაც მიწას გათანგავს სიცხე  
და შენს გაზრდილ ნერგს სიცოცხლეს ჰპარავს,  
მაშინ შენ უნდა მერუედ იქცე  
და წყალი უნდა მიუგდო ყანას.

გვალვაა, ძარღვებს წყურვილი გინვავს  
და გამხმარ ნატვრებს ხორშაკი ფოცხავს,  
მაშინ შენ უნდა უშველო მიწას,  
რომელიც თითქოს არა ჰგავს ცოცხალს.

მაგრამ თუ ჭაც და მდინარეც დაშრა,  
თუ ვეძლარ პოვე ნანატრი წყალი, –  
მაშინ შენც უნდა წახვიდე, მაშ, რა  
უნდა ქნა, ასე წასულან სხვანი...

უნდა უშველო მინავლულ ფეთქვას,  
გასცდე ამ ხრიოკ მინდვრებს და ბორცვებს...  
მაშინ შენ უნდა მიხვიდე ღმერთან  
და ის წყალობას წამდვილად მოგცემს.

## დაპურება

წინაპარმა რომ პირველად მიწას  
ანდო მარცვალი, აი, იმ პურში  
რაც მადლი ჩანდა, ის დღესაც გიცავს,  
როგორც უკვდავი გენის იმპულსი.

თუკი ის მადლი შენში კვლავ უფლობს  
და თვალს უსწორებ უამს, მეთვალყურეს,  
ეს იმას ნიშნავს, რომ პურზე უფრო  
სწორედ წინაპრის გენი გაპურებს.

## წაზრის მარცვალი

ნეტავი შენი ნატვრის მარცვალი  
ვიყო, ამხდენი ცხადში ზმანების,  
თანაც – სულ ხნულის ბნელში ჩამძვრალი  
და არა ხელით საგოგმანები.

ნეტავი ვერგო მიწას წოყიერს,  
არც – უნაყოფო სეიფ-კარადებს;  
მე თუ ბელტებმა ხელი მომხვიეს,  
შენ მზისქვეშეთი გაგანავარდებს.

ნეტავი ვიყო ხვითო, ის თვალი,  
რომ გაგიცოცხლებს ჩათქმულ სურვილებს,  
მიწისქვეშ სწორედ მისთვის მიმქრალი,  
ციდან ნათელს რომ მოგანურვინებს.

ნეტა მელირსოს ამოთენება  
შენს ნაოცნებარ წადილ-ნატვრებად,  
მესხას ნაყოფად ის, რაც გენება,  
ის, რაც ნაფიქრალს გაგიმართლებდა.

ნეტა გავლვივდე ხნულში ისე, რომ  
არ მაშინებდეს ბნელით შებურვა,  
და ზედ ნატვრის ხე აღმოგიცენო,  
ამ მიწას შენთვის მიბარებულმა.

## ჩანჩხერის ჟრენა

### ავთო ქარდავას

ბარჯაშის წყალთან ჩერდება ავტო,  
კვლავ ჩემი კუთხის მშვენებით ვტკბები...  
ამ ციცქა ჩანჩქერს შეხედე, ავთო,  
ისეა, თითქოს შეუსხამს ფრთები.

თავისუფლების ხალისი ახლავს,  
წყალს გადასხმია სინათლის წყალი;  
დაბლა წყალსაცავს გახედე ახლა,-  
თითქოს არც იძვრის ენგური მცხრალი,

რომელსაც ღელვით ხუბერიც სჯობნის,  
ბარჯაშზე უფრო პატარა ღელე,  
წევს არამხუტუ დიდ მთათა შორის  
და ფსკერში მალავს მოწყვეტილ ხელებს.

აქ კვალიც არ ჩანს კვეთების, შეხლის,  
ტინებთან ომის, ზათქის და გრგვინვის,  
აქ მორჩილების დუმილი გერთვის  
და ურუანტელიც იმიტომ გივლის,

რომ მიჯაჭვულა დევგმირი კლდეზე,  
წართმეული აქვს ჟინი და ლხენა  
და შენ ნუგეშის საცემად გექებს  
ერთი პატარა ჩანჩქერის ფრენა.

## წყლიდან ამოსვლა

დღეს უპასუხო კითხვა გახშირდა,  
გაოცებულა საძმო-სამოყვრო:  
კაცმა ჩაყვინთა სუფთა წყალში და  
თავი ტალახში როგორ ამოყო?

წარსულმა ბევრი მოგვცა სახვნეშად,  
უკეთესობა არც დღეს იგრძნობა;  
თურმე ხმელეთზეც არის წყალქვეშა  
დინებები და გვმართებს ფხიზლობა.

ვერასდროს ვნახავთ შვებას შვებაში,  
თუ ვერ ვიპოვით ბნელში სინათლეთ;  
არ გავანბილოთ ჩვენი ემბაზი,  
სადაც ჩავყვინთეთ და მოვინათლეთ.

ვინაც იმ ნათლის ცხებით იარა, –  
გაინაწილა უფლის სავალი,  
რადგანაც წყალში შესვლა კი არა,  
წყლიდან ამოსვლა არის მთავარი.

დღეს კი ასეთი კითხვა გახშირდა  
და პასუხს ეძებს საძმო-სამოყვრო:  
კაცმა ჩაყვინთა სუფთა წყალში და  
თავი ტალახში როგორ ამოყო?

## მურმან ზაქარაია

### „ენგურის ხიდი“ – მეტაფორა დიდი პატასტროფისა

ჩვენი უურნალის წინა ნომერი (№3(8), აგვისტო, 2017 წ.) მიეძღვნა ბატონი ჯემალ შონიას 70 წლის იუბილეს. როგორც დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ნარმომადგენელთა მისალოც წერილში იყო ნათქვამი, „ეს პატივსაცემი თარიღი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იუბილარისთვის... არამედ, ჩვენთვის, ჯემალ შონიას მეგობრებისთვის და... საქართველოსთვის“ (ხაზი, – მ.ზ.). ეს გადაუჭარბებელი ნათქვამი რომ იყო, ამის დადასტურებამ არ დააყოვნა და დღევანდელ ნომერში ჩვენ საშუალება გვეძლევა, მას, ცნობილ პოეტს, პოლიტიკურ და საზოგადო მღვანეს – ჩვენი უურნალის შემოქმედებითი ჯგუფისა და წინა საიუბილეო ნომერში გამოქვეყნებულ მილოცვათა ავტორების სახელით მივულოცოთ მისი მშობლიური აფხაზეთის უმაღლესი სალიტერატურო და სამეცნიერო-სახელოვნებო ჯილდო: გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია პოეზიის დარგში და ვუსურვოთ სულ ახალ-ახალი წარმატებები დიდი შემოქმედების გზაზე.

მაგრამ, რაღა მომავალში, პოეტმა ამ საიუბილეო დღეებში, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, მისი იუბილესადმი მიძღვნილ პოეზიის გვერდში, შემოთავაზებული ახალი ლექსებით კიდევ ერთხელ გაახარა პოეზიის მოყვარული მკითხველი. ამ მშვენიერი პოეტური შემოქმედებიდან ჩვენი უურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ერთ-ერთს: „ოთხთვალა ენგურის ხიდზე“, რომელშიც სრულიად ახლებური რაკურსით, პოეტური შემოქმედების ფილოსოფიის თვალსაწირიდან არის ასახული ჩვენი სამშობლოს თავს დამტყდარი ისტორიული უბედურების შედეგი როგორც ანმყოში, ასევე მისი მომავლისთვის.

ნათქვამია, ისტორია გვაძლევს საშუალებას, შევძლოთ ღვთის შემოქმედების ნახვა მოქმედებაში (მოძრაობაში). ალბათ ამ შემოქმედებით ენერგიას უწოდეს დიალექტიკოსებმა ისტორიული კანონზომიერება, რომელიც დროთა განმავლობაში ყველაფერს თავის რეალურ ადგილს მიუჩენს. ამ გავებით, დრო მკურნალად კი არა, მსაჯულად მოგველინება ხოლმე და შემოქმედების პროცესში ღვთის ნებით ყოველი დაფარული უნდა გამჟღავნდეს.

ლექსში სწორედ ასეთი კანონზომიერების კონტექსტში არის წარმოჩენილი იმ უდიდესი კატასტროფის შედეგი, რომელიც თავს დაატეხეს ქვეყანას პროსაბჭოურმა სეპარატისტულმა დაჯუფებებმა და კრიმინალურ-ნომენკლატურულმა ხროვამ, კოლაბორაციონალისტი ინტელიგენციის მხარდაჭერით. დამკვეთი, რა თქმა უნდა, კრემლი იყო. მათვე ის სრულიად შეგნებულად მოაქციეს პროკრუსტეს სარეცელში და „აფხაზეთის ტრაგედიად“ მონათლეს, რათა ამ ევროპული დონის გენოციდის მასშტაბები შეზღუდულად და შიდა, ოდენ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად წარმოედგინათ გარე სამყაროსთვის, როგორც ამას კარნახობდა რუსეთი. ამ ეროვნული კატასტროფისადმი ასეთი მიდგომა ხელს აძლევდათ პუტჩისტ-შევარდნაძისტებს, რათა მიეჩქმალათ ჩვენს ისტორიაში აღნუსხულ დალატთა (ლ. სანიკიძე) შორის ეს ყველაზე არატიპური და საზიზღარი გამცემლობა. ამ უდიდესი ტრაგედიის მიზეზშედეგობრივი ასპექტის პოეტური ხერხებით ასახვას ახდენს ავტორი. პოეტი, გარკვეულ მოვლენათა და საგანთა გამოყენებით, შემეცნებითად აფორმირებს მშბლიური ენგურის სანახებიდან დანახულ და განცდილ საზარელ რეალობას, მშობლიურ კერებს მოწყვეტილი ხალხის ცხოვრებისეულ ყოველდღიურობას, რომელთაც საკუთარ სამშობლოშივე გულ-ცივად „ლტოლვილის“ სახელი დაუმკვიდრეს; იგი დასრულებულ სახეს აძლევს ამ უდიდესი ტრაგედიის შედეგს არა მარტო აწმუნოსთვის, არამედ სახავს მომავლის პერსპექტივასაც.

\*\*\*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ენგურის ხიდის“ მეტაფორა ოდენ კონკრეტულ ლექსში გამოყენებული სიმბოლური სახე არაა; ის არ იფარგლება პოეტის მიერ დანახული ერთი კონკრეტული მოვლენის მხატვრული განზოგადებით, არამედ მისი ეს სიმბოლური სახე მთელ რიგ მოვლენათა შინაარსს სიღრმისეულად განგვაცდევინებს და ყალიბდება სრულფასოვან ლიტერატურულ თემად, რომელშიც ასახულია არა მარტო ჩვენს თავს დამტყდარი უბედურების სახე (თემა), არამედ ასევე, როგორც ერთიანობის იდეა, თავისუფლებისათვის ბრძოლის

### აუცილებლობის მიზანდასახული სიმბოლო.

მასში, როგორც ლიტერატურულ თემაში, შემოქმედებითად გვეძლევა გარდასულ ფაქტთა ზემოქმედებით დამდგარი შედეგები. ამ მხატვრული გააზრებით ხდება ადამიანის ირგვლივ სამყაროს შემჭიდროება და იქმნება ახალი ესთეტიკური რეალობა, რომელიც არაა ინდიფერენტული ისტორიული შედეგების შემეცნებითი აღქმის მიმართ. ეს მაღალი მხატვრული შემეცნებითი აქტი არ ეტევა რეალობის ესთეტიკური გააზრების ფარგლებში, არამედ წარმოაჩენს ისტორიულად განხორციელებულ ქმედებათა რეალობას, ზნეობრივ სახეს მთელი მოვლენისას. შესაბამისად, ეს მიზეზ-შედეგობრივი ასპექტი აჩენს პრინციპულ დამოკიდებულებას „მესა“ და „სხვას“ შორის. ამ შემთხვევაში რეალურ მოვლენათა და პოეტისეული მხატვრულ-ესთეტიკური წარმოსახვის ურთიერთმიმართება „სხვათა“ ქმედების გავლენით დამდგარ შედეგს შორის სრულ შესაბამისობაში გვეძლევა.

სწორედ ასეთ კონტექსტშია გასააზრებელი თანამედროვე – დამოუკიდებელი საქართველოს – მნერლობის პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ლაშა გვასალიას დიდი ექსპრესიულობითა და მეტაფიზიკური ემოციურობით დამუხტული ლექსი – „აღსარება ენგურის ხიდთან“, რომელიც წარმოადგენს მიძღვნას იმ „დიდი ტრაგედიდან“ გამომდინარე სხვა მრავალი კონკრეტული ტრაგიკული გამოვლინებისადმი, რომელთაც თითქმის ყოველდღიურად შეხვდებით ენგურის ხიდის ორივე მხარეს. მკითხველს აქვე ვთავაზობთ ორივე ამ ლექსს:

### ოთხთვალა ენგურის ხიდზე

ენგურის ხიდზე დადის ოთხთვალა – ხიდის თავიდან ხიდის თავამდე...  
ეს სხვა ცხენია... წინა – მომკვდარა...  
ესეც ამ ხიდზე უნდა დავარდეს.  
ეს სხვა წელია... წინა – გასულა,  
თან – მეოთხედი საუკუნეცა...  
მოკლე სავალს კი არ აქვს სასრული  
და დრომ მტკაველიც ვერ შეუკვეცა.  
ენგურის ხიდზე დადის ოთხთვალა,  
ხიდის ბოლოდან ხიდის ბოლომდე...  
რა ტვირთიც ზიდა, ვინ გამოთვალა,  
მორჩილად ითმენს ჟამთა მოროდებს.  
დაპყვება წინ და უკან იმედი,  
ვით გამობმული ბანრით ფაშატი...  
აი ნუგეში მგზავრის, მცირედი,

დევნილთა ნატვრა, ხიდზე ნაზარდი,  
რომ ცხენის მოდგმა არ ამომწყდარა  
და ხვალაც ამ სვეს უნდა ელოდე...  
ენგურის ხიდზე დადის ოთხთვალა –  
საქართველოდან საქართველომდე.  
დადის წრეზე და წრეა შეკრული,  
გზა შეკრული იქით-აქეთა;  
მიედინება ხიდქვეშ ენგური  
და მიაქვს ეს დღეც ნაფლეთ-ნაფლეთად.  
უსვამს ნაღველი და გამომთვრალა  
მდინარეც, უჭირს ძალის მოკრება...  
ენგურის ხიდზე დადის ოთხთვალა  
და ის ფაშატიც ხიდზე მოკვდება...

### აღსარება ენგურის ხიდთან

#### მურმან ზაქარაიას

ინყება ყოფნა შორი მთვარიდან,  
გზები იოლად როგორ გავყარო,  
უნდა დავიწყო სუნთქვა თავიდან,  
რომ ბავმვის მზერით შევწვდე სამყაროს.  
გამოილია ცრემლიც თანდათან,  
ვაი, უჩვენო სასაფლაოებს,  
სივრცე ზეცამდე ვეღარ განათდა,  
სივრცე, რომელიც ასე გვაობლებს...  
რა ვქნა, ვერ ვაღწევ კვლავაც შენამდე,  
ბოროტებისგან დაჭრილ-ვნებული,  
უძალოობა, გვედრი, შემინდე,  
ვერ მოვალ ესე დამარცხებული.

24.08.2017 წელი

თამამად შეიძლება ითქვას, თუნდაც ამ ორი პოეტური ნიმუშიდანაც კარგად ჩანს, რომ ცნება „ენგურის ხიდი“ ჩამოყალიბდა არა მარტო სიმბოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ რუსული იმპერიალიზმის მრავალსახოვანი დაუნდობელი აგრესის შედეგის ასახვის – თვალსაჩინოდ აღქმისა და გაცნობიერებისა, არამედ ის კულტურულ-შემოქმედებით პროცესში გაფორმდა დამოუკიდებელ მხატვრულ თემაზ თავისი იღეითა და მიზანდასახულობით, რომელშიც, თუ პერმან პესეს გოეთესადმი მიძღვნილ წერილში გამოთქმული მოსაზრების პერიფრაზით ვისარგებლებთ, თუ მოსყიდულები ან ომით მთვრალები არ ვართ, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაგვეცნობიერებინა ჩვენი საკუთარი პასუხისმგებლობაც ამ უდიდეს კატასტროფაში. ასეც მოხდა და მოაზროვნეთა თუნდაც მცირე ნაწილმა მთელი სისრულით გაიაზრა ამ დიდი ტრაგედიის არსი. ის გონის-მიერი და ზნებრივი პრობლემა, რომელიც

თან ახლდა ამ კატასტროფულ პროცესებს, აისახა ამ ლექსებშიც, რომ „გონება, რომელიც გვეძლევა პრაქტიკული უნარის სახით“ (კანტი), მუდმივ ოპოზიციაში უნდა იყოს ოფიციალურ ძალმომრეობასთან, რომლისთვისაც „მამულის სახელით ნათქვამი სიცრუუ ნებადართული და საქებარი გამხდარა“ (პესე). წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი ირყვნება ამ „ნებადართული სიცრუით“, გადაგვარება გარდაუვალი ხდება და გადარჩენა შინაგანი ლირსების აღდგენაშია. ამას ეძღვნება ეს ორი მშვენიერი ლექსი, რომლებიც თავიანთი მიზანდასახულობით იძლევიან „ენგურის ხიდის“ მხატვრულ-შემოქმედებით აღქმას.

\*\*\*

ეს ინტელექტუალური გააზრება ეგზისტენციალური ყოფისა შემოქმედებითად გარდასახვის პროცესში აყალიბებს კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ველს, რომელიც თავის თავში ახდენს აკუმულირებას ხანგრძლივი ისტორიული პროცესების უმთავრესი მიზეზ-შედეგობრივი ასპექტებისას, რომლებიც გამოიწრობა რა „ხალხის გონების“ ქურაში, წარმოჩინდება ამ მოვლენათა მაკრისტალიზებელ ცნებად. ამ გაგებით, ენგურის ხიდის მიღამოები იქცა იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ ადგილად, სადაც მთელი მეოთხედი საუკუნეა მიმდინარეობს ამ, ასე ვთქვათ, თეორიულ გააზრებათა ხორცშესხმა. ის არა მარტო შიდა ეროვნული თვალთახედვით იქცა იმ შეუცვლელ გეოგრაფიულ არედ, სადაც დევნილთა თვალთაგან ნადენი ცრემლები ენგურს ნაკადულებად უერთდება (თუნდაც წესისამებრ დაუტირებელ სისხლ-ხორცთა მიმართ), არამედ აქეთკენაა ფოკუსირებული სამყაროსეული გულწრფელი თუ ნახევრად გულწრფელი ხედვა, ხშირ შემთხვევაში, სრულიად ამაზრზენი, თვალთმაქცური ხრიკებით გაპოხიერებული დიპლომატიური ქმედებები.

ამდენად, „ენგურის ხიდის ყოველდღიურობაში“ მთელი სისრულით მუდავნდება ამ უდიდესი კატასტროფის არსი, რომ ის არა მარტო ქართველი და აფხაზი ხალხების, არამედ მთელი იბერიულ-კავკასიური მოდგმის, მთელი სამყაროს ტრაგედიაცა.

სწორედ ასე, ზოგადადამიანური თვალთახედვიდანაა გააზრებული ამ ლექსებში ცნება – „ენგურის ხიდი“. თუ ჯემალ შონიასთან ის გაცნობიერებულია დიალექტიკურ-ფილოსოფიური ხაზით და ავტორი ცდილობს, შინაგანი ფერის-ცვალებისთვის შეამზადოს უსამართლობითა

და ძალადობით ცრემლდადენილი თანამოძმეუბი, რათა გაირღვეს „გზა შეკრული იქით-აქეთა“ და „მოკლე სავალი“ შეუერთდეს იმ გზებს, რომლებითაც დახლართულია მთელი ქვეყნიერება, იმ გზებს, „დასასრულთან ისევ რომ იწყება“, ლაშა გვასალიასთან ეს მეტაფორა გვეძლევა მეტაფიზიკურ საზრისმომცველობით ასპექტში – ცადალვლენილ ლოცვად შორიდან დატირებულ თუ სულაც ვერდატირებულ მიცვალებულთა თუ მათ ცრემლშეუმშრალ ჭირისუფალთა მიმართ, რომლებიც ენგურის ხიდის „ამ თავიდან იმ თავამდე – საქართველოდან საქართველომდე“ შესტირიან ერთურთს; მაგრამ, ვაი, რომ „გამოილია ცრემლიც თანდათან“ და მეკავშირედ და იმედად ხიდის თავიდან ხიდის თავამდე მავალი ოთხთვალა შერჩენიათ ოდენ.

ეს ოთხთვალა ჩვენს (არა მარტო დევნილთა) დღევანდელობასთან, ტკივილებთან და იმედებთან არის დაკავშირებული. ის ყოველ-დღიურ მოძრაობაშია, მას მოსვენება არა აქვს, მისი შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მუდმივად ერთ შეკრულ წრეში მოძრაობს: „დადის წრეზე და წრეა შეკრული, გზა შეკრული იქით-აქეთა“. მისი ოთხი თვალი წელინადის ოთხი დროა, კვეყნის ოთხი მხარეა, გნებავთ, ოთხი სტიქიათ, მაგრამ ვერც დროის მდინარება, ვერც მხარეთა თვალსაწიერი, ვერც სტიქიათა ძალა ვერ არღვევს ამ წრეს, ვერ სცდება ხიდის თავს თუ ბოლოს, ანუ წარსულიდან მომავლისაკენ ვერ მიღის, დახშული აქვს გზა ახალი რეალობისაკენ, რასაც ნატვრის ახდენა, იმედის გამართლება ჰქვია.

ეს იმედი ჩვენი ტკივილების, ცხოვრებისეული ტვირთის მზიდველი ოთხთვალას მამოძრავებელი იმ თვინიერი პირუტყვივითაა, რომელმაც კვიცობიდან ბეხრეკობამდე ამ ხიდზე წინ და უკან უნდა იაროს და ხიდზევე უნდა დაეცეს... დიახ, იმედი კვდება, მაგრამ იქვე ჩნდება ახალი კვიცი, რომელსაც თავისი წინაპრის ხვედრი ელოდება... ერთი სიტყვით, იმედი კვდება, ისევ ცოცხლდება, ისევ კვდება, რათა ისევ გაცოცხლდეს, ანუ მუდმივად არსებობს და მხოლოდ სიკედილ-სიცოცხლის განგებისმიერ ციკლს ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხიდზე მამების მერე შვილები ივლიან, შვილების მერე – მათი შვილები და ა.შ. სანამდის უნდა გაგრძელდეს ასე? – უკვე მეოთხედი საუკუნე გასულა და დროის ამ მონაკვეთის შეხსენებით ჩვენს ცნობიერებაში ამოტივტივდება საუკუნის დანარჩენი სამი მეოთხედი შფოთიანი კითხვით: ავის თუ სიკეთის მომასწავებელი იქნება ჩვენი ხვა-

ლინდელი დღე? მაშასადამე, ავტორისეული ამ დიალექტიკური გააზრების თვალსაწირი-დან დანახული „ენგურის ხიდის“ მეტაფორა ამ ჩაკეტილი წრიდან ქცეული პატარა გზით და მასზე მავალი ოთხვალათი, სადაც სიზიფეს შრომაში ჩაბმულან პირუტყვნი თუ მეტყველნი და ფაშატებთან ერთად ნაზარდი დევნილთა იმედიც კიაფობს, მკითხველში ბადებს კითხვას, იქნება კი ეს იმედი ხვალინდელი ნათელი დღის ნიშატი? თითქოს პასუხი არც ჩანს. თუმც იქნებ იმედის ახდენის ნიშანი ხიდქვეშ მიმდინარე ენგურში იყოს, რომელსაც უსვამს და დამთვრალა აქ დასადგურებული უსამნო ნაფლელით და ნაფლეთ-ნაფლეთებად მიაქს ტანჯული დღეები. მაგრამ, ვაი რომ მასაც ვერ გაუძლია ამ ბოროტებისთვის და გამოსცლია ძალა უკეთურობისაგან. ამიტომ, პოეტის ნაწინასწარმეტყველევი, რომ „და ის ფაშატიც ხიდზე მოკვდება“... წერტილს ხომ არ დაუსვამს ამ იმედსაც?!

მაგრამ იმ უდიდეს პესიმისტურ განწყობას, რომელშიც თითქოსდა უნდა ჩავარდეს მკითხველი, სრულიად უწყინარი პოეტური ხერხით აქარვებს ავტორი. იმედი, იმ ფაშატთან ერთად რომ იზრდება, მასთან ერთად კი არ ეცემა, არამედ პოეტის მიერ დასმული უსასრულობის ნიშნის სამწერტილში აგრძელებს არსებობას, ის ამ ბოროტი ძალების მიერ ჩაკეტილი წრის აუცილებლად განყვეტის სიმბოლოდ გვესახება.

ამდენად, ლექსში მაინც ჩანს ნუგეში თუნდაც იმედის ზემოთ მოცემული განახლებით, თუნდაც იმ მრავალნერტილით, ლექსის ბოლოს რომ დაუსვამს ავტორს და სასურველ მომავალზე ფიქრის გაგრძელების საშუალებას გვაძლევს.

ლირსეული მომავლისა და გამარჯვების მოპოვების იმედს გვისახავს ლაშა გვასალიას „აღსარება“, თქმული ენგურის ხიდთან. ის თავისი ღრმა მეტაფორული აზროვნებით სრულად სწვდება პოეზის მეტაფიზიკურ სულს და ახდენს პიროვნულ განცდებთან მის პარმონიზებას იმ დონეზე, რომ რეალურსა და ირეალურს შორის ღრმა კანიონი კი არ განოლილა, არამედ ისინი ერთ მთლიან ეგზისტენციალურ რაობას ქმნიან. აქ მოყვასის სიკეთილით გამონვეული სულდა დამძიმებულია მისი ვერდატირებით, მასთან ადათ-წესებისამებრ განმორების შეუძლებლობით... მაინც არაა უფსკრულის პირას მყოფობისა და იქ სამარადისოდ ჩანთქმის შიში უსასობის განცდით გაჯერებული. ეს უფრო მეტაფიზიკური, ძლიერი სულის ადამიანთა ძახილია, რომლებიც ვერ დააშინეს, ვერ გატეხეს


სუსხიანი და ვერაგული პოლიტიკური ინტრიგებითა და ძალადობით.

ლექსში პოეტურ-მეტაფიზიკური აზროვნების სილრმისეული გამოვლინებით ზეციდან მომდინარე სულიერისა და მიწიერ-ყოფიერის მთლიანობა გვეძლევა. „იწყება ყოფნა შორი მთვარიდან“ – ეს ორერთიანი გზაა, რომელთა იოლად გაყრა შეუძლებელია: „გზები იოლად როგორც გავყარო?“ მაგრამ, როცა ამ სუსხიანი პოლიტიკითა და ვერაგობით თვალსაწირიდან განიდევნება ზეცით მონაბერი სულიერება და ყალბი ზეცით მონაბერი ინერგება, იწყება ბოროტების აღლუმი, იკარგება ნამდვილი ლირებულებებისკენ მიმავალი გზაც, მაგრამ პოეტისთვის არც ესაა დასასრულის დასაწყისი. ის ცადიმიტომ აღავლენს ლოცვას, რომ წერტილი დაესვას ამ ბოროტისეულ სუნთქვაშეკრულობას ტანჯული ხალხისას, ამიტომ იტყვის: „უნდა დავიწყო სუნთქვა თავიდან“-ო, რათა ბოლო მოეღლოს ეშმაკთა ორგიას. ადამიანთა გაუხეშებული და დაჩილუნგებული გონძჭვრეტელობა რომ განახლდეს, ამისთვის აუცილებელია სულიერი განწმენდა და „რომ ბავშვის მზერით შევსწვდე სამყაროს“. ამიტომ უნდა მოხდეს ამ დღევანდელობის განცდის საზღვრების გარღვევა, იმ სივრცეების ვნებულთა განათება, რათა მიღწეულ იქნეს კეთილის ბოროტზე გამარჯვება. ეს კი ლირსების საქმეა. ლირსებაში აისახება ადამიანის ცხოვრების არსი, მისი ყოფნა-არყოფნის მიზანდასახულობა, ის ბადებს კაცა, რომლისთვისაც „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკედილი სახელოვანი“, ე. ი. შელახული ლირსებით ცხოვრებას სჯობს მისთვის ლირსეულად მოკვდე, ამიტომაც ამ დროებითი უძალობით კი არ ითრგუნება, არამედ იტყვის, „ვერ მოვალ ესე დამარცხებული!“-ო... და აქაც სამწერტილი! ამ შემთხვევაში უსასრულობის ნიშანი უფრო კონკრეტიზებულია. დამარცხებული ვერ მოდის, მაშასადამე, ბრძოლა გრძელდება გამარჯვებამდე... მოსვლით კი აუცილებლად მოვა უჩვენოდ დარჩენილი სასაფლაოსთან.

ამდენად, ამ ორი ლექსის მეტაფიზიკური და ფილოსოფიური მსოფლგანცდებიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში გვეძლევა ჯერ კიდევ რუსთაველიდან მომდინარე „ქართული სტილის გრძნობა“ (გ. ქიქოძე) პოეზიისა, რომ ის სიბრძნე გახლავთ და ხელოვნება. ეს ლექსები აფორმირებენ დასრულებულ სახეს იმ უდიდესი ტრაგედიისას და აყალიბებენ მას განსაკუთრებულ ლიტერატურულ თემად.

## ზაურ ქობალია

### ზაურ ქობალია



## დაბალია დაბალებაში

ახლახან გამომცემლობა „უნივერსალში“ დაიბეჭდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ცნობილი დისიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარის ზაურ ქობალიას წიგნი „დაბრუნება დაბადებაში“.

წიგნის ანოტაციაში კითხულობთ: „ქართველ მკითხველს შესაძლებლობა ეძღვა წაიკითხოს და გაეცნოს უაღრესად საინტერესო და მრავალ-მხრივი შემოქმედის, ორჯერ რეპრესირებული მწერლისა და ეროვნული მოღვაწის ზაურ ქობალიას პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, ხეზე კვეთის ნიმუშებს...“

წიგნი დაიბეჭდა ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის დეკანოზის ფრიდონ ასათიანის ლოცვა-კურთხევითა და ზაურ ქობალიას ვაჟიშვილის დავით ქობალიას ფინანსური თანადგომით.

ჩვენს უურნალში გთავაზობთ წიგნის რედაქტორ-შემდგენლის ედემ კვირტიას წინასიტყვაობას, ავტორის მოთხოვნასა და ნაწყვეტებს მისი „დღიურებიდან“.

### სტუმარი გასული საუკუნიდან

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ვინც მოწმე და მონაწილეა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა, ზაურ ქობალიას იცნობს როგორც ეროვნულ-პოლიტიკურ მოღვაწეს, მაგრამ არ იცნობს როგორც მწერალ-შემოქმედს. მიუხედავად იმისა, რომ რჩეულში შესული ყველა ნაწარმოები გასულ საუკუნეში დაიწერა, იმდროინდელ ვერც ერთ უურნალგაზეთსა თუ ბიბლიოთეკაში ვერ აღმოაჩენთ ზაურ ქობალიას ლექსა თუ მოთხოვნას.

ყოველივე ამაში ზაურ ქობალიას არ მიუძღვის ბრალი, უფრო სწორად, მისი „ბრალია“ ის, რომ იგი ყოფილი პოლიტპატიმარი გახლდათ. ასეთი ავტორის (ავტორთა) დაბეჭდვა კი საბჭოთა სინამდვილეში აკრძალული იყო.

1960-1961 წლებში, ზუგდიდში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა ორი იატაკებება ორგანიზაცია: საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალ-

გაზრდული ორგანიზაცია და ამიერკავკასიის ერთა გათავისუფლების ორგანიზაცია — აკეგო. აკეგო-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო ზუგდიდის ლიტერატურული წრის წევრი ზაურ ქობალია. არალეგალურ ორგანიზაციათა წევრები თბილისა და საქართველოს სხვა ქალაქებში ავრცელებდნენ ნაბეჭდ პროკლამაციებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

1963 წლის აპრილში ზაურ ქობალია აკეგო-ს აქტიურ წევრებთან ერთად (13 წევრი, მათ შორის ერთი ქალი) დააპატიმრეს და გაასამართლეს. ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამონარიდი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ ზაურ ქობალიას (და სხვათა) მიმართ 1963 წლის 26 აგვისტოს გამოტანილი განაჩენიდან:

„... ზ. დ. ქობალია არაერთგზის ანტისაბჭოთა მსჯელობის შედეგად, საბჭოთა

მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, 1961 წელს დაადგა ანტისაბჭოთა საქმიანობის გზას, შექმნა ზუგდიდის არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფი, მიზნად ისახავდა სკუპ და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა ნინააღმდეგ ბრძოლას, სურდა საქართველოს გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან...

ზაურ დავითის ძე ქობალია ცნობილი იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს ხუთი (5) წლით თავისუფლების აღკვეთა, მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.“

ზ. ქობალია სასჯელის მოსახდელად ციმბირში გაგზავნეს. ბანაკის ადმინისტრაციის მხრიდან მკაცრი ზედამხედველობის მიუხედავად, მას არ შეუწყვეტია ლიტერატურულ-შემოქმედებითი და დისიდენტური საქმიანობა. აქ გაიცნო და დაუმეგობრდა ინგუშისა ქაძოევს, ჩეჩენ ალი ხაშაგულგოვს, ლატვიელ კრუტს სკუენიევს, ვიქტორ კალნიშს, უკრაინელ დიმიტრი მელნიჩუკს, მიხაილ გორინს, ლევკო ლუკიანენკოს, ვალენტინ მოროზს.

ურთიერთობდა და საინტერესო დისკუსიები ჰქონდა პატიმრობაში მყოფ რუს დისიდენტებთან: სინიავსკთან, რაფალოვიჩთან, დანიელთან... წერდა ლექსებს, მოთხოვბებს, ხატავდა, დღიურების სახით აკეთებდა ჩანაწერებს ბანაკური ცხოვრებიდან.

სამწუხაოდ, 5-წლიანი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი არათუ მკითხველთათვის, არამედ, თვით ავტორისთვისაც დაკარგული აღმოჩნდა. გათავისუფლებისას მას ჩამოართვეს ყველა ხელნაწერი და ნახატი, მათ შორის დღიურები. რომელთა გახსენება და აღდგენა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, შეუძლებელი გახდა.

სასჯელის მოხდის შემდეგ ზაურ ქობალია ზუგდიდში ბრუნდება. 1969 წელს სცადა უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩააბარა კიდევ მისაღები გამოცდები, მაგრამ გასაგები მიზეზით, ჩარიცხულთა სიაში ვერ მოხვდა.

70-იან წლებში ზაურ ქობალია განაგრძობს ლიტერატურულ საქმიანობას. წერს ლექსების ციკლს „ფერწერული აღბომი“, მოთხოვბებს: „საქანელა X“, „P.S“ ...

ხელმძღვანელობს ზუგდიდის ლიტერატურული გაერთიანების პროზისა და კრიტიკის განყოფილებას. მიმოიხილავს გაერთიანების წევრთა და ცნობილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. დროდადრო, ადგილობრივ თუ მრავალტირაჟიან გაზეთებში, ლიტერატურული გაერთიანების თვითგამოცემით უურნალ „ნოთები“, „გააპარებს“ რამდენიმე ლექსისა და მოთხოვბას. ეს არის და ეს. რესპუბლიკური უურნალ-გაზეთების რედაქციათა და გამომცემლობათა კარები მისთვის დაკეტილია. იმავდროულად, სუკმა თავისი აგენტები შეაპარა ლიტერატურულ გაერთიანებაში. ქალაქების აგიტაცია-პროპაგანდისა და კულტურის განყოფილებებს, საქალაქო გაზეთის რედაქციას დაევალა თავიანთი წარმომადგენლები დაასწორო და აკონტროლონ ლიტგაერთიანების მუშაობა. ყოველი ახალი ლექსის წაკითხვისას ზაურ ქობალიას უკიშინებენ უიდეობას, ანტისაბჭოურობას...

ამ პერიოდში იწყება ზაურ ქობალიას პირადი ნაცნობობა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან. ზუგდიდში გასავრცელებლად ჩამოაქვს მათ მიერ არალეგალურად გამოცემული უურნალები „საქართველოს მოამბე“, „ოქროს საწმისი...“

ცდილობს ააღორძინოს აკეგო-ს მუშაობა – ამჯერად, კავკასიის ერთა კავშირის (კეკ) სახელით. გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში, ხვდება ინგუშეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს ისა ქაძოევს, ჩეჩენ ალი ხაშაგულგოვს. ჩამოდის თბილისში, რათა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან შეათანხმოს სამოქმედო პროგრამა, მაგრამ ორივე დაპატიმრებული დახვდა.

80-იან წლებში ზაურ ქობალია კვლავ აქტიურად ებმება ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. 1990 წლის 28 ოქტომბერს ირჩევენ ზუგდიდის მაულირიტარ დეპუტატად. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო ისტორიული დოკუმენტი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამ აქტს ზვიად გამსახურდიასა და უზენაესი საბჭოს სხვა დეპუტატებთან ერთად ხელს აწერს ზაურ ქობალია. აი, როგორ იხსენებს იგი ერთ-ერთ ინტერვიუში ამ ისტორიულ მოვლენას:

„... როცა ამ დოკუმენტს ხელს ვაწერდი, ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი წუთისოფელში ჩემი მოსვლის აზრი და მიზანი!..“

ზაურ ქობალიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: რაზეც ოცნებობდა, იბრძოდა, იღვნოდა სამი ათეული წლის მანძილზე, მიღწეულია — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილია. ახლა შეუძლია მეტი დრო დაუთმოს ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას: დაასრულოს დაწყებული ციკლი ლექსებისა, დაიწყოს ჩაფიქრებული რომანის წერა, იყითხოს, თვალ-ყური მიადევნოს ლიტერატურულ პროცესებს.

ხანმოკლე აღმოჩნდა ზაურ ქობალიას სიხარული.

1991 წლის შემოდგომაზე გარეშე მტერთა მიერ წაქეზებულმა ოპოზიციამ ბარიკადები აღმართა რუსთაველის პროსპექტზე და პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვა. 22 დეკემბერს შეიარაღებული ოპოზიცია ღია სამხედრო დაპირისპირებაზე გადავიდა. მათ ქაშუეთის ეკლესიაშიც კი შეიტანეს ზარბაზნები, ჭურვები დაუშინეს მთავრობის სასახლეს და სისხლიანი შობა-ახალი წელი გაუთენეს საქართველოს. დამხობილ იქნა კანონიერი ეროვნული ხელისუფლება.

ეს იყო (და არის) საქართველოს ისტორიის ყველაზე უფრო ტრაგიკული და ამავდროულად, სამარცხვინო ფურცელი. პუტინისტებმა არა მარტო პრეზიდენტი განდევნეს, არამედ დაითხოვეს პირველი მრავალპარტიული არჩევნებით არჩეული უზენაესი საბჭო, გააუქმეს გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია, რასაც სავალალო და დღემდე გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვა.

დეკემბერ-იანვრის სისხლიანი პუტინი იმითაც იყო (და არის) „გამორჩეული“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარ პუტინთაგან, რომ მის იდეოლოგიურად შემზადებასა და განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის მწერლები, რომლებსაც ზაურ ქობალია დიდად აფასებდა და უყვარდა.

1992 წლის მარტში პუტინისტებს მოს-

კოვიდან ჩამოჰყავთ სამხედრო კრიმინალური გადატრიალების ორგანიზატორი და განმახორციელებელი ედუარდ შევარდნაძე. მის ჩამოსვლას ტაშით ხვდებიან მხედრიონელები, ოპოზიციურ პარტიათა თუ ყოფილი საბჭოთა-პარტიული ნომენკლატურის, ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის, ანუ პრივილიგენციის წარმომადგენლები. ე. შევარდნაძე მადლობას უხდის მათ იარაღის ხელში აღებისა და „სახალხო დემოკრატიული რევოლუციის“ გამარჯვებაში შეტანილი წვლილისათვის.

ზაურ ქობალია ამ დროს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის ერთერთი ხელმძღვანელია და ყველა შესაძლო პოლიტიკური მეთოდებით იბრძვის კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის.

რუსეთის არმიის, სახელდობრ, ადმირალ ბალტინის სამხედრო ნაწილების დახმარებით კანონიერი ხელისუფლების აღდგენის პროცესის ჩამოსვლის, ზვიად გამსახურდიას მუხანათური მკვლელობის შემდეგ საქართველოს დამარცხებით გამარჯვებულმა შევარდნაძემ და მისმა სამართალდამცავებმა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა და მხარდამჭერთა დაპატიმრებები განაახლა. 1994 წლის იანვარში დააპატიმრეს ზაურ ქობალიაც.

მოღალატე ხელისუფლების ე.წ. უზენაესმა სასამართლომ ზაურ ქობალიას სამშობლოს ღალატის მუხლით 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა, როგორც 30 წლის წინანდელ განაჩენში, ამჯერადაც „სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.“

ზაურ ქობალიას მიმართ გამოტანილ 86-გვერდიან განაჩენში სხვა შეთითხნილ ბრალდებებთან ერთად არის ასეთი ბრალდებაც:

„სასამართლო კოლეგია ადარებს რა მისი პიროვნების მახასიათებელს, აღნიშნავს, რომ ზაურ ქობალია წარსულში გასამართლებული იყო განზრახ დანაშაულისათვის და სასჯელს იხდიდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. მან სათანადო დასკვნა არ გააკეთა და კვლავ

**ჩაიდინა მძიმე დანაშაული. ყოველივე ეს მისი პირვენების გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მიუთითებს.“**

როგორც ხედავთ, შევარდნაძისეულმა სა-სამართლომ ზაურ ქობალიას დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად ჩაუთვალა გა-სული საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართ-ველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის რომ იძრძოდა. ამჯერად, ზაურ ქობა-ლია „მშობლიურ“ საპატიმოროში — ავჭალის მკაფიო რეჟიმის ბანაკში „მიავლინეს“.

ავჭალის ბანაკში ყოფნის წლები (1994-2000 წ.წ.), როგორც თვითონ ხუმრობით ამ-ბობდა, „შემოქმედებითი მივლინება“ გახდა მისთვის. ამ პერიოდში დაინერა რჩეულში შესული ლექსების ციკლი „ნრიული კვად-რატები“, ვრცელი მოთხოვნა „ფერისცვა-ლება“, რომანი „სტუმარი...“

ზაურ ქობალიამ, ერთ-ერთმა პირველმა, განიხილა ჯემალ ქირიას პირველი რომანი „ესხირი“, ნოდარ წულეისქირის „თუთარჩე-ლა“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“; ინდიკო ქობალიას, ჯამბულ არქანიას, შახი ჯალალონიასა და სხვათა პოეზია (სამწუხ-აროდ, ჭ. ამირეჯიბის და ნ. წულეისქირის რომანების განხილვის ხელნაწერები ზ. ქო-ბალიას არქივში ვერ აღმოვაჩინეთ).

საჭიროდ მივიჩნიეთ წიგნში შეგვეტანა ზაურ ქობალიას მიერ წინასწარი პატიმ-რობის პერიოდში ჩაწერილი დღიურები.

ავჭალის ბანაკის ტერიტორიაზე ზაურ ქობალიამ სხვა პოლიტპატიმრებთან ერ-თად ააშენა ეკლესია. მანვე მოაჩუქროთმა ამ ეკლესის ფასადი. პატიმრობიდან გათა-ვისუფლების შემდეგ, იგი, მხატვარ პაატა ქოჩუასთან ერთად, თითქმის სამი წელი მუშ-აობდა ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობ-ლის სახელობის ეკლესიის (ზაურ ქობალია — საეკლესიო სახელი კვიპრიანე, ამ ეკლე-სის მრევლი გახლდათ) მთავარი შესასვლე-ლი კარის შექმნაზე, რომელიც ხელოვნების დიდებულ ნიმუშს წარმოადგენს.

ჩვენ არ შევუდგებით წიგნში შეტანილი პოეტური და პროზაული ნაწარმოებების მიმოხილვას. ეს უფრო ლიტერატურათმ-ცოდნების საქმეა. რაც შეეხება მკითხველს, დარწმუნებული ვართ, იგი თავად დაინახავს და აღმოაჩენს უაღრესად საინტერესო და

თვითმყოფად შემოქმედს. მოისმენს, თუ რო-გორ „სუნთქავს საათი“, უსათუოდ იგრძნობს პოეტის კოსმიურ სევდას და ტკივილს, როცა ნაიკითხავს სტრიქონებს:

„დღეს ამ საკანმა რაც განიცადა, ფერთა გლოვაა სევდა კი არა, ეს დედამიწა ბორბლად იქცა და ზედ სიყვარულზე გადაიარა“. („ყვითელი განაჩენი“)

„გზაზე მხოლოდ ტლაპოა, მხოლოდ წუმპე ჭაობი, ყველგან ცივი გვირაბი, ყველგან ღამე, სიბნელე, ამ კოსმიურ ქაოსში დავიღალე, დავობლდი, მტკივა უსაზღვრობაში, ღმერთო, ღმერთო მიშველე!“ („...სული ეხახუნება სადღაც შიშველ ქიმერებს...“)

„ეს დედამიწა ცოდვით სავსე მიჭირავს ხელში, მინდა მოგბანო სისხლიანი სახე ცბიერი, და ვაკაკუნებ, ვაკაკუნებ შენს სიცოცხლეში, რომ დაგიბრუნდეს შენი ფერი, შენი იერი“. („...ზეცაში ქვევრი, ქრისტეს სისხლი...“) ზაურ ქობალიას შემოქმედებაში გან-საუთრებული ადგილი უკავია რომანს „სტუმარი“. რომანის მთავარი გმირი – ამი-რანი ქართველი ერის ღვთიურ სტუმარს წარმოადგენს...

დარწმუნებული ვართ, XXI საუკუნის მკითხველისათვის უაღრესად საინტერესო და სასარგებლო იქნება XX საუკუნიდან მო-სული სტუმრის – ზაურ ქობალიას შემოქ-მედების გაცნობა.

ერთ-ერთ ლექსში ზაურ ქობალია წერს: „ო, რა ძნელია დაბრუნება დაბადებაში“. დაბადებაში დაბრუნება კი ახალი სიცოცხ-ლის დაწყებას ნიშნავს. ზ. ქობალიას ახალი სიცოცხლეც ამ რჩეულით იწყება.

\* \* \*

2012 წლის აგვისტოში ზ. ქობალიას ფილტ-ვის კიბოთი დაავადება აღმოუჩინეს. როცა გაიგო, განუკურნებელი სენი რომ სჭირდა და რამდენიმე თვის სიცოცხლე ჰქონდა დარ-ჩენილი, მოძღვართან ეზიარა. რვეულები და

ავტოკალმები იყიდა და ლექსების ციკლის „ბოლო წერე“ წერა დაიწყო:

„ახლა ვხედავ ბოლო წრეს,  
ნამდვილსა და მართლაც  
წრფელს“...

ვეკიდები ისევ ძველს,  
ძირგამომპალ სიცოცხლეს“...

ასე იწყება პირველი ლექსი, რომელიც ტკივილების გამო ვერ დაასრულა. ოდნავ უკეთესად რომ გახდა, მეორე დაიწყო:

„სად მიქრიხარ სოფლიდან  
ლურჯი იალქანებით,  
თვალს ვეღარ ვყოფ  
მორფიდან

მზეში მივექანები“...

კვლავ გაწყდა აზრი...

„შენთან ცრემლებს რომ ვეღარ  
ვიკავებ,  
როგორც კაცს, ახლა ნალდად  
მრცხვენია,

სევდას, ვიცი რომ ვერ  
განვიქარებ  
და ეს სიკვდილიც რა  
გულწრფელია“...

ეს კი სტროფია უსაყვარლესი შვილიშვილის დემეტრესადმი მიძღვნილი ბოლო ლექსიდან...

2012 წლის 1 დეკემბერს, 72 წლის ასაკში, შეწყდა ზაურ ქობალიას გულის ფეხება და მისმა ვალმოხდილმა სულმა „სიმშვიდის ყურეს“ მიაშურა. აკი წერდა და სწამდა:

ცის ტატნობზე ჩემი გზა  
ჩნდება-უჩინარდება  
და ჩემს ფრთოსან იმედებს მოაქვთ  
ჩუმი ვედრება,  
თუ ამ ცოდვილ მინაზე მაღე  
დამიღამდება,  
მწამს უთუოდ, უფალო, შენთან  
გამითენდება“...

## ედემ კვირტია

P.S.

ვუძღვნი ჩემი არსების უცნაურ სურვილს,  
რასაც P.S. ვარქვი სახელად.

გასრულდა სიცოცხლე ჩემი და სურვილები, რომელიც შენ გეკუთვნოდა, ჩემო ქანთ, გარდაიცვალა მყუდროებაში. ეს მანძილი, რომელიც 40 დღის სავალია, ერთ კვირაში გამოვიარე და როცა ბენვის ხიდზე გადმოვდიოდი, მამაჩემი შემომეგება:

„გაგიძნელდა ცხოვრება, შვილო?“

„ჰო, მამა!“

„სურვილები აგიკრძალეს, შვილო?“

„ჰო, მამა!“

„თავისუფლებას აქ ვერვინ წაგართმევს, შვილო!“

„მაგრამ, P.S.? თავისუფლებას ვერ მომანიჭებს ვერც ერთი ძალა. P.S. იყო ერთადერთი ჩემი სურვილი და რაც გამაჩნდა მშვენიერების უკვდავსაყოფად, მას ვუბორე სულის მფარველად. ხოლო თავისუფლებას მშვენიერების ყველა თვისება თან უნდა ახლდეს. მე სიცოცხლეში გამოვექცეცი ყალბს და ცრუ რწმენას და არც აქ მინდა ვეზიარო მაცდურ განცხრომას. დაე, იძრწოდეს სული ჩემი P.S. სულთან განუყოფელი წვით და დუღილით!“

„ცოდვილ ხარ, შვილო, და აქ რამეთუ

ცოდვილთა სჯიან ყველაზე უფრო მკაცრი სასჯელით, მე უძლური ვარ ღმერთის წინაშე და ვეღარ გიშველი; შენი სული დაუბრუნდება კვლავ იმ სამყოფელს და ამიერიდან იწანნალებ თრლობებს შორის მიუკარავი და მიუსაფარი, მაგრამ, ჯერ სანამ არ გადმოსულხარ მთლად ბენვის ხიდი, ხსნა შენი მხოლოდ ერთადერთი არს: მან უნდა დათმოს ყველაფერი შენი ხსნისათვის, და განდარცულს და შერისხულ სხეულს თავის სურვილთან მისცეს სადგომი. ახლა მომეცი რამე ნიშანი, რომ იქ ირწმუნოს მან შენი მისვლა!“

„ნიშანი?“

„დიახ, ნიშანი!“

„ნიშანი მხოლოდ ერთადერთი არს: ოკეანეში — პატარა ნავი, დედამიწა — თეთრი საფერფლე; სადაც აწყვია ჩემი სურვილის სიზმრული ფერფლი. ჩემი ცრემლებით სველი საფერფლე!“

„მაშ, ეს ბეჭედი ვისია, შვილო?“

„ეს ბეჭედია ერთადერთი ჩემი შეცდომაც და შეცოდებაც, ეს ბეჭედია ჩემი არსების ტრაგედიის მკაცრი სიმბოლო. ამას ვატარებ

ნურომისა და გმობის ნიშნად.“

„შეგინდოს ღმერთმა! მე კი წავედი, აქ დამიცადე. არ გადახვიდე ხიდი ბოლომდე, თორემ ვერ გიხსნის მერე კაცთა ვერც ერთი ლოცვა.“

... და მე ვიცდიდი, მაგრამ ხიდზე წამოვიდა ვიღაცა მგზავრი. ვეღარ ვიცანი. ის მოდიოდა ლიმილით სავსე. ის მოდიოდა მუსიკით სავსე. მის შესაგებად ცეკვით მოვიდა წინაპართ რიგი.

როცა მიხილეს მე ხიდზე მდგარი, მორთეს ყვირილი:

„ჰეი, შე ბრიყვო, დაუთმე გზა, გადმოდი ჩქარა!“

„მე ცოდვილი ვარ და ვეღარ გადმოვალ. მამაჩემი წასულია მუნ სამყოფელში და ის მოიტანს უსტარს ხსნისა ან უხსნელობისა.“

„სანამ მოგივა მამაშენი მუნ სამყოფიდან, ეს ხიდი მთლად აივსება მოსულთა რიგით და შენ ვინ მოგცემს მაგის უფლებას, რომ ალოდინო აქ კაცთა ხვედრი და მაგ შენს ცოდვებს დაემატება კიდევ ცოდვა — ყველაზე მძიმე. უმჯობესია, გადმოდი ჩქარა!“

„ვეღარ გადმოვალ. რომ გადმოვიდე, სადლა წავიდე, ვინ მიპატრონებს?“

მაშინ მოვარდნენ დიდი ღრიალით. მათი თვალები სავსე იყო ტყიურთა ბრაზით.

უნდა მეყვირა: მამა, მიშველე, მამა! მიშველე P.S.!

მცემდნენ და მგვემდნენ დიდი სიცხადით.

ნაბურუსევ და ნასიზმრალ სხეულს აქარქატებდა მკვდართა მკლავები.

მე კვლავ ვყვიროდი: მიშველე P.S.! მიშველე მამა!

გადამათრიეს ბეწვის ხიდი და სადლაც მიმაგდეს დიდი ზღართანით.

... და აქ გაცხადდა ჩემთან იესო.

„ცოცხალთა შორის ასჯერ ცოდვილო, მკვდართა შორისაც იმატებ ცოდვებს?“

„იესო?!“

„დიახ, მე ვარ, იესო!“

„ეს, შენ მოიმკე კაცობრიობის თაყვანის-ცემა? შენ ქადაგებდი: არა კაც კლა, არა იმრუშო. შენი ბაგიდან ღალადებდა ღმერთის არსობა?“

„ღმერთის არსობა? ღმერთის არსობა, არა ჩემი, არამედ ყველას ბაგედან მოდის. მე ვთქვი: არა კაც კლა, არა იმრუშო! მაგრამ არ მითქვამს, რომ ბერძნებს მიეღოთ ჩემი ღალა-

დი რწმენის კედელად. განა იმისთვის ააგეს ტაძრები, ანდა ეკლესიები, რომ იქ ელოცათ ჩემი, ანდა ღმერთის არსობა? ის მათ ააგეს, რომ იქ ეძახათ „არა კაც კლა,“ „არა იმრუშო!“ და თან ეხოცათ კაცნი მრავალნი, ვინც გაურბოდა ამ რწმენის კედელს.

მე გავარღვიე მოსეს კედელი, რადგან ვიცოდი, კაცი ვიყავი და თავისუფლების მქონდა წყურვილი. მერე მოსე სიცილით მოკვდა, როცა ვუამბე ეს ყველაფერი. ასეთია მოკვდავთა ხვედრი: მათ უნდა ჰყავდეთ ვინმე ბუდჲა, ვინმე მოსე, ან ვინმე იესო და სხვა მრავალი, რომ თავიანთ თავში თვითონ ჩაახშონ თავისუფლების ყველა ნიშანი.

მითხარ ცოდვილო, რა არის P.S. რასაც ყვიროდი ბურუსად ქმნილი?“

„ბრძენო იესო, რა არის P.S.? ამ შეკითხვამ სიცოცხლეში შემაძულა მე ჩემი თავი: „ვინ არის P.S.,“ „რა არის“ P.S.? — მეკითხებოდნენ დღეში ათასჯერ. რა უნდა მეთქვა; P.S. იყო აკრძალული ჩემი სურვილი, ჩემი სულის ერთი მისხალი დაკარგული ან და მარადის.

P.S. ვსახე მე ორ აღნაგად: პირველი — არის წაყვანილი მშვენიერების სრულყოფისაკენ, მარად კეკლუცი და გაურყვნელი და კვლავ P.S. კაცი — მიწისგან ჰქმნილი, მოწყურებული მჩქეფარ ცხოვრებას. გათოშილი შიშველი ვნება, რაც რომ ვერ ითმენს პირველ საწყისებს და ეძებს თავის ტოლს, რომ დაიურვოს მიწის სურვილი.

პირველი მუსიკის სითბო და სიღრმე, შემოქმედება ღმერთების მიღმა და კვლავ აღნაგი ზიზღით აღვსილი, ვნებით სავსე მკერდი, რომელიც ტოკავს და ელის პირმშოს, რომ გამოწოვოს სავსე მკერდიდან შედედებული მიზნის ტკივილი.“

„ცოდვილო სულლო! რამეთუ არ არს მშვენიერება თავისთავადი და რამეთუ არაქმნილ არს ზღუარ ჩემთა, შენთა და სხუათა, გინდა გაჩვენო P.S. თვალთაგან შენთა და თვალთაგან ჩემთა და სხუათა?“

„ბრძენო იესო, სანამ იქნება კაცის ტკივილი, სანამ იქნება სურვილთა სწრაფვა, ჩემი თვალები მის მზერაში მინდა დაბეცდეს, ოღონდ არ მინდა, რომ იხილოს მან ჩემი სახე, რადგან ვიცი, რომ ეშინია ჩემი აღნაგის.“

და მე მივქროდი სადლაც ქაოსში იესოს ლოცვით დაჭინთულ გზებზე. ზურგზე მეკიდა ნარსულის ჩანთა, ურცხვი და ურჩი ღელ-

ვის წიალი და ტანზე ვგრძნობდი ქვეწარმავლური ლორნოს სინედლეს, გამონაფურს ჩანთის ფსკერიდან.

შედგა იესო და გაანათა მირაჟი თვალმა; ძრნოდა მიზნებით ნისლის ფიქრებში გახვეული გველთა სავანე...

ბრნყინავდა ხვითო, გველის კბილებში მოქცეული წითელი ხვითო და გიშმაუობდა ირგვლივ ხასას ბეცი თვალები. ვიღაც მის-დევდა თავდავიწყებით კეისრის წყრომით დაგესლილ სუნთქვას და დედოფალი ახრჩინბდა წყრომით ნაბუშარ პირმშოს, რომ კეკლუც ლაჯებში აღარ ეგრძნო სხეულის ტვირთი.

გვართა-გვართად მიგორავდა ამძუებული გველების ხროვა. წინ მიიწევდა მამალი გველი. სხეული – ტლანქი. ზურგს უმშვენებდა აწითლებული მომწვანო ზოლი. კეფაზე ფერთა ულევი ჯადო. თვალები წვრილი და გამჭვირვალე. ქოქა ლაყუჩებს სდიოდა დორბლი, ხავსიან დრუნჩი თრთოდა სიბერე. კისერი – დასერილი უმიზნო ხაზებით. ჯოჯოხეთის გზები. ფეხები მოკლე გრძელი დეზებით.

კბილები? მხოლოდ კბილები იყო ახლა არსი წინ განევისა. ბებერ კბილებში საუკუნეებ გამოთხარა თურმე ფულურო მიმწუხრის უამსა განსასვენებლად. ახლა ფულუროში ზის დიდი ხვლიკი და ელოდება თავის მსხვერპლს დინჯად. ამ ბებერ კბილებს მიაქვს ხვითო, წითელი ხვითო, სიცოცხლისა და სიკვდილის ცნობა. გველის ხახაში ღვივის ახლა ცდუნების ცეცხლი...

და თქვა იესომ:

„თვალთა შენთა და თვალთა სხუათა, განა აქვს მონანიება მოკვდავთა ცოდვებს, რა-მეთუ უმწეო ხილვით აღქმულ სამყაროს ხვითოდ გარდაქმნის ველური ჯადო და გველის კბილებში მოჩვენებათა შეთხზავს მანიას.“

წინ მიიწევდა მამალი გველი. მის ბებერ კბილებს მიჰქონდა ხვითო. არ იყვნენ მკვდარნი და არც ცოცხალნი. მხოლოდ იესო, მე და გველები. არ იყო მიწა და არც იყო ცა. ქაოსურ ნისლებს სილუეტებად ქანდავდა სხივი. სხივი, რომელსაც ხვითო ირეკლდა. სილუეტებად მოჩანდა კბილი, მის ფულუროში იჯდა ხვლიკი შხამით აღსავსე. სადღაც გამოჩნდა ქანდაკის მსგავსი სხეულის ლანდი. მისკენ ილტვოდა მამალი გველი,

უკან გველებმა დაიწყეს ცეკვა. დაირხა სიმი. უცხო მუსიკის მყარი სილურჯე ქაოსურ ნისლებს ფანტავდა ირგვლივ. დადგა მუსიკის უკიდეგანო ზღვა ბობოქარი და ურუანტელი უარსოთა მიღმა შთენილი ახლა გველები აშკარად ჩანდნენ. ყველას ჰქონდა თავისი სახე. სხეულის ლანდიც გამოიკვეთა; იდგა ქანდაკი ცივიდა ურჩი, ქანდაკი იდგა ნისლის კვარცხლბეკზე. მძინვარებდა მუსიკის ჰანგი და იხეოდა ნისლის პერანგი.

წინ მიდიოდა მამალი გველი და ჩვენი არსიც მიჰყვებოდა გველების ცეკვას. იჯდა ქანდაკი – რძისფერი სახე. თმა – ნაცრისფერი. თვალებში ეძინა მისტიკურ სინაზეს. მკერდი სავსე იყო ფაქიზ ცოდვებით. მუხლებში ედგა მისნური ვნების ნარნარი. მუსიკის ნიავი არხევდა ქანდაკს.

ქანდაკის წინ ამაყად დადგა მამალი გველი. ყალყზე შედგა და ესროლა მაცდური მზერა. ხვითო ჩაუდო კალთაში ნელა. ქანდაკის ირგვლივ იდგა მუსიკის ნედლი სამყარო.

ახლა ქანდაკის კალთაში ბრნყინავდა წითელი ხვითო და მერე ხვითო ჩაესხა ქანდაკს. გაცოცხლდა იგი, გაქრა ნისლის დიდი კვარცხლბეკიც; გაცოცხლდა იგი, სინაზით სავსე პატარა არსი. გველების წრეში იდგა ჩემი სულის P.S. მას ეხვეოდა გველების რისხვა. მის წინ იდგა მამალი გველი და მიართმევდა გემრიელად მუსიკის ნაყოფს.

უნდა მეყვირა: P.S.!

... და თქვა იესომ:

„მიქელანჯელომ გამოძერნა მშვენიერების პირველ საწყისი. საუკუნეში ერთხელ მოდიან მასთან გველნიდა მიაქვთ ხვითო. ღმერთმა დაწერა ეს მუსიკა ბეთჰოვენიდან, — საუკუნეში მხოლოდ ერთხელ აუღერდა მუსიკის ჰანგი. გველებისაგან განძარცულ ქანდაკს მუსიკის სიღრმე ავსებს ისევე, რომ არ გარდაიქმნას პირველსაწყისი, თვალთა შენთა და თვალთა ჩუენთა...“

...და კვლავ ჩამოწვა ქაოსის ნისლი, ჩამოაფარეს მოჩვენებებს ფარული ფარდა. სადღაც მიღმა კი ოდნავ მოჩანდა უკან ზანტად მიმავალი გველთა აჩრდილი. წინ მიიწევდა მამალი გველი.

\* \* \*

რესტორნის დარბაზს ეკვრება სუნთქვა. უკრავს ესტრადა. ცეკვავს დარბაზი. წამო-

ეყრება თვალწინ ფაფარი, ტანი არა აქვს და თითქოს ფეხზე აბია თავი. ჯადოსნურ ხელებს მოაქვს სამყარო უმყაროთა და უსხეულოთა. ცეკვავს დარბაზი. ცრიან და ცრიან დაუოკებელ სურვილის ქავილს, ყველა ისნრაფვის სადღაც შორეთში შეუცნობელი სინაზულისკენ.

მამის აჩრდილი გაოცებული შეჰყურებს დარბაზს. ხელში უჭირავს თეთრი საფერფლე ჩემი ცრემლებით ოდეს ნალბობი. თითქოს ჰერნია, ვინმე იკივლებს და ჩაიხუტებს თავის ნივთს მკერდზე, მაგრამ, ამაოდ, ყველას თვალებში უდგათ სიშორე გადასროლილი სიცბიერეში.

დარბაზის გულში ზის დიდი ძალლი. ტკილად ილოკავს კმაყოფილი დრუნჩებს, დროგამოშვებით გადააფურთხებს გვერდით სუფრაზე. დაუბრიალებს მონითლო თვალებს, რომ არ გაპედონ შეურაცხყოფის შემობრუნება. გადაავინყდა ძალლური ყოფა როკენროლში და ბაგი-ბუგებში. ზოგჯერ იცინის გიჟის სიცილით და როს იხილა თეთრი საფერფლე გამოწვდილი აჩრდილის მკლავით, დააბრიალა წითელი თვალი და ჩააფურთხა ამ დღის ნალველი. უკრავს ესტრადა, ცეკვავს დარბაზი. მხოლოდ ძალლი და მამის აჩრდილი მუსიკის გაღმა უსივრცობაში იყუჩებენ სიდიადის და შეურაცხყოფის უდიდეს ტკივილს.

ძალლის თვალები! ბორცვზე დგას ფერ-

თა უცხო სხეული, ქალურ სინაზეს ახვევია მყრალი მატლები და ეს სხეული იცქირება ძალლის თვალიდან. დგას თებერვლის და აპრილის მიჯნა. ატმის რტომ მოასწრო ადრე აყვავილება, მერე სიცივე შემთხვევია და ძალლის თვალიდან იცქირებიან შიშველ მიჯნაზე ატმის ყვავილი და ურჩი სიცივე.

ძალლის თვალიდან იცქირება ლმერთი, კაცი და ჯადოქარი. კვლავ ყველაფერში ჩაიღვარა უცხო სინაზე და ნაფურთხებში მოსვრილ საფერფლეს გადაეკონა ძალური ვნება.

გააურჟოლა აჩრდილს შიშისგან და გაუვარდა ხელიდან ნივთი. ცივ მარმარილოს დაემსხვრა იგი. ალარც ცეკვა და ალარც ორკესტრი, მხოლოდ ძალლის გაბმული ყეფა.

გმინავს კედლები, რასაც ვერ არღვევს ცივი სამყარო. მარმარილოზე ნამსხვრევი ყრია და ნაფურთხებში მოსვრილი ფერფლი. თვალსაწიერზე მირბის ძალლი. მისი თვალიდან იცქირება ნარსულის გმინვა და მონანიება. ცივ სიმწვანეში მიქრის ჩემი სურვილის გველური ხვითო, მერე ამ ხვითოს მოიტაცებს მამალი გველი.

... წვიმა მოსულა! ლამპიონების ტყორცნილ შუქზე ლაპლაპებდნენ სველი ქუჩები. ალარც ქრისტე და ალარც აჩრდილი, მივისნრაფოდი სახლისკენ ჩქარა, რომ კაცურ უინს ეგრძნო კედლების ძალა.

## დ ღ ი უ რ ე პ ი დ ა ნ

### 26 თებერვალი

დღეს ერთი თვე გავიდა, რაც ამ მდგომარეობაში ვარ. 26 იანვარს ზუგდიდის ციხიდან სენაკში წამიყვანეს. გავიგე, რომ მეორე მანქანით ვალტერ შურლაია მოჰყავდათ. ისიც აუყვანიათ. ჩვენ პირდაპირ აეროპორტში მიგვიყვანეს. იქ თვითმფრინავი გველოდა. თვითმფრინავთან დაგვევდა ავთანდილ იოსელიანი. ხელი ჩამომართვა და მითხრა, გააცანი ჩემი თავი ვალტერს. ავთომ გვითხრა, ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო. რამდენიმე პირის თანხლებით, 40 წუთში თბილისის აეროპორტში ვიყავით. იქ უშიშროების ხალხი დაგვევდა. თვითმფრინავში შემოვიდა გია გულუა. გია და მე მეგობრები ვიყავით იმ ავად-

სახსენებელ დღემდე – ძმათაშორის ტყვიის გავარდნამდე. მერე გია არ მინახავს. როცა გავიგე, რომ ის ზუგდიდში აუყვანიათ აფხაზეთიდან დაბრუნებისას, იმ წუთშივე მივედი ციხეში, ვინახულე.

მაინც ვინ გასცა განკარგულება გიას დაპატიმრების? ეს ლოთის გაკეთებულს არ ჰგავს. ის აიყვანა კომენდატურის ხალხმა. ვისი ბრძანებით? გიას დაპატიმრება ხომ აშკარა პროვოკაცია იყო.

ჩვენთან მოქმედებდნენ პრეზიდენტის სახელს ამოფარებული პროვოკატორები, რომლებიც ჩვენ ყოველთვის ხელს გვიშლიდნენ. ვინ იყვნენ ისინი? ისინი თვითნე-

ბურად მოქმედებდნენ. ისინი თესავდნენ „ვირუსებს“ და არა მგონია, საქართველოს რომელიმე ხელისუფლებას ემსახურებოდნენ. დიახ. თვითმფრინავში შემოვიდა გია გულუა. ხელი ჩამოგვართვა, ეტყობოდა, განაწყენებული იყო ჩვენზე. განსაკუთრებით, ლოთის იხსენიებდა ცუდად. შემდეგ ჩაგვსვეს მანქანებში და აგვიყვანეს რკინიგზის სადგურთან ახლოს მდებარე შენობის მესამე თუ მეორე სართულზე. შემიყვანეს კვაშილავასთან. ახალგაზრდა ბიჭია. ჩანს, ენერგიულია. გადამეტებული საუბარი უყვარს. დამიწყო შეკითხვები ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით, მაგრამ მე პრეზიდენტის სიკვდილის არაფერი ვიცოდი, გარდა ოფიციალური ცნობებისა. არავის არ სჯეროდა მისი სიკვდილის, მე კი დავიჯერე. დავიჯერე, რადგან ასეთი რამის მოგონება შეუძლებელია. იგი პრეზიდენტი იყო და არა ყაჩალი და საკუთარი თავის გადარჩენისათვის უზნეო ხერხს არ გამოიყენებდა. შემდეგ ენუქიძესთან შემიყვანეს. იქ ოთხი თუ ხუთი კაცი იყო. დამესივნენ, მემუქრებოდნენ, მაგინებდნენ. ეტყობა ძალიან ნერვიულობდნენ. მე კი ვლოცულობდი ჩუმად: ღმერთო, აპატიე, რამეთუ არ იციან თუ რას სჩადიან. მერე ანზორ ბალუაშვილმა გამიყვანა ცალკე. კვლავ კითხვები ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით. შემდეგ ჩამიყვანეს სადღაც ჯურლმულში. იქ სულ ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ. დმანისიდან იყვნენ სვანები. მეორე დღეს ისევ ამიყვანეს დაკითხვაზე და წარმომიდგინეს დაპატიმრების სანქცია. 10 ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტში, მე, ზაურ ქობალიას ბრალი მედებოდა 65-73 და 78 მუხლებით: სამშობლოს ღალატი, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები და ბანდიტიზმი.

ვინც მე ასეთ ბრალდებებს მიყენებს, ვიცი რომ მისთვის საშინელი იქნება ღვთის რისხვა, რადგანაც გაცხადებულია – „არა ცილი სწამო!“ და მე ვთხოვ მაცხოვარს მასაც შეუმსუბუქოს განკითხვის უამს.

მეკითხებოდნენ იარალის შეძენაზე. ფოთის ამბავზე და ათასნაირ სისულელეზე. მე ესენი არაფერი არ ვიცი.

მე მხოლოდ ვითხოვდი სამართლიანობის

ალდგენას მშვიდობიანი გზით. ჩემი ყველა განცხადება გამოქვეყნებულია პრესაში. სამშობლოს სიყვარულს თუ ღალატი ჰქვია, მაშინ ნამდვილ ღალატს რა უნდა ერქვას? ამ ხალხს რომ ვუყურებ, გული სევდით მევსება. ყველა დაბოლმილია. მათი მზერა რაღაც საშინელების მომასწავებელია. ღვარძლით არიან აღსავსენი. ღმერთო, რა შეგცოდეთ ასეთი, რად წაგვართვი სათნოება, სიყვარული და სინანული?

მომავალი თაობა განსჯის, ვინ არის დამნაშავე და ვინ არის მტერი. ხოლო ღმერთი განიკითხავს ყველას თავისი ქმედებისათვის.

### შეგონება ანალიზისთვის:

გია გულუა ზუგდიდელია. მდიდარი ოჯახის შვილი. დიდი ხანი მუშაობდა მოსკოვში. შემდეგ გადმოსულა თბილისში. მუშაობდა ერთ-ერთი რაიონის შ/ს განყოფილების უფროსად. იყო ზვიადთან დაახლოებული პირი. შემდეგ განუდგა პრეზიდენტს. რა მოხდა, რა ბედი ატრიალებს საქართველოს შვილებს?

უკულმართია ჩვენი ისტორია და უკულმართია ჩვენი ცხოვრებაც. როგორ ვიფიქრებდი, საქართველოში ამდენი ყაჩალი, მძარცველი, ამდენი ნაძირალა იქნებოდა. ქვეყანა გაველურებულია. საქართველო რამდენიმე საუკუნით ჩამორჩა თანამედროვე მსოფლიოს. შრომა არავის არ უნდა. უმრავლესობა თაღლითობით ცხოვრობს. გავრცელდა ნარკომანია, ღოთობა და უნდობლობა. სად არის ზნეობრივი საქართველო. სად არის იღიას საქართველო. ასეთი ერი განა მზად არის თავისუფლებისათვის? ერთმანეთს ძიგნიან. ინტრიგობენ, ყველას ხელისუფლების სათავეში უნდა ყოფნა. ყველას გენერლობა უნდა და ამასობაში უძლურდება ჩვენი ერის სხეული...

## 27 თებერვალი

კვლავ ჯურლმული მაგონდება. მესა-  
მე დღეს ისევ მეძახიან დაკითხვაზე. ახლა  
პროკურატურის გამომძიებელი მხვდება.  
მეორე ორდერი წარმომიდგინა დაპატიმრები-  
სა, ისიც 10 ოქტომბრით დათარიღებულია.  
მხ-  
ოლოდ იმ განსხვავებით, რომ წაყენებულია  
ორი მუხლი: 65 და 78 – სამშობლოს ღალატი  
და ბანდიტიზმი. ღმერთო, უშველე ყველას  
განსაცდელში მყოფთ და მოგვეცი ნიჭი, რომ  
გვიყვარდეს მტერი ჩვენი... კვლავ დავწერე  
ჩემი მოღვაწეობის შესახებ. დავწერე, რომ  
თავს არ ვცნობ დამნაშავედ. ყოველივე ამის  
ატანა ძნელია, მაგრამ მე ხომ უფალსა ვარ  
მინდობილი, მე უფალში ვარ. მთელი ჩემი  
არსობა მაცხოვარს ეკუთვნის და მხოლოდ  
მას ერთს ხელენიფება განაგოს თავისი კუთ-  
ვნილი სიხარული და ისე განაგოს, როგორც  
მას ესურვება. ისევ ჯურლმულში ჩამიყვანეს.  
ყველა იღრინება. ყველა მემუქრება. რა ქნას  
ხალხმა, ისეთი ინფორმაცია მიაწოდეს და  
რაც მიაწოდეს, მართალი ჰერნიათ. ბიჭები  
ყველა მაგრად არიან ნაცემი. მე ცოტა მომხ-  
ვდა, ალბათ ხანდაზმულობამ მიხსნა. ჯურ-  
ლმულში საკანს არც ფანჯრები აქვს და არც  
საწოლები. სადღაც მიწისქვეშ ვართ. 24 საა-  
თის განმავლობაში ვლოცულობ. სულ მაცხ-  
ოვართან ვსაუბრობ და ვთხოვ, რომ მარტო  
არ დამტოვოს. მეოთხე დღესაც ამიყვანეს. ამ-  
ჯერად ტელევიზიის თანამშრომლები იყვნენ:  
თემურ კვირკველია და ნანა ჯაფარიძე. ოპ-  
ერატორი იღებდა. ისინი მეკითხებოდნენ და  
თვალები სიხარულით ჰქონდათ აღსავსე, რომ  
ასეთ უმნეო მდგომარეობაში მხედავდნენ.  
ისევ ჯურლმული. ღამე საშინელი სიცივეა.  
მე თხელი წინდები მაცვია, საშინლად მცი-  
ვა. მგონი, სიცხეც მაქვს, მახველებს. თავი  
საშინლად მტკივა. ერთ ღამეს, 11 საათზე  
დამიძახეს. პირჯვარი გადავინერე, ვჩურჩუ-  
ლებდი: როგორც შენ გსურს, მაცხოვარო! მე  
უკან დაბრუნებას არ ვფიქრობდი და ასეთ  
ფიქრში შემიყვანეს ოთახში. გია გულუა  
იჯდა მაგიდაზე. სული მოვითქვი. გია მაინც  
არ გამწირავს-მეთქი. მკითხა, როგორ ხარო.  
იქ ზუგდიდში რამდენიმეჯერ მივაკითხე, აქ  
სამაგიერო გადამიხადა. მეც ვუთხარი, რო-  
გორც ვიყავი. ლოთიზე გაბრაზებულია. არ  
ვიცი, იქნებ მათ შორის რამე პირადული არ-  
სებობს. გამოვტყდი, რომ საკანში ძალიან მც-

იოდა. თხელი წინდები მაცვია-მეთქი. კარა-  
დაში ჰქონია თბილი წინდები. გამოიღო და  
მაჩუქა. მესაუბრება ზვიად გამსახურდიაზე,  
არ იყო ის ჩემთან მართალიო. ქალს უსმენდა  
და ქალმა დაღუპაო. ქალები რა შუაშია. ქა-  
ლების გულისთვის დავანგრიეთ საქართვე-  
ლო? მაგრამ ვირუსი? ვირუსის დათესვა ჯერ  
კიდევ 28 ოქტომბრის არჩევნებამდე დაი-  
წყო... და ამ ვირუსს ერთნაირად ატარებდა  
ყველა: მომხრეებიც და მოწინააღმდეგებიც,  
რადგანაც ორგვარი ვირუსი ვრცელდებოდა –  
დადებითი და უარყოფითი.

როცა გამიყვანეს, გიას მადლობა გადა-  
ვუხადე.

### შეგონება ანალიზისთვის:

დადებითი და უარყოფითი „ვირუსი.“ იფ-  
ეთქა ვირუსმა. ის გადამდებია. დადებითი მხ-  
ოლოდ დადებითში ვრცელდება, უარყოფითი  
კი – უარყოფითში. ტვინიდან – ტვინში. თავ-  
იდან – თავში, კაციდან – კაცში და ქალიდან  
– ქალში. ეჯახებიან ერთმანეთს დადებითი  
და უარყოფითი ვირუსები ქუჩებში, სახ-  
ლებში, ყანებში, ზვრებში, ხელისუფლებაში,  
ოპოზიციაში და, ერთი სიტყვით, ავადმყო-  
ფობამ მოიცვა მთელი სივრცე, მთელი კიდე-  
განი.

მეფისტოფელი კი ხითხითებდა...

გვერდითა საკანიდან ყვირილი გვესმის.  
ეს შოთაა. შოთა ფანჯიკიძე. 21 წლისაა,  
თბილისელია. ფიზიკა-მათემატიკის ფაკუ-  
ლტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი. მგონი,  
ბანდიტიზმს აბრალებენ. ის ჩვენთან იყო  
მერვე საკანში. შიმშილობა გამოაცხადა.  
თავის ჩამოხრიობაც უნდოდა, ძალიან ნა-  
ცემი იყო. ერთხელ ზენრით ჩამოიკიდა თავი.  
ვენების გადაჭრაც სცადა. რაც ლურსმნები  
ნახა, გადაყლაპა. ჩვენ ყველას ეჭვით გვიყ-  
ურებდა. სადღაც გადაყვანა უნდა. რაღაცა  
უნდა, რა, თვითონაც არ იცის. ერთი კვირა  
იშიმშილა. მერე ვერ გაუძლო. მერე ისევ გა-  
მოაცხადა შიმშილობა. მერე ჩვენ ყველანი  
მე-11 საკანში გადაგვიყვანეს. ის კი მე-8-ში  
დატოვეს. ახლა მე-10 საკანშია. დღე და ღამე  
ყვირის. რაღაცას თხოულობს. შეიძლება  
მართლაც უღალატოს ნერვებმა. ყველას  
გვეცოდება, რა ვქნათ?

ღმერთო, უშველე ყველა გაჭირვებულს!

## 28 თებერვალი

წუხელ ისა ქაძოევი მესიზმრა. ისას ტყავის მოსასხამი ეცვა. თეთრი, ფართო საყელო ჰქონდა. მიღიმოდა. ისა ქაძოევი ინგუშია, მაპმადიანი. ჩვენ 1964 წელს გავიცანით ერთმანეთი პოტმის საკონცენტრაციო ბანაკში. როცა ჩვენ იქ ჩაგვიყვანეს, ისა თავისი თანამოსაქმე – ალი ხაშაგულებოვთან ერთად დაგვხვდა. ორივენი ქართველების დიდი მოყვარულნი არიან. ჩვენ დავძმობილდით და ჩვენი ძმობა ურყევია. ისა ინგუში ხალხის ჭეშმარიტი შვილია. დღე და ღამე ფიქრობს საკუთარი ხალხის ბედნიერებაზე. დარწმუნებულია, რომ ინგუში ხალხის ბედნიერება უსაქართველოდ შეუძლებელია. ისა საკუთარ თავს ქართველ დიდგვაროვანთა შთამომავლად თვლის, რასაც ლეგენდებით ამყარებს. ისას და ალის ქართულს ვასწავლიდი. ინგუში ხალხი მდგრადი და ტრადიციების მიმდევრები არიან. ჩვენს ურთიერთობაზე შეიძლება ბევრი დაინტერის. ბარაკში, სადაც ისა და ინდიკო ქობალია ცხოვრობდა, ჩვენი შესაკრები ადგილი იყო. ერთ კუთხეში, პარალელურ საწოლებზე ინდიკოს და ისას ეძინა. ჩამოვსხდებოდით და

ვსაუბრობდით საქართველოს ბედზე, ინგუშ ხალხზე, პოეზიაზე...

დღეს ძალიან ცუდად ვარ. გულის არეში ტკივილებს ვგრძნობ. ვლოცულობ მთელი დღე. მაცხოვარს ვთხოვ, რომ არ დამტოვოს მარტო. მაცხოვარმა მითხრა: „ნუ განმაგდებენ და მე ყოველთვის შენთან ვიქნები!“

მადლობა, უფალო, რამეთუ ღირსმყავ შენი ხმისა.

აღარ არის სიყვარული, გარდა სიყვარული უფლისა მიმართ. ჯერ გიყვარდეთ უფალი მაცხოვარი, მერე მოყვასი, მტერი და მერე თავი შენი. ვინც ქვენა ზრახვებს სიყვარულს უწოდებს, სცოდავს, და ვინც მხოლოდ წუთისოფელში ეძებს სიყვარულს, იგიც სცოდავს. ჯერ მაცხოვრისადმი სიყვარული დაამკვიდრე შენ გარშემო მყოფთა მიმართ და შემდეგ აღივსე მათი სიყვარულით. მაცხოვრისადმი სიყვარული მოიცავს ყველაფერს, რაც შეიძლება გიყვარდეს. გარდა მაცხოვრისა ნურავის ეტყვი: მიყვარხარ! რადგან წარმავალია წუთისოფელში. სიყვარული გქონდეს დაფარულში, ხოლო გამოაჩინე სიყვარული საქმითა კეთილითა და შენ შეხვალ მაცხოვრის სიყვარულში.

## 31 მარტი

დღეს ორი დიდი თარიღია: 1939 წლის 31 მარტს დაიბადა ქართველი ერის ღირსეული შვილი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი, მოწამე, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1991 წლის 31 მარტს ქართველმა ერმა, საქართველოს მოსახლეობამ რეფერენდუმზე ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, რის საფუძველზეც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამ აქტით მსოფლიოს კიდევ ერთი დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყანა შეემატა. დიდება ამ თარიღს!

მე, როცა ამ დოკუმენტს ხელი მოვაწერე, ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი წუთისოფელში ჩემი მოსვლის არსი და მიზანი.

დღეს სანთლები უნდა დავანთო ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ზურ-

აბ ჭავჭავაძისა და ყველა დაღუპულთა სულების მოსახსენებლად, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირნენ.

ჩემმა დამ სანთლები შემომიგზავნა. საკმეველიარა გვაქვს, სანთლებს გამოვიყენებთ...

დღეს მალხაზ ღვინიაშვილი სასამართლოზე გაჰყავთ.

ჩვენთან საკანში ზის შალვა ფიჩაძე — საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. შალვა ებრაელია. ძალიან ემოციური პიროვნებაა. შალვა ყოველ თხშაბათობით ღებულობს ამანათს. გუშინ ვერ მიიღო და ამან ისე ააფორიაქა, ლექციის წაკითხვა დამჭირდა მის დასამშვიდებლად...

ჩვენთან ერთი ებრაელისა და ერთი ინდოელის გარდა ყველა ქრისტიანი ვართ.

ზაურ შუღლიაშვილი თბილისელია, წარმოშობით კი ზემო იმერეთიდან. ბრალს სდებენ კონტრაბანდაში.

გენო გაბისონია ოჩამჩირის რაიონიდანა. საყვარელი ბიჭია. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს, აფხაზი უწერია პასპორტში.

გიორგი ბეგიაშვილი თბილისელია, წარმოშობით აფხაზეთიდან, ბრალს სდებენ ყაჩალობაში. იგი 21 წლისაა. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ რელიგიაზე, ქრისტეზე, სიკეთეზე. შეიძლება ჭეშმარიტი მორწმუნე გახდეს.

ყველას გვეცოდება ინდოელი. იგი დაახლოებით 22-23 წლის იქნება, ინგლისური ცუდად იცის, არც რუსული იცის, ინდური კი ჩვენ არ ვიცით. რაღაც პასპორტის გულისთვის ზის. ზრდილობიანი ბიჭია, ყველას შეგვაყვარა თავი.

ერთი რუსიც არის – ოლეგი. მისი თქმით, ის ჩამოვიდა ზვიადისტების მხარეზე საბრძოლველად. შეიძლება რუსეთის აგენტიც იყოს. ისედაც „ნაგლია.“ დედით ებრაელი ყოფილა.

მალხაზ ლვინიაშვილი თბილისელია, ზვიადისტი. ბრალი ედება დივერსიულ აქტებში. 24 მარტს დაიწყო მისი სასამართლო პროცესი. დღეს სასამართლო პროცესი გრძელდება.

### **შეგონება ანალიზისთვის:**

შალვა ფიჩხაძე განათლებული ადამიანია. გამოცდილი ბანკირი. თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია, გონებამახვილი, იუმორით სავსე, ემოციური, მაგრამ ზომიერი. ბრალი ედება თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში... მიკვირს, ასეთი ჭკვიანი ადამიანი, ისიც ებრაელი, რატომ მოვიდა პუტჩისტების სამსახურში? ან პუტჩისტები რამ აიძულა ებრაელი მოქნევიათ ასეთ მაღალ თანამდებობაზე? შალვა ფიჩხაძეს, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს, შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკაზე. უპირველესად, სახელმწიფოს მეთაურმა, ფინანსთა მინისტრმა და ეროვნუ-

ლი ბანკის პრეზიდენტმა უნდა აგონ პასუხი, რადგან ასეთ პოლიტიკას სწორედ ისინი აწარმოებენ პარლამენტთან ერთად. არა, აქ რაღაც სხვაა. მე მგონია, შალვა ფიჩხაძე თავის დროზე პუტჩისტებმა გამოიყენეს საერთო ფონის შესაქმნელად. დღეს ყველამ იცის ებრაული ლობის გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე და ეკონომიკაზე. სწორედ ასეთი ფონის შესაქმნელად სჭირდებოდათ შალვა ფიჩხაძე. შალვა საკანში ყველასთან კარგადაა... ყველანი პატივისცემით ვეპყრობით. ჩემი დამოკიდებულება ებრაელების მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული იყო. შალვას თქმით, იგი უნდა გამოიყვანონ განტევების ვაცად. მე კი სხვანაირად ვფიქრობ. ამ ორი წლის განმავლობაში მთლიანად გაიძარცვა საქართველოს ეკონომიკა. გაჰქონდა ყველას, ვისაც შეეძლო... ასე გაიძარცვა საქართველო. შევარდნაძე ადრე არაფერს ამბობდა. კრედიტებით მოისყიდა პარტიები და მაღალი ფენა. მწვანეთა პარტიამ და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მთლად გაძარცვა ჩვენი სიმდიდრე. თავდაცვის სამინისტრომ საერთოდ ხომ გაძარცვა და გაძარცვა. ბევრმა შევარდნაძის რეზოლუციით დიდძალი თანხა აიღო კრედიტად და გაიქცა. დღეს ეს ამბავი გახმაურებულია. რა ქნან? უკიდურესად დააბული მდგომარეობა ხომ უნდა გადააბრალონ ვინმეს. ვინ იქნება ეს ვინმე? შალვა ფიჩხაძე, აბა ვინ? წრედი შეიკვრება ათეულობით ადამიანით და შემდეგ იტყვიან, აი, ესენი ანგრევდნენ ჩვენს ეკონომიკასო. თუ შეინარჩუნეს ხელისუფლება, ამ ხალხს ერთი-ორი წლის შემდეგ „რამეს“ მოუხერხებენ, თუ არადა, რა ქნან?..

ასე რომ შალვა ფიჩხაძე თავის დროზე პუტჩისტებმა გამოიყენეს თავიანთი მიზნებისათვის და ეს ჭკვიანი კაციც დახარბდა მაღალ თანამდებობას...

### **4 აპრილი**

5 წლის წინათ, 4 აპრილს, დაიწყო ქართველი ერის ახალი ერა. ქართველებმა ბოლომდე ვერ გავუძელით ერის ცნობიერებაში გაღვივებულ ცეცხლს. ზედმეტად ემოციური ხალხი ვართ, ჩვენ არ შეგვიძლია ცივი გონებით წარვმართოთ ჩვენი ერის ისტორია

და ჩვენი ერის ისტორიაც ისევე ემოციურია, როგორიც ვართ ჩვენ. ემოციის თანმხლები თვისებებია შური, ღვარძლი, ინტრიგები და ასე შემდეგ... რამაც ჩვენ დაგვლუპა. გაზით „იბერია ექსპრესში“ გამოქვეყნდა სტატია „ფრთხილად ქართველებო!“ — მართლაც,

ფრთხილად ქართველებო! მეოცე საუკუნის დასასრული არგახდეს საქართველოს დასასრულიც. 1989 წლის დროინდელი თბილისი, 4 აპრილის, 5 აპრილის, 6 აპრილის, 7-8 აპრილის თბილისი, ალბათ ენატრება ბევრ ქართვ-

ელს. მენატრება მეც, რადგან ქართველი ერი ასეთი ერთსულოვანი არასოდეს არ ყოფილა. გაუმარჯოს ასეთ საქართველოს!

დღესაც ცუდადა ვარ. თავბრუ მეხვევა. დაიწყო მარხვის მეოთხე კვირა.

## 9 აპრილი

1989 წლის 9 აპრილს ვინ იფიქრებდა, რომ საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, 1991 წელს, სწორედ 9 აპრილს გამოაცხადებდა. ჩემს სიცოცხლეში ერთადერთი წუთი დარჩა, ყველაზე უფრო ამაღლებული, უდიადესი და უკეთოლმობილესი წუთი. წუთი, რომელმაც საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად აქცია. როცა ჩემი გვარი გამოიძახეს, რაღაც ურუანტელმა დამიარა. არ ვიცოდი როგორ მოვცეულიყავი. იმ წუთშივე თვალწინ წარმომიდგნენ სამაჩაბლოში ერთი კვირის წინ დაღუპული პაატა ყურნუა, რომან ჯიშკარიანი, ჯანო რაფავა. პაატას და რომანს, ამ სიცოცხლით სავსე ბიჭებს რომ ვუყურებდი, გული სიხარულით მევსებოდა. ესენი იყვნენ სამაგალითო ბიჭები. ზუგდიდში მაშინ მომიხდა ჩასვლა, როცა ლოთი მოხალისებს აგროვებდა სამაჩაბლოში ქართველი მოსახლეობის დასაცავად, ჩემთან მოვიდა გამხდარი კაცი. 40 წლის იქნებოდა. მითხრა, მე ჯანო რაფავა ვარო. მე მის დედ-მამას და ძმას კარგად ვიცნობდი. მორიდებულად მითხრა: „ლოთი არ მღებულობს რაზმში. მე კი მინდა, რომ ჩემს შვილებს ჩემი წარსული ცხოვრების ტვირთი მოვუხსნა და სახელი დავუტოვო“. ეს ისე გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ ალბათ ყურუმი ქვაც გასკდებოდა. კარგი, ვეტყვი-მეთქი, ვუთხარი. პირობა არ მიმიცია, რაღაც ცივად გამომივიდა. მის თვალებში დავინახე თვითგვემის რაღაც აუწერელი ალი. ოთხი თვის შემდეგ ეს სამი ვაჟკაცი შეენირა საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. ნუგზარ შანავაც მათთან იყო. მას 9 ტყვია პეტრიდა მოხვედრილი. იგი მაშინ გადარჩა, მაგრამ მერე იმსხვერპლა თბილისის ზღვაზე ქართველის ტყვიამ. რა იქნებოდა, ეს სიცოცხლით სავსე ბიჭები დასწრებოდნენ ამ დიდ დღესასწაულს, რისთვისაც ისინი დაუნანე-

ბლად სწირავდნენ თავს. ცრემლები მომაწვა და თვალებიდან გადმოიღვარა. ალბათ უჩვეულო შესახედავი ვიყავი საქართველოს რესპუბლიკის უზენაშესი საბჭოს წინაშე და მთელი საქართველოს წინაშე (პირდაპირი ტელერეპორტაჟი მიღიოდა), პირჯვარი გადავინერე და ხელი მოვაწერე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

მაშინ ვინ იფიქრებდა, ამ თარიღის მესამე წლისთავს ციხეში შევხდებოდი და ისიც სამშობლოს ღალატის ბრალდებით. ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს მტრები ასე მომძლავრდებოდნენ და 30 ვერცხლად გაყიდდნენ საქართველოს თავისუფლებას.

„იქედნეთა ნაშობო გველებო, როგორ გაექცევით გენის სასჯელს? ამიტომ, აპა, მე მოგივლენთ თქვენ წინასწარმეტყველთ, ბრძენვაცებსა და მწიგნობრებს და თქვენ ზოგიერთ მათგანს მოკლავთ და ჯვარს აცვამთ, ზოგს კი გაშოლტავთ თქვენს სინაგოგებში და განდევნით ქალაქიდან ქალაქში.

მოგეწევათ მთელი ეს მართალი სისხლი, მიწაზე დანთხული, აბელის სისხლიდან მოყოლებული... ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ყოველივე ეს მოეწევა ამ მოდგმას.“

... მაცხოვარო, ილიას სისხლი, ზვიადის სისხლი, მერაბის სისხლი, ყველა წამებულთა სისხლი, რომელიც დაინთხა ისევ ქართველთა სიმუხთლით, აპატიე ქართველ ხალხს!

ხოლო, თქვენ, ქართველნო, მოინანიეთ ცოდვანი თქვენნი, მოინანიეთ ცოდვანი თქვენნი!

ილიას სიკვდილით სამარადისო ცოდვის ქვეშ ამოვყავით თავი და მხოლოდ გულწრფელი ცოდვებით შეიძლება გამოსყიდვა ამ დიდი დანაშაულისა.

ზვიადის სიკვდილით კიდევ უფრო დამძიმდა ჩვენი ცოდვები. რას ელოდებით ხალხნო, დაიჩოქეთ და ილოცეთ, მოინანიეთ! მოვი-

ნანიოთ ყველამ ერთად. მათმა სისხლმა კი არ უნდა გაგვაბოროტოს, არამედ უნდა გაგვწმინდოს ყოველივე ურჯულოებისაგან და მხოლოდ ლოცვით, სიყვარულითა და სათნოებით ვისესნათ ერი ჩვენი და თავი ჩვენი.

დილის ექვს საათზე სანთლები დავანთე. ვილოცე 9 აპრილს დაღუპული გმირების სულთა და ყველა ქართველი პატრიოტის სულის მოსახსენიებლად, ვინც შეეწირა საქართველოს თავისუფლებას... სანთლები დავუნთე ილიას, მერაბს, ზვიადს და ზურაბ ჭავჭავაძეს. დიდება მათ სახელს!

1989 წლის 9 აპრილს ზუგდიდში პირველად ჩავატარეთ მიტინგი. მიტინგს ესწრებოდა დაახლოებით 40 ათასი კაცი. ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელები თავგამოდებით გვიმლიდნენ ხელს. ქალაქის ცენტრში, ლამის ხელჩართული ომი გაიმართა. მერე ხალხს მოვაწოდეთ მაცხოვრის ეკლესისკენ. რუსთაველის ქუჩის ბოლოს, ასასვლელ კიბეზე გავმართეთ მიტინგი, თბილისთან კავშირი არ იყო. შევქმენით შტაბი. გადავწყვიტეთ მეორე დღეს, 10 აპრილს დაგვეწყო აქციები თბილისიდან ჯარის გაყვანის მოთხოვნით.

## 14 აგვისტო

გუშინ, 13 აგვისტოს, დაახლოებით პირველ საათზე, ჩვენს საკანში შემოვიდნენ მაღალი ჩინის ოფიცირები. ერთ-ერთმა მათგანმა, როგორც შემდეგ გავიგეთ, დვალიშვილმა ბრძანა, ჩხრეკა უნდა ჩაეტარებინათ ჩვენს საკანში და გარდა ერთი კაცისა, გარეთ უნდა გავსულიყავით. საკანში ვიქტორ დომუხოვსკი დარჩა. შიგნით ატყდა აურზაური. შევიხედე, ვიქტორ დომუხოვსკი იატაკზე დაეგდოთ და რამდენიმე ოფიცერი ამჟავებდა. ზოგი ხელებს უგრეხდა, ზოგი ნივთებს ართმევდა. ჩვენც შევედით. ოფიცირებს ვუთხარით, მოიტანეთ იმ ნივთების ნუსხა, რომელიც აკრძალულია პატიმრებისათვის. მათ ეს ყურად არ იღეს. დომუხოვსკის წართვეს რადიომიმღები და ჩანთა, სადაც ჰქონდა სასამართლო მსვლელობის დოკუმენტები. შემდეგ, როცა დომუხოვსკიმ

არ დათმო და ხმამაღალი ლაპარკი დაიწყო, შემოიყვანეს ჯარისკაცები ხელკეტებით შეიარაღებულები და ცემა-ტყეპით წაიყვანეს დომუხოვსკი. ჩასვეს კარცერში. ამას წინ უძლოდა (ერთი კვირით ადრე) ჩხრეკა, სადაც, თითქოს, დოკვაძეს საკანში აღმოუჩინეს რადიოგადამცემი აპარატურა. ეს ინფორმაცია ოფიციალურმა საინფორმაციო წყაროებმა გაავრცელეს. სინამდვილეში, დოკვაძე კარგი რადიო-ტელე ინჟინერია. მასთან ციხის წინა ადმინისტრაციის დროს მოჰქონდათ ტელევიზორები და ელექტრონულსაწყოები შესაკეთებლად. თვით ციხის უფროსი მაისურაძეც ენეოდა პატიმრის უფასო ექსპლუატაციას. მოსალოდნელია ახალ-ახალი პროვოკაციები და ჯერჯერობით გაურკვეველია მათი მიზანი.

## 6 მარტი

ეს დღე არის უუშავესი დღე ჩვენი ბედკრული ერის ისტორიაში. როგორც ყველასთვის ცნობილია, სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა პროცესუალური ნორმების დარღვევით. 19 ბრალდებულიდან, შვიდის გარდა, ყველა გაძევებულ იქნა სასამართლოდან. დღეს განაჩენის მოსასმენად ყველას დაუძახეს. პეტრე გელბახიანმა, ირაკლი დოკვაძემ და გედი გელბახიანმა უარი განაცხადეს და სასამართლოზე არ გავიდნენ. მთელი დღე რაღაცის იმედი გვქონდა მაინც. საღამოს 6 საათის შემდეგ ყველანი ვნერვიულობდით. ვიქტორი და ბესო არ მოჰყავ-

დათ. ასეთ ნერვიულ სტრესში გავიდა კიდევ ორი საათი და 8 საათზე „მაცნეში“ გამოაცხადეს, რომ პეტრესა და ირაკლის გამოუტანეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. უფალო იესო ქრისტე, ძეო ლვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი!

დღეს მეც გამომიძახა გამომძიებელმა ხვადაგიანმა. ადვოკატ თემურ გოგსაძეზე უარი მითხრა. მე კატეგორიულად მოვითხოვე გოგსაძესთან შეხვედრა და ჩემს ადვოკატად დანიშვნა. არ ვიცი, როგორ იქნება. ღმერთო, გვიშველე განსაცდელში მყოფთ. წერაც არ შემიძლია.

**თორნიკა ქავშგაია****ზღვა დარღი**

მადარდებს ლალად მობიბინე ბალახბულახი.  
 მადარდებს ულუსტრაციოდ გაუკულმართებული  
 საქმენი საგმირონი და  
 მართლრწმენის სიწმინდე დაუბრუნებელი.  
 მადარდებს ებრაელი მოსე  
 და ყველა, ვინც აღთქმულ ქვეყნამდე განისვენა.  
 მადარდებს ტაძრიდან ჩემი თავქუდმოგლეჯილი გამოქცევა,  
 ისიც როგორი გამოქცევა? – მთელი რიგი არასახარბიელო  
 მოვლენების წინსმსწრები გამოქცევა.  
 მადარდებს, შინა ინტრიგებით დევნილი  
 საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია,  
 და ეს იმ დროს, როცა გლობალმატერიალისტურმა სულმა დააკონსტრუირა,  
 გაუკულმართებული ყოფის შემარბილებელი მექანიკა.  
 მადარდებს დამნაშავე თავის მძლეთამძლედ წარმოდგენა,  
 სულიერი მდგომარეობით გამოწვეული სუსტი თავგანწირვა.  
 მადარდებს ციკლონის ზეცვალებადობით გამოწვეული,  
 აშკარად, სპილენძისფერ უხილავებთან შერეული,  
 ახალი გამოწვევები.  
 მადარდებს წეროთა ხმების და ფერების ერთობლივი  
 სუპერსაჰარო აბგერება-გატაცებანი.  
 ჩვენი მიტოვებით, ჩვენი უარყოფით, მათი შორს გაფრენანი,  
 მათი ფედმარშალური გაფარფარებანი.  
 მადარდებს ჩვენი გონინტელექტუალური ცხოველის ფარულშესაზარი ცახცახი.  
 მადარდებს ჩვენი უფორმო შეგნების უკიდურესად გადალურჯებული  
 საფეხული.  
 მადარდებს, საყოველთაო რუდუნის გარეშე ანიკნიკებული დროის საათი.  
 მადარდებს, ჩვენ ღმერთს რომ დავუტოვეთ საშრომი.  
 ამბობენ, ღმერთი მუდამ იყო ჩვენი მშველელი,  
 მაგრამ ის, რაც ჩვენ ხელებს ხელენიფება,  
 ის ჩვენ მზამზარეულად არ მოგვეცემა.  
 ჩვენ მოგვემადლა რწმენა და ძალა,  
 ჩვენი ძალისხმევის შემთხვევაში,  
 მთებსაც კი დავძრავთ.  
 რა ტოტალიტარული სახელმწიფოს  
 დემონტაჟის საქმეებითაც გამართლდა,  
 კათოლიკური პოლონეთი,  
 სამწუხაროდ, ჩვენთვის ის არის,  
 ღმერთმებრძოლის საქმეები,  
 ე.ი მიუღებელი და გაუმართლებელი...  
 მადარდებს აიეტი.  
 მადარდებს ჩემი არქაულხავსისგან ბაქტერიაგაჩენილი მტერი.  
 მადარდებს გეოპოლიტიკური რღვევის ტერორი,  
 რომლის ბაგემეტეორი,  
 პორიზონტის გადაკვეთისას,  
 მეცხადება და მიცხადებს სასჯელს:  
 „ა, შენ დარდი და გულუბრყვილო პირტკბობის დარდალა“...  
 მადარდებს სეპარატისტის სახელი,  
 რომ ვერ ავიცილე

და ვალად რომ მადევს, მდინარე მტკვარზე  
ლექსის მიძღვნის აუცილებლობა.  
მადარდებს რეპრესირებულ,  
არარეაბილიტებულ მეგრულ ენაზე,  
ჩემგან ვერ თარგმნილი ჰორაციუსი.  
მადარდებს სირიუსი.


მადარდებს კავკასია, ევრო-ამერიკა, ევრონიუსი.  
მადარდებს ხმარებიდან ამოღებული პლუსი და მინუსი.  
მადარდებს ასტრალთვალრბოლა და სურეალური ირემი.  
მადარდებს ამ ლექსში, ალაგ-ალაგ გამოყენებული რითმა.  
მადარდებს უნებლიერ დაღვრილი თაფლი,  
რომელიც ატალახებული შემეცნების გათოვლებამ,  
გაყინა და საექსორიო ფერში დატოვა.  
მადარდებს, ის ვინც ვერ დაიცვა,  
საკუთარი სიკეთის მშვენიერებამ  
და მწარე განპილებით გაიწირა.  
მადარდებს, ძალდაუტანებელი შინაგანი,  
რომელიც ცდომით აღძრეს და უწოდეს გრიგალი.  
მადარდებს, ჩემი დაბადების დგილი,  
ჩემი მშობლიური გალი,  
სადაც ჩემი ნაადრევი გაავების მიუხედავად,  
არ მიყეფდა ძალი.  
სადაც ჩემი ყმაწვილური განაზების არმოსარჩლე,  
მიღრენდა ხალხი.  
სადაც გამიშინაურდა, უკეთილხმოვანო და უავხმოვნო  
ქარ-ხილვა.  
სადაც დავწერ, მე ჩემი პირველი ლექსი: „რომის ხანძარი“,  
რომელიც დიდი ხეტების გზაზე,  
რომელილაც გზაჯვარედინთან დავკარგე.  
მაგრამ მას, ომებთან დაკავშირებული ასტეროიდი,  
ხსოვნით მიბრუნებს და ვხვდები თავზარდაცემული.  
მადარდებს მე, გალი.  
მადარდებს მისი ელიზიუმს გამგზავრებული,  
პატრიცია-პლებეი.  
ის პატრიცია-პლებეი, რომელსაც სიკეთედ მიაჩნდა,  
მაშინდელი სახელფასო დანამატი –  
წითელკორუფციული დამპლობა.  
მაშინ, გონიერება და სისულელე,  
ერთ სოლოს ასრულებდა.  
მაშინ, ზენონ კოსიდევსკის  
„სახალისო სახარება“,  
უხმაუროდ გახდა მაკულატურა.  
რაც იყო საშინელი,  
უბრალოდ, ამ ფაქტზე,  
ვერ რეაგირებდნენ  
ჩვენი ძვირფასი მოქალაქეები  
(მათ აზროვნულ ვექტორს, ვერ ცვლიდა,  
ვერც საკვირველად მოჩურჩულე პალმა,  
ვერც გეზმონიშნული ნიავი).  
მათთვის შრიალებდა მხოლოდ ალვა  
და მათთვის მწიფდა მხოლოდ ქლიავი)...  
„გზაზე მიდის. ეშურება სადღაც,

წითელფოთლოვან ხეთა მოწონებული,  
 ფილოსოფიური დღე და  
 წითელთმიანი გოგო“, –  
 ეს არის ჩემს ორგანულ შინაგანში გაზედაპირებული,  
 ერთ-ერთი მშვენიერი მოგონება,  
 რომელსაც სულფსკერიდან ამოვერაგებული  
 შავი ვეშაპები ტრაგიკულად ძირავენ.  
 ძირავენ და მადარდებს,  
 ყოველისმომცველ  
 ობიექტისგან, ასეთი თვალმიუდევნებელი,  
 ასეთი სუპერშეუმჩნეველი ჩაძირვა.  
 მადარდებს, რომ ეს უკანონო ყოვლისმაკონტროლებელი თავადი  
 არა მყავს ბოლომდე (ე.ი ქვეცნობიერად) უარყოფილი.  
 მადარდებს, მერმისში წასაკითხი,  
 ეს მძიმე ჩანართი:  
 „სულ-შინაგანის ამრევი  
 ბოროტი მრევლი  
 და ყოვლადსაშიში  
 პოსტიდეოლოგი პოეტები,  
 მე ზღვაშერთულ გონებაში,  
 გარეიძულებით,  
 და-ძმა-მეგობრებად დამიპროგრამირდნენ.  
 მე მათგან გამიშავდა,  
 ადამიანური სიმყარის ქანი.  
 მე მათგან, სიმბოლო-ველივით სახეზე დამეფინა  
 ცხელი თოვლიდან ამომართული  
 ხავს-არქაიკა.  
 მე მათგან გამითანამედროვდა ქამასოკოვანი ხავსი.  
 მე რეალამიერმა, ძალიან უმნიშვნელოდ თუ გამიმხილა,  
 რას უბნობენ  
 უხილავიმიერი მატერიალურები.  
 უფლად დეკლარილებული „ადამიანის უფლებები“,  
 გამჭვირვალე „იყო და არა იყოს“ დარად,  
 მოვიდა და ხექანავის უნივერსალურ რტოთა მოჩრდილვასავით განავრცო,  
 მოძღვრება-ფერპალმა.  
 სხვა არავის და არაფერს ის არ ჰგავდა.  
 ის რომ ყოფილიყო მართლაცდა  
 ზეძლევამოსილი,  
 მე არ ვიქნებოდი, ამ ფსიქობნელ ხალხით, ასე სულსასიკვდილოდ განწირული  
 და მექნებოდა უსაფრთხო არსებობის დასტური.  
 მისი სახელით, ისევ მაქინაციურმა ბნელ-ნათელმა გაიმარჯვა.  
 მე უხილვასააქაოს ენაბაგიან ანგელოზით დაიმედებული,  
 დაბლა დაშვებულ ღრუბლიანობას მივადექი.  
 ყოვლიერის გონცხოველმყოფელობა და გააზრება-კვამლი,  
 გარემოს აცახცახებდა და აკვამლებდა,  
 როგორც სამშვიდობო მდგომარეობის აუცილებლობაზე მიმანიშნებელი  
 წინააღმდეგობა.  
 ჩემი დიდი ამბოხის გამომრიცხავი წინააღმდეგობა,  
 რადგან მე უკვე არ ვიყავი, არც ისე ახალგაზრდა,  
 რადგან მე დღემუდამ ჩამესმოდა, ცის სამრეკვლოდან დარისხებული ზარები...  
 მე ვერ ვიხილე, ბრალ-გარდახდომათა გამოსყიდვის მოწადინე წუთისოფელი.  
 მე ვიხილე სამყაროს ბუხრიდან გამოტყორცნილი ნაპერწკლები

და ხიბლეთეროვანი სფერო, რომლის გაქროლებას, არ ჰქონდა სასრული“...  
 მადარდებს ზღვაშეზვირთებული  
 ფეხოსური მომავლის ხომალდი.  
 მადარდებს ჰიბრიდფრინველის ბერაგაულრანებული ძახილი.  
 მადარდებს, ხიბლ-სამოთხე –  
 ჩვენი წვდომა – მჭვრეტელობის მოელვარე სამოთხე.  
 მადარდებს, მსოფლიოს შავ ტყეებში რამაც გაიევლა, რამაც ვერ გაიელვა.  
 მადარდებს თავისუფლებად წოდებული  
 თავაშვებულობა –  
 სამართლებრივ საკითხთა მომიზეზებით,  
 ადამიანური პირუტყვობის დაშვება  
 ანუ მომაკვდინებელი საშიშროება.  
 მადარდებს სააქაოს ცოდვილის საქმეებით ცეცხლმოკიდებული საიქიო.  
 მადარდებს გარდაცვლილი მამაჩემი, დიდედაჩემი, ბიძაჩემი.  
 მადარდებს ყველა შავად, წითლად, ცისფრად განთიხებული სული.  
 მადარდებს კაცი მთისნაირი, ზღვისნაირი,  
 რომელმაც დაკარგა სასუნთქი ჰაერი,  
 მადარდებს ჯეკ კერუაკი, შალვა კარმელი, რენე კალანდია, გენადი აიგი.  
 მადარდებს ამ სიცოცხლეში რაც გავიგე, რაც ვერ გავიგე,  
 რაც ბალლურად შევითვისე, რაც გონებრივი ამაღლებით მივიღე.  
 მადარდებს უხეში ფორმის მონათმფლობელური სიავადე და  
 დახვეწილი მონათმფლობელური ყოფის, უსაშველო სიანკარავე.  
 მადარდებს, ის რაც ერთხელ დასრულდა, რაც სუპერლევიათანური უინით,  
 უკანვე დაბრუნდა –  
 და ჩვენს შორის დადგა, როგორც ჰარმონიული ბუნება.  
 მადარდებს, რომის იმპერიაში ჯვარცმული თრაკიელი.  
 მადარდებს, როცა არ არის გზა უკან დასახევი  
 და სიავკაცობა სიავკაცობით უნდა დაიღუპოს.  
 მადარდებს ახალი აღთქმის უკუგდებული მცნებები:  
 -მონებო, დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს,  
 შიშით, ძრწოლით და გულის სიწრფელით...  
 თქვენც, ბატონები, ასევე ექცეოდეთ მონებს, დაიოკეთ სისასტიკე...  
 ავტორიტეტული მსხვერპლის ცალმხრივი გამართლება  
 და ფარული ჭეშმარიტების წინაშე ჩემი შესაძლო  
 უძლურობა ძალიან მადარდებს.  
 „რატომ უნდა იყოს ჭეშმარიტება, თუნდაც ნაწილობრივ მაინც  
 ჩემთვის დაფარული?!“ –  
 ძილში მერევა დარდის ფათური...  
 შორს, სივრცეში, მე იმის ნიშნები დავინახე,  
 რომ ხვალ და ზეგ,  
 შეიძლება, მძიმე ვითარების დარდებს  
 უუნდამენტალისტად შევეზავო...“

2017

## ნათელში იყოს!..



უეცრად წავიდა ჩვენგან ჩვენი სამეგობროს ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, აფხაზე-თიდან დავნილი, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი ჯემალ პერტაია.

ბატონი ჯემალი მთელი ცხოვრების მანძილზე გამოირჩეოდა პატიოსნებით, გულწრფელობითა და პირდაპირობით. იგი ადამიანებზე ზრუნვისთვის იყო გაჩენილი და ყველას ერთგულად, ზურგშეუქ-ცევლად ედგა ჭირსა და ლხინში. თავისი სამაგა-ლითო თვისებების გამო მეგობრებში, მეზობლებ-ში, საზოგადოებაში მას „ტომბას“ მეტსახელითაც იცნობდნენ. ეს მეგრული სიტყვა ლრმას, ყოვლის დამტევს, დინჯს, სამართლიანი განსჯის მქონეს, ყველაფერში ლრმად ჩახედულს ნიშნავს. ყოველივე ეს თვისება მთელი ცხოვრების მანძილზე ახასია-თებდა ჯემალ პერტაიას; ასე დაუტოვა მან ნათელი და საამაყო ხსოვნა ოჯახსაც და მეგობრებსაც.

ჯემალ პერტაია ცნობილი იყო აგრეთვე, რო-გორც შესანიშნავი ლექსების ავტორი. იგი თან

დევნილობის ჭაპანს ეზიდებოდა, თან ავადმყოფ მეულლეს უვლიდა, თანაც შვილებისა და შვი-ლიშვილებისათვის სითბო და ყურადღება არ დაუკლია. იქნებ ლექსისთვის სათანადოდ ვერ იცლიდა, მაგრამ რაც შექმნა, გამოირჩევა სიმართლით, სიალალით, გულწრფელობით და მხატ-ვრულ-ესთეტიკური დონითაც.

ჯემალ პერტაიას ბევრი რამ არ დასცალდა, პირველ რიგში, ვერ აისრულა უპირველესი წატვრა – აფხაზეთში დაბრუნება. სახლიდან საქმეზე გასულს გზაზე ვერაგი სიკვდილი წამოეწია არათუ ჩვენთვის, მისთვის მოულოდნელადაც.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ქართული მიწა, ჩვენო ჯემალ, ნათელში იყოს შენი სიმართლი-თა და სიკეთით სავსე სული, უფალმა უშველოს შენს სამშობლოს და ურჩხულის ტყვეობისგან დახსნილიყოს შენთვის და ყველა ჩვენგანისათვის სანატრელი აფხაზეთი – ის აფხაზეთი, რო-მელზედაც მონატრებით წერდი და სიზმარშიც და ცხადშიც თვალწინ გედგა... მაშინ ხომ შენი სულიც გაიხარებს ზეციურ სამყოფელში...

**გურამ აბსარე, მურმან ზაეარაია, ლუარა გამყრელიძე, ილი-ნე ტალიაშვილი, გიორგი სიშინავა, ზაურ მოლაშეია, ჯემალ მონია, ლაშა გვასალია, კახა ეცეპაია, თეანა ზაეარაია, და-ვით ზაეარაია, ვალერიან ვეუზა, გური ოთორაია, გაგრული ხუგუა, მამუკა კაკაბაძე, ამირილონ ჩეგიანი, დავით მონია, თორნია ეპეპაია, რაისა მუზიჩევანოვა.**

\*\*\*

უურნალ „მიჯნის“ რედაქცია ლრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი უურნალის ერთ-ერთი მხურვალე გულშემატკივარი, მისი სარედაქციო საბჭოს აქტიური წარმომადგენელი და თავისუფალ შემოქმედთა კავშირის ღირსეული წევრი ჯემალ ალექსანდრეს ძე პერტაია და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## თანაკურსელთა სახელით

სრულიად მოულოდნელი იყო ჩვენთვის ჯემალ პერტაიას გარდაცვალება. რა თქმა უნდა, ისიც უზომოდ წუხდა დევნილის მძიმე ხვედრით, მშობლიური აფხაზეთიდან ვერაგულად გამოძევებით, მაგრამ მაინც შეუპოვრად იგერიებდა ყოველგვარ სიძნელეს, არ თაკილობდა ფიზიკურ შრომასაც, თან წერდა მშვენიერ ლექსებს, გამოსცემდა წიგნებს და იმედის თვალით უყურებდა მომავალს, მაგრამ ბედი თურმე სხვაგვარად სჯიდა...

მსუბუქი იყოს შენთვის თბილისის მიწა, ჩვენო გულითადო, უღალატო მეგობარო! ნათელში იყოს შენი მუდამ სიკეთით სავსე სული... და, შენს ნაცვლად შენს შვილებსა და შვილიშვილებს გახსნოდეთ გზა აფხაზეთისაკენ!

**ნელი კოპალიანი, მაყვალა საჯაია, ნარგიზა ლემონჯავა, იამზა  
განია, მურგან ზაქარაია, მურგან ჭალია, ემირ ცყაროზია, რო-  
ლად ლომია, მურგან გათია, ზურაბ ჭათურია, ნოდარ გერულავა,  
რომან კვარაცხელია.**

## ჯემალ (ტომჩა) პერტაიას

ამ რამდენიმე დღის წინ უკანასკნელ გზაზე გვაცილეთ აფხაზეთის მკვიდრი გულრითების რაიონიდან, დრანდელი ხელოვანი კაცი, პოეტი ჯემალ ალექსანდრეს ძე პერტაია, რომელსაც თავისი დიდი და ღრმა სულიერების გამო ტომბას ეძახდნენ. ბატონი ჯემალის სიკვდილმა გული დასწყვიტა არა მარტო ოჯახს, არამედ ყველა იმას, ვისაც მასთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. მან თავისი ცხოვრების წესით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა გულრითების საზოგადოებაში. ვიტყვი თამამად, რომ ის გამოაკლდა ნალი კაცების ამქარს და გადავიდა მარადისობაში...

სახარება გვეუბნება, „მონოდებული ბევრია და რჩეულიაო ცოტა“... ჭეშმარიტად, უფალი მოწყალეა და ყველას მოუწოდებს, სიმართლის გზით იაროს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველას არ ძალუძა... ჯემალ ტომბამ იცხოვრა ქრისტესმიერი წესით და იდგა იქ, სადაც უნდა იდგნენ რჩეულნი...

წუთისოფელი ბოროტებასა და სიკეთეს შორის ბრძოლის ასპარეზია, ხოლო საქართველოს ამ უთანასწორო ბრძოლაში ფორპოსტის ადგილი უქირავს. თავგანწირულად იბრძვის ქრისტეს მხედრობა სიკეთის საბოლოო გამარჯვებისათვის. ბატონმა ჯემალმაც თავისი კალამი ამ ბრძოლის იდეალებს ამსახურა.

ჯემალ ტომბამ, მგზნებარე პატრიოტმა, თავისი შემოქმედება სრული არსებით მამულის სიყვარულს მიუძღვნა. მისთვის უმთავრესი

იყო მამული და ოდაბადე. ქვაკუთხედი მამულისადმი უზადო სიყვარულისა მაინც ენგურს გაღმა საქართველოა, რომელიც დღეს ბოროტების იმპერიის ტყვეობაშია, ვაი-ქართველთა შადიმანობის წყალობით. ამ ტრაგედიით მიყენებული ჭრილობა შეუხორცებელ იარად მიჰყვება უკანასკნელ გზაზე ჩვენს ჯემალს, ჩვენს ქრისტესმიერ ძმას.

გულანთებული მამულიშვილები უკვე ორას წელზე მეტია ებრძვიან აპოკალიფსურ მხეცად წოდებულ ბოროტების იმპერიას. მრავალი ჭეშმარიტი მამულიშვილი შეენირა ამ უთანასწორო ბრძოლას. ჯემალ პერტაიაც არ ყოფილა გამონაკლისი, ის არა მარტო კალმით, არამედ იარაღითაც ებრძოდა მომხდურებს აფხაზეთში, რაც არ აპატიეს და სახლ-კარი გადაუწვეს ბოროტების მოციქულებმა.

მიუხედავად აფხაზეთის ტრაგედიისა, ჯემალ ტომბას წუთითაც არ დაუკარგავს იმედი გამარჯვებისა, რისი დასტურიცაა მისი შემოქმედება, გამსჭვალული იმედითა და ბრძოლის დაუკებელი ჟინით საბოლოო გამარჯვებამდე.

ამ დაუკებელი ბრძოლის ჟინზე მეტყველებს მისი ერთ-ერთი ლექსი, რუსულ ენაზე დაწერილი, რომელიც ეძღვნება კავკასიელ ლომს, გმირ შამილს. შამილი, მოგეხსენებათ, ნახევარ საუკუნეზე მეტი ებრძოდა ბოროტების იმპერიის არმიებს ერმოლოვების, ბარიატინსკების, ციციანოვებისა და სხვათა ხელმძღვანელობით, რომლებმაც ცეცხლის აღმი

გაახვიეს მთელი კავკასია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დააჩოქეს კავკასიური რასა. ის გადარჩა და სიკვდილი არ უწერია. აქ, კავკასიაში, დასამარდება აპოკალიფური მხეცი, მას კავკასიური რასა დაასამარებს!

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, მინდოდა მეთქვა, რომ ბატონი ჯემალ ტომბა ერთგული იყო და დარჩა ქართველ პოეტთა უკვდავი მოწოდებისა; „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი“...

ასე რომ, ბატონი ჯემალი ყოველთვის იდგა იქ, სადაც უნდა იდგეს მამულიშვილი, ეს იქნებოდა შემოქმედებით თუ იარაღით ხელში.

ბრძოლა გრძელდება, მოახლოებულია უამი – უამი გამარჯვებისა და საქართველოს გამთლიანებისა. ამ ბრძოლაში თავისი წილი ჩვენს ჯემალსაც უდევს, ჩვენს ქრისტესმიერ ძმას. დადგება დრო, როდესაც ჯემალ ტომბას შემოქმედებასაც სათანადო ადგილი დაეთმობა. ის ფართო დიაპაზონის შემოქმედი იყო, წერდა ლექსებს ქართულ, მეგრულ, რუსულ ენებზე და, რაც მთავარია, არსი შემოქმედებისა, დედააზრი მაინც იბერიის გაბრწყინება იყო, რომელიც შეუძლებელია საქართველოს გამთლიანების გარეშე. სწორედ ამ რწმენით ბატონი ჯემალ პერტაია გამოეთხოვა წუთისოფელს და შეუერთდა მარადისობას, უფლისაკენ გზას კი სანთელ-საკმეველი აპოვნინებს.

დასასრულს, ჯემალ ტომბას, უკანასკნელ გზაზე მიმავალს, ნანინას ენაზე შევეხმიანები:

ართი კოჩი,  
ართ მარგალი  
იჩიებ ლერსებს...

უბირს რინას,  
უბირს ცოფას,  
უბირს ჯიმ დო ქობალს...  
უბირს სქვამი ბუნებას,  
უბირს ზესქვ დო ერცქემს...  
უბირს ჩქინი სამარგალოს,  
საქმეს ორთუ ქვერსებს,  
უბირს ჩელა გაჭირებულს,  
ხანდას დო ერქვანს,  
სადლეგრძელოს ბრელს თქუანს,  
სიტყვას თქუანს ემალს...  
დრანდულ კოლხის გუმორძგუას.  
პერტაია ჯემალს...

მშვიდობით, ბატონო ჯემალ!

უკანასკნელ გზაზე ოჯახთან ერთად გულის-ტკივილით მიგაცილებენ შენთვის საყვარელი გულრიფშის საზოგადოება და შენი სათაყვანებელი დრანდელები. შენისთანებზეა ნათქვამი: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის საქართველოს მიწა...

გულრიფშის საზოგადოების სახელით

## ვალერიან ვაჟაშვილი

## პერიოდული განვითარების მარადიულ ხსოვნას

2017 წლის 19 დეკემბერს, ნიკოლოზობის დღეს, 72 წლისა დევნილობაში მყოფი უცრად წახვედი ჩვენგან და მიგაბარეს თბილისის მიწას. დღემდე გაოგნებული ვარ შენი უდროვ გარდაცვალებით და ვერ გამიგია, რა დაგემართა შენ – ლვთის მოშიშ ადამიანს.

ჩვენს საყვარელ და საოცნებო დრანდაში ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით, ჩვენი სახლები ერთმანეთს დაშორებული იყო ხუთასიოდე მეტრით, ალბათ ესეც განაპირობებდა ჩვენს ლამის ყოველდღიურ შეხვედრებს. შენ უწესიერესი და სამაგალითო პიროვნება ბრძანდებოდი შენი სათაყვანო მეუღლისათვის, სამი ქალიშვილისათვის, შვილიშვილებისა და საზოგადოებისათვის; იყავი საამაყო შვილი მშობლებისათვის, სამი ქმისა და ერთადერთი დისათვის. გაგარჩდა უამრავი თვისება ადამიანობისა და კაცობისა, რისთვისაც მე უდიდეს პატივს მიგაგებდი ყოველთვის. გარდა ამისა, შენ უფალმა გარგუნა მშვენიერი და უბრწყინვალესი ლექსების წერის უნარი. შენი ლექსები გამოქვეყნებულია სხვადასხვა გამოცემაში, აგრეთვე შენის ლექსტა კრებულებში დაბეჭდილი ლექსები ფრიად სასიამოვნო, მიმზიდველი, დასაზეპირებელი, სასიყვარულო და გულში ჩამწვდომია პოეზიის მოყვარულთათვის.

ლექსებს წერდი ქართულ, მეგრულ და რუსულ ენებზე, რაც შენს ორიგინალურობაზე მეტყველებს; რამდენიმე ლექსი მეც მომიძღვენი, რითაც ამამაღლე და უცნობთათვის ცნობილ პიროვნებად გამხადე. აქვე მინდა ალვნიშნო, რომ მეც მოგიძლვენი რამდენიმე ლექსი, რომელთა შესახებ არაფერი იცოდი: „ჩვენი ჯემალ პერტაია წერს გასაოცარ ლექსებს...

მჯერა, მრავალი წლის მერე მოგიგონებენ შენ და შენს ლექსებს“...

დევნილობაში მყოფთ თითქმის ყოველდღიური სატელეფონო საუბრები გვქონდა, შენ მიკითხავდი ახალ ლექსებს, კარგად იცოდი, რომ მე ამით უდიდეს სიხარულსა და სიამოვნებას მანიქებდი, ვინაიდან პოეზია ჩემი ცხოვრების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია ჭაბუკობიდანვე. საოცარი, განუმეორებელი და შეუდარებელი ლექსებით სიცოცხლეს მიხალისებდი და მიხანგრძლივებდი.

შენ, როგორც კოლორიტული პიროვნება, დააკლდი მშობლიურ და საოცნებო დრანდას, სადაც დაბადე და ფეხი აიდგა, მთელი შენი შეგნებული ცხოვრება გაატარე იქ და მისაბაძი შრომისმოყვარეობით ყოველგვარი პირობები სამაგალითოდ მოიგვარე. დააკლდი მთელ გულრიფშის რაიონს და, თამამად შეიძლება ითქვას, შენს საყვარელ საქართველოს და ქართველ ერს.

ჩემო ჯემალ, მაპატიე, რომ ასე მოკლედ ვწერ შენზე – დიდებულ და განუმეორებელ პიროვნებაზე, რაც გამოწვეულია ჩემი გაოგნებით შენი უეცარი გარდაცვალების გამო. თითქოს მგონია, რომ სადღაც ხარ წასული და არა იმქვეყნიურ სამყაროში.

ჩემო უძვირფასესო და მარადუამს დაუვიწყარო ჯემალ, ერთი რამ იცოდე: სანამ სული მიდგას, ჩემს გულში მარად გექნება თბილი სამყოფელი.

შეხვედრამდე ზეციურ სამყაროში, შენი მარად ერთგული და თაყვანისმცემელი, დამფასებელი და მოსიყვარულე

### ორდენ ცულაია

**პემალ პერტაია****ვაზი**

ვაზს ვსხლავდი, მტევანს ვკოცნიდი,  
ვხარიბდი სხივთა კონებით,  
სანამ ვაზია, ამქვეყნად  
ვერვინ მაჯობებს გონებით.

ვერც ტანადობით დამჯაბნის,  
ვერცა-რა ჭუუა-გონებით...  
ვაზი დედაა ქართველთა,  
მხოლოდ მას დავემონები.

**შვილიშვილება უნდა თქვან****მეუღლეს**

რატომდაც მკერდი აგტეკივდა  
და შიში იგრძენ, თინაო...  
ეტყობა, გადაიღალე,  
მე კი მეგონე რკინაო.

იცოდე, უნდა გამაგრდე,  
ცხოვრება გვიდევს წინაო,  
შვილიშვილებმა უნდა თქვან, –  
მტერი არ გააცინაო...

შენ თუ გგონია, დაიმსხვრა  
ჩემს გულში შენი ბინაო,  
ანდა თუ ფიქრობ, ცხოვრებამ  
რა ჩქარა გაირბინაო, –

მე შენში ვპოვე ქალური,  
ვინც შვილი გამიჩინაო,  
ახლა ღმერთს შევთხოვ,  
გაცოცხლოს  
შვილიშვილებისთვინაო.

**\*\*\***

შენ მარწყვი ხარ დასაკრეფი,  
დილის ნამში ნაბანი,  
დაგეძინა და სიზმარში  
არ გეხურა საბანი  
და სარკმლიდან გიყურებდა  
ურცხვი იასამანი...

შენ მარწყვი ხარ დასაკრეფი,  
დილის ნამში ნაბანი...

**ვჩივი**

ალარ ვჩივი, რომ წამართვეს  
სოფლები და შორი  
ოქრო-ვერცხლი უთვალავი...

ვერ ზიდავდა ჯორი...  
ზღვის ნაპირას –ქალაქები,  
ყვავილების ფორი,  
ეკლესია-მონასტრები,  
განა ერთი-ორი?

კოლხთა მეფის დროინდელი,  
თვით ღმერთების სწორი...

ვჩივი მხოლოდ დაუნინებას,  
დამცირებას ვჩივი!  
ყველა ერთად დავირაზმოთ,  
ყველა ერთად! – ვკივი...  
თავის სახლ-კარს დავუბრუნოთ  
ობოლი და ქვრივი,  
აფხაზეთი დავიბრუნოთ –  
მარგალიტის მძივი,  
თორემ ვხედავ, მიგვაქანებს  
უფსკრულისკენ ტივი...

ალარ ვჩივი? ალარ ვჩივი?  
ალარ ვჩივი?  
– ვჩივი!

**დიდი ჭყონი**

ეს რა კარგი დარებია... მაისია მგონი...  
გზა და კვალი ამერია, ვერსად ვპოვე ფონი,  
სიმღერებით დავითვერი, მომერივნენ დრონი,  
მაინც ვპოვე და ვიცანი ჩემი დიდი ჭყონი.

შენ დავითის აკვანი ხარ, ერისა ხარ გონი,  
მე ვარ შენი ნიშა ხარი, ბევრის არას მქონი...

ეს რა კარგი დარებია... მაისია მგონი.

**\*\*\***

ის ვალს იხდიდა კაბასთან ერთად  
სახელოსნოში, მხატვრის წინაშე  
და მით არჩენდა პატარა ობოლს  
ქმრის – მოღალატე კაცის ჯინაზე...

და იღვრებოდა ტილოზე ჯადოდ  
დედიშობილა ქალის სინაზე...  
უკვირდა მხატვარს: ვის იპოვიდა  
იმისი ქმარი ლამაზს იმაზე?

## 0ქვება

დაბრუნება ჯერ შორს არის, კარგად ვიცი,  
ლამის ხალხი იქცეს მცირან ბეღურებად;  
წართმეული დავიბრუნოთ! –

ვდგავარ, ვყვირი,  
ვაგლახ, ჩემი აღარავის ეყურება.

როგორც ვაზი გაზაფხულზე, ჩუმად ვტირი,  
საქართველოს მხსნელი არსით მეგულება;  
წადი, საყდარს მიაშურე, როგორც მწირი, –  
დაკოდილი გული ამას მეუბნება.

იქნებ ღმერთმა მოაცილოს ჩემს ერს ჭირი,  
შეუფასოს ათასი წლის ერთგულება?..  
და მეც ვდგავარ გაძარცული, როგორც ლირი,  
მომავალი აღარაფერს მეუბნება.

\*\*\*

## გალაკტიონს

შენ სხვა იყავ პოეტებში,  
შენ არ ჰერცი არავის,  
სულ სხვა იყო სითბო, ეშხი  
შენი ლურჯი კარავის.  
შენში არის დიდი ძალა რიონის და არაგვის,  
არ არსებობს ზომა-წონა შენი  
ლექსის მარაგის...  
მოგივლია საქართველო იისფერი ბახუსით,  
შენთან ერთი ციდა იყო მაღალი იალბუზი...  
ტაშს გიკრავდა თბილისი და  
ქუთაისი, ზუგდიდი,  
პოეტებში მუდამა ხარ  
სულ დიდი, სულ დიდი.  
აქ პატივში აღარ გვყავდი,  
ალბათ იქით ცხონდი და  
ქართველებში მეგულები  
ძლიერ მუხად – ჭყონდიდად.

## ეჭვები

ტყვილა ჰერიდია კედელზე ხმალი,  
ტყვილა გვიჭირავს რაშისკენ თვალი...

ეჭვებმა დაღრღნეს ბებერი ძვალი,  
აღარ გვჭირდება ჩვენ მომავალი!...

სიკვდილი არის ჩვენი წამალი,  
თუ ერი ჩვენი არს წარმავალი.

## არვის დაუთმო მიშის მისხალი

არ იქნებოდი ასე ლამაზი,  
რომ არ აგეგო მცხეთა, არმაზი...

არ იქნებოდი ასე ლამაზი,  
რომ არ გამკობდეს ველი ალაზნი...

არ იქნებოდი ასე ლამაზი, –  
არ გაჩნდეს წყლული ლამისყანასი...

არ იქნებოდი ასე ლამაზი, –  
ხმა არ გსმენოდა იავნანასი.

შენ გორგასალის მოგსდევს სიმხნევე,  
ჭკუა გაქვს დიდი სულხან-საბასი.

ტყუილუბრალოდ როდი გარჯილა  
ის არაგველი ვაჟი სამასი...

მტერი ათასი გეხვია მუდამ –  
ნადირ-შაჰია თუ შაჰ-აბასი...

რუსთველის წიგნზე აღზარდე ერი,  
არ გაახარე შენს თავზე მტერი,

დიდმა დავითმა დაგიკრა კვერი,  
ჩამოგაცილა მოშურნე ბევრი.

ახლა აქ წყდება შენი იღბალი –  
ორი ათასი მოსულა წელი;

არვის დაუთმო მიწის მისხალი  
და ააცდინე იუდას ცელი!..

არ იქნებოდი ასე ლამაზი,  
რომ არ აგეგო მცხეთა, არმაზი...

## სატანის დრო

მე მიყვარს ლამაზი,  
ვერ ვიტან მახინჯებს...  
ყოფა ლირს აბაზი,  
დრო შერჩათ ნაბიჭვრებს...

თბილისის ქუჩებში ფრთხილად დავაბიჯებ,  
ამაოდ დავეძებ იებს და ნარინჯებს,

იებს ვინ ახარებს?! სატანა ხარხარებს,  
კეთილი გაიქცა, წავიდა სხვა მხარეს...

თბილისის ქუჩებში ქარი ქრის ბორბალა,  
ხალხში იმედის შუქი გამომქრალა...

მე მიყვარს ლამაზი, ვერ ვიტან მახინჯებს...

**ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე**

**კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია; თეკლე შონია  
დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი  
დიზაინი: ირაკლი უშვერიძე**

**ავტორებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მასალების ელექტრონული ვერსია**

---

**აიწყო და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“**

**მ. ტაშკენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11**

**დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში**

**მ. ჭავჭავაძის გამზ. №19, ტელ. 2-22-36-09**